




პროექტი დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ

საერთაშორისო მდინარეთა აუზების
გარემოსდაცვითი პროექტი
Contract No. 2011/279-666



მდინარე ჭოროხი-აჭარისწყლის აუზის მართვის გეგმა

(DRAFT)



თბილისი, თებერვალი 2016

ჭოროხი-აჭარისწყლის მდინარის აუზის მართვის გეგმის შემუშავება წარმოადგენდა ევროგაერთიანების მიერ დაფინანსებული პროექტის: „საერთაშორისო მდინარეების აუზების გარემოსდაცვითი პროექტი“ (EPIRBP) ერთ-ერთ ამოცანას. (კონტრაქტი N. ENPI/2011/279-666, EuropeAid / 131360/C/SER/Multi, რომელიც ხორციელდება კონსორციუმის მიერ რომლის ლიდერია “Hulla & CoHuman Dynamics KG” და წევრები არიან მიერ რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი), საკონსულტაციო-საინჟინრო კომპანია Salzgitter GmbH, H.P. Gauff Ingenieure GmbH & Co. KG - JBG, ყირიმის რესპუბლიკის ასოციაცია "ეკოლოგია და მშვიდობა" (ყირიმი), უკრაინის ეროვნული გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია "Mama-86". პროექტი მოიცავდა 57 თვემდე პერიოდს, დაიწყო 2012 წლის 30 იანვარს და გაგრძელდება 2016 წლის 29 ოქტომბრამდე.

(შემდგომ, სააუზო ტერიტორიული ერთეულის მართვის გეგმა) მომზადდა „კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის“ (RECC) და კომპანია გრინტექსის ერთობლივი ძალისხმევით, ფარგლებში, RECC-სა და პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციას - შორის გაფორმებული საკონსულტაციო მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე.



ჭოროხი-აჭარისწყლის მდინარის აუზის მართვის გეგმის მოზადების პროცესში შეტანილი წვლილისათვის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით:

- საერთაშორისო მდინარეების აუზების გარემოსდაცვითი პროექტის განმახორციელებელ ჯგუფს(გუნდს):ბ-ნ: ბ-ნ თიმოთი ტერნერს, ბ-ნ ზურაბ ჭინჭარაძეს, ბ-ნ ბერნარდას პაუკშისს, ქ-ნ ბირგიტ ფოგელს,ბ-ნ პეტერ რონჩაკს, ბ-ნ პაულ ბუჟის, ქ-ნ რომინა ალვარესს;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამმართველოს;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს;
- საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტოს;
- “კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრს”
- შპს “გრინტექსი”

მადლობა გვინდა ასევე გადავუხადოთ ყველა იმ ადამიანს დამოუკიდებელ ექსპერტებს, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებმაც თავიანთი დრო და ძალისხმევა არ დაიშურეს ჭოროხი-აჭარისწყლის მდინარის აუზის მართვის გეგმის მოსამზადებლად.

დოკუმენტის შემუშავებისას პროცესში გაწეული მხარდაწერისა და მნიშვნელოვანი წვლილის შეტანისთვის:

- ქ-ნ სოფიკო ახოხაძეს (ჯგუფის ხელმძღვანელი);
- ქ-ნ. მარიამ შოთაძეს (ძირითადი ექსპერტი);
- ქ-ნ ელისო ბარნოვს (საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო);
- ქ-ნ მარინა მაკაროვას (საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო);
- ბ-ნ ვახტანგ წულაძეს (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამმართველო);
- ბ-ნ ილია მცხვეთაძეს (წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემის სპეციალისტი);
- ბ-ნ მალხაზ ადეიშვილს (ეკონომისტი);
- ბ-ნ გიორგი მიქელაძეს (GIS სპეციალისტი);
- ბ-ნ არჩილ გუჩმაიძე (მეთევზეობისა და მბიომრავალფეროვნების ექსპერტი);
- ქ-ნ მარინე არაბიძეს, ბ-ნ ირაკლი კორძაიას,ბ-ნ ლევან პაპაჩაშვილს, ბ-ნ ბესო ქავთარია,ბ-ნ გიორგი გულიაშვილს, ბ-ნ მერაბ გაფრინდაშვილს, ბ-ნ გიორგი გაფრინდაშვილს, ბ-ნ ომარ გოგრიჭიანს (საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტო)
- ბ-ნ ირაკლი ყიფიანს (ჰიდროინჟინერი);



წინამდებარე დოკუმენტი მომზადდა ევროკავშირის მიერ და მის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან მხოლოდ პროექტის განმახორციელებელი მხარეები. ანგარიშში გამოთქმული აზრი არ უნდა იქნას მიჩნეული ევროკავშირის მიერ გამოთქმულ მოსაზრებად.

სარჩევი

სარჩევი და აბრევიატურა

1. შესავალი	9
ზოგადი მიმოხილვა, მიზნები და ამოცანები	9
სამუშაოს ფარგლები, მეთოდოლოგია და შეზღუდვები	9
2.0 მდინარის აუზის უბნის ზოგადი აღწერილობა და მახასიათებლები კონვენციის მე-5 მუხლის და დანართი II-ის მიხედვით	13
2.1 ჭოროხი-აჭარისწყლის აუზის უბნის ზოგადი აღწერა	13
2.2 ზედაპირული წყლის ობიექტები	18
2.2.1 ზედაპირული წყლის ობიექტების საზღვრების დადგენის პროცესი და მეთოდოლოგია	18
2.2.2 ზედაპირული წყლის ობიექტების იდენტიფიკაცია და საზღვრების დადგენა	20
2.3 წყლის ობიექტები დაცულ ტერიტორიებზე	22
2.4 მიწისქვეშა წყლის ობიექტები	22
3.0 მნიშვნელოვანი ზეწოლა და ზეგავლენა რისკის ქვეშ მყოფი წყლის ობიექტებში და ძლიერ მოდიფიცირებულ წყლის ობიექტებში	25
3.1 ადამიანის საქმიანობა საკვლევ ტერიტორიაზე	25
3.1.1 მოსახლეობა	25
3.2.1 ეკონომიკური საქმიანობა	28
3.2.2 წყლის გამოყენება	34
3.2.3 მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და განთავსება	40
3.2.4 ჰესები მდინარის საპილოტე აუზში	43
3.2 ძირითადი მამოძრავებელი ძალები/წყლის რესურსების მართვის ძირითადი საკითხები	48
3.3 წყლის რესურსების მართვის ძირითად/მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალებთან დაკავშირებული ზედაპირულ წყლებზე ზეწოლა და ზემოქმედება	49
3.3.1 ზედაპირულ წყლებზე დაბინძურების ზეწოლა და ზეგავლენა	49
3.3.2 საწყისი კვლევების დროს კამერალურად გამოვლენილი მნიშვნელოვანი დაბინძურების გავლენის ქვეშ მყოფი ზედაპირული წყლის ობიექტები	51
3.3.3 ჰიდრომორფოლოგიური ზეწოლები და ზემოქმედება	54
3.3.4 პირველადი კამერალური შესწავლისას გამოვლენილი ჰიდრომორფოლოგიური ზეწოლის ქვეშ მყოფი ზედაპირული წყლის ობიექტები	55
3.4 ზეწოლები და ზეგავლენები მიწისქვეშა წყლის ობიექტებზე	58
3.5 რისკების შეფასება და რისკის ქვეშ მყოფი ზედაპირული წყლის ობიექტების იდენტიფიცირება	59
3.5.1 გამოყენებული მეთოდოლოგია	59
3.5.2 რისკების შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტებში წერტილოვანი წყაროს დაბინძურების ზეწოლების მიხედვით	60
3.5.3 რისკების შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტებში წერტილოვანი წყაროს დაბინძურების ზეწოლების მიხედვით	64
3.5.4 ზედაპირული წყლის ობიექტების რისკების შეფასება. ჰიდრომორფოლოგიური ზეწოლების ინდიკატორები	68
3.6 ძლიერ მოდიფიცირებული ზედაპირული წყლის ობიექტები	77
3.7 რისკების შეფასების შედეგების შეჯამება	78
4.0 მონიტორინგის პროგრამა ზედაპირული წყლის ობიექტებისათვის და მიწისქვეშა წყლის ობიექტებისათვის	81
4.1 ზედაპირული წყლის ობიექტების მონიტორინგის პროგრამა	81

4.1.1 წყლის ჩარჩო ღირებულების შესაბამისი მონიტორინგის პროგრამის შემუშავება გედაპირული წყლის ობიექტებისათვის	81
4.1.2 დაკვირვებითი მონიტორინგი გედაპირულ წყლებზე	81
4.1.2.1 მიზნები	81
4.1.2.2 სინჯის აღების ადგილები	81
4.1.2.3 ხარისხის ელემენტები	83
4.1.3 გედაპირული წყლების ოპერატიული მონიტორინგი.....	85
4.1.3.1 მიზნები	85
4.1.3.2 სინჯის აღების ადგილები	85
4.1.3.3 ხარისხის ელემენტები	86
4.1.4 გამოძიებითი მონიტორინგი	87
4.1.5 მონიტორინგის ჩატარების სიხშირე	88
4.1.6 ხარისხის კონტროლი და ხარისხის უზრუნველყოფა	88
4.1.7 ეკოლოგიური სტატუსის შეფასება	88
4.1.8 ქიმიური სტატუსის შეფასება.....	90
4.2 მინისქვეშა წყლების მონიტორინგის პროგრამა.....	90
4.2.1 არსებული მინისქვეშა წყლების მონიტორინგის პროგრამა.....	90
4.2.2 შემოთავაზებული მინისქვეშა წყლების მონიტორინგის პროგრამა	90
4.2.3 დაკვირვებითი მონიტორინგი	90
4.2.4 ოპერატიული მონიტორინგი.....	92
4.2.5 მონიტორინგის სხვა ტიპები	93
5.0 გარემოსდაცვითი მიზნები	93
5.1 გარემოსდაცვითი მიზნები ევროკავშირის წყლის ჩარჩო ღირებულების მიხედვით	93
5.2 გარემოსდაცვითი მიზნები რისკის ქვეშ მყოფი გედაპირული წყლის ობიექტებისათვის	94
5.3 გარემოსდაცვითი მიზნები ძლიერ მოდიფიცირებული წყლის ობიექტებისათვის	99
5.4 გარემოსდაცვითი მიზნები წყლის ობიექტებისათვის, რომლებიც “არ იმყოფებიან რისკის ქვეშ”	99
5.5 გამონაკლისები.....	100
6.0 ღონისძიებების პროგრამა	101
6.1 მეთოდოლოგია	101
6.2 ღონისძიებების პროგრამა რისკის ქვეშ მყოფი გედაპირული წყლის ობიექტებისათვის ...	102
6.2.1 ძირითადი ღონისძიებები წერტილოვანი და არაწერტილოვანი წყაროს დაბინძურების შესამცირებლად:	102
6.2.2 დამხმარე ღონისძიებები წერტილოვანი და არაწერტილოვანი წყაროს დაბინძურების შესამცირებლად	104
6.2.3 ძირითადი ღონისძიებები ჰიდრომორფოლოგიური გეოლოგიის შესამცირებლად	105
6.2.4 დამხმარე ღონისძიებები ჰიდრომორფოლოგიური გეოლოგიის შესამცირებლად	106
6.2.5 ძირითადი ღონისძიებები კლიმატის ცვლილების გეოლოგიის შესამცირებლად	106
6.2.6 დამხმარე ღონისძიებები კლიმატის ცვლილების გეოლოგიის შესამცირებლად	107
6.2.7 ღონისძიებების პროგრამის შემატარებელი ცხრილი რისკის ქვეშ მყოფი გედაპირული წყლის ობიექტებისთვის	107
6.3 ღონისძიებების პროგრამა ძლიერ მოდიფიცირებული წყლის ობიექტებისათვის.....	114
6.4 ღონისძიებების პროგრამა „რისკის ქვეშ არმყოფი“ წყლის ობიექტებისთვის.....	114
7.0 ღონისძიებების პროგრამის ეკონომიკური ანალიზი და ღონისძიებების პრიორიტეზაცია	115
7.1 მიზნები, მეთოდოლოგია	115
7.2 წყლის გამოყენების ეკონომიკური ანალიზი მდინარის აუზის უბნისთვის	116
7.2.1 წყალადება და წყალმოხმარება	116
7.2.2 ჩამდინარე წყლები.....	118
7.3 ეკოლოგიური ეფექტურობის ანალიზი და ღონისძიებების რანჟირება.....	119
7.4 ძირითადი ღონისძიებების ხარჯების გამოთვლა.....	122
7.5 ძირითადი ღონისძიებების პრიორიტეტიზაცია	125

8.0 ღონისძიებათა პროგრამის განხორციელების განრიგი და პროგრამის შესრულებაზე პასუხისმგებელი მხარეები	131
9.0 კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაცია	142
9.1 კლიმატის ცვლილების გავლენა მდინარე ჭოროხი-აჭარისწყლის აუზში იდენტიფიცირებულ ზეწოლებზე და ღონისძიებების გატარების შესაძლებლობა მომავალში კლიმატის ცვლილებების პირობებში	142
9.1.1 კლიმატის ცვლილების ზემოქმედება მდინარე აჭარისწყლის ჩამონადენზე	146
9.1.2 ექსტრემალური გეოლოგიური მოვლენების ზემოქმედება	148
9.1.3 წყალალღა და ჩამონადენზე სხვა ხელოვნური ზეწოლები	149
9.1.4. ფიზიკური მოდიფიკაცია	149
9.1.5.ორგანული დაბინძურება.....	150
9.1.6 ბიოგენური ნივთიერებების ზეწოლა	151
9.1.7. პრიორიტეტული მავნე ნივთიერებების, პრიორიტეტული ნივთიერებებისა და სპეციფიური დამაბინძურებლების (ნავთობპროდუქტები, მყარი შენონილი ნაწილაკები, პესტიციდები) ზეწოლა	152
9.1.8. მყარი ნატანის ზეწოლა.....	152
9.1.9 ბიოლოგიური და მიკრობიოლოგიური ზეწოლა	153
9.2. კლიმატის ცვლილების მიმართ ადაპტაცია (ღონისძიებები).....	154
10.0 საჯარო ინფორმაცია და კონსულტაცია მდინარის აუზის მართვის გეგმის მომსამზადებლად	157
10.1 საჯარო ინფორმაციის მიწოდების, კონსულტაციისა და მონაწილეობის სამართლებრივი ბაზა, მდინარის აუზის მართვის გეგმის შესადგენად	157
10.2 ჭოროხი-აჭარისწყლის მდინარის აუზის მართვის გეგმის შემუშავებისას საზოგადოების მონაწილეობის, ინფორმაციის გავრცელების, კომუნიკაციისა და დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის კუთხით განხორციელებული ღონისძიებები	159
11.0 აუზის მართვის კომპეტენტური ორგანო	161
11.1 მდინარეთა სააუზო მართვის გეგმების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურა	161
11.2 აუზის მართვის კომპეტენტური ორგანო	162
11.3 პასუხისმგებელი პირი	162
12.0 საპილოტე პროექტების განხორციელება	162
12.1 საპილოტე პროექტების განხორციელება.....	162
დანართები:	169
დანართი 1. ჩამდინარე წყლები	169
დანართი 2. ერთობლივი საველე კვლევების შედეგები: ზედაპირული წყლის ობიექტების სტატუსი ჰიდრობიოლოგიური პარამეტრების მიხედვით	175
დანართი 3. ერთობლივი საველე გასვლების და გარემოს ეროვნული სააგენტოს წყლის ხარისხის მონიტორინგის მონაცემები	190
დანართი 4. ერთობლივი საველე გასვლების ზედაპირული წყლების ჰიდრომორფოლოგიური პარამეტრების კვლევის შედეგები	200
დანართი 5. მიწისქვეშა წყლის ობიექტების კლასიფიკაცია	204
დანართი 6. «საერთაშორისო მდინარეების აუზების გარემოს დაცვა» - მდინარის მართვის გეგმა - მდინარე ჭოროხი-აჭარისწყლის აუზი	208
დანართი 7. საკონსულტაციო პროცესის შეჯამება	212

აბრევიატურა

1. AA-EQS – საშუალო წლიური – გარემოს ხარისხის სტანდარტი
2. ADB – აზიის განვითარების ბანკი
3. BOD – ჟანგბადის ბიოქიმიური მოხმარება
4. °C – ცელსიუსი
5. Ca – კალციუმი
6. CaCO₃ – კალციუმის კარბონატი
7. CBO – სათემო ორგანიზაცია
8. COD – ჟანგბადის ქიმიური მოხმარება
9. CSO – საზოგადოებრივი ორგანიზაცია
10. CE – “გადაშენების პირას მყოფი” საკონსერვაციო სტატუსი
11. CENN – კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის
12. CEA – ღირებულების ეფექტურობის ანალიზი
13. Cl – ქლორიდი
14. CIDA – კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტო
15. CIG – Community Incentive Group
16. CIS – საერთო განხორციელების სტრატეგია
17. COD – Chemical Oxygen Demand
18. DD – “დეფიციტური მონაცემი” საკონსერვაციო სტატუსი
19. DO – გახსნილი ჟანგბადი
20. E – ელექტროენერგიის წარმოება
21. EBRD – ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
22. EC – ევროკომისია
23. EEA – ეკოლოგიური ეფექტური ანალიზი
24. EEC – ევროპის ეკონომიკური კომისია
25. “EN” – გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი” სტატუსი
26. EO – გარემოს მიზნები
27. EQR – გარემოს ხარისხის თანაფარდობა
28. EQS – გარემოს ხარისხის სტანდარტი
29. EPIRBP – გარემოს დაცვის საერთაშორისო მდინარეების აუზების პროექტი
30. ESIA – გარემოს დაცვისა და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
31. EU – ევროგაერთიანება ევროკავშირი
32. EURO – ევროკავშირის ფული
33. GDP – მთლიანი შიდა პროდუქტი
34. GEF – გარემოს დაცვის გლობალური ფონდი
35. ლარი – საქართველოს ფულის
36. GIS – გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები
37. GIZ – გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობა
38. GVA – მთლიანი დამატებითი ღირებულება
39. GWB – გრუნტის წყლის სხეული/ მიწისქვეშა წყალი
40. GWh – გიგავატი საათობრივად
41. GWP – აქართველო - წყლის გლობალური პარტნიორობის საქართველოს
42. ha – ჰექტარი
43. ძლიერ მოდიფიცირებული წყლის ობიექტების – ძლიერ მოდიფიცირებული წყლის ობიექტები
44. HPPs – ჰიდროელექტროსადგურები
45. IM – საგამოძიებო მონიტორინგი
46. IUCN – ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი

47. ISO – საერთაშორისო სტანდარტიზაციის ორგანიზაცია
48. ესგ – ერთობლივი საველე კვლევა
49. JICA – იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო
50. K – კალიუმი
51. KfW – გერმანიის განვითარების ბანკი
52. km – კილომეტრი
53. km² – კმ²
54. kW – კილოვატი
55. kWh – კილოვატ საათი
56. LC – “სულ მცირე კონცერნი” საკონსერვაციო სტატუსი
57. LLC – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
58. LPG – თხევად გაზი
59. l/s – ლიტრი წამში
60. Ltd – შეზღუდული პასუხისმგებლობის
61. LV – ზღვრული მნიშვნელობა
62. m³ – მ³
63. MAC – მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაცია
64. MAC-EQS – მაქსიმალური კონცენტრაცია - გარემოს ხარისხის სტანდარტი
65. m³/d – მ³ დღეში
66. Mg – მაგნიუმი
67. Mn – მანგანუმი
68. mg/l – მილიგრამი/ლიტრზე
69. mm – მილიმეტრი
70. MoENRP – საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
71. m³/sec – მ³/წმ
72. m³/y – მ³/წელი
73. MW – მეგავატი
74. MZB – მაკრობიოტენოზი
75. µg/l – მიკროგრამი/ლიტრზე
76. N_{total} – ჯამური აზოტი
77. Na – ნატრიუმი
78. NALAG – საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია
79. NEA – გარემოს ეროვნული სააგენტო
80. NGO – არასამთავრობო ორგანიზაცია
81. NH₄ – ამონიუმი
82. NO₃ – ნიტრატი
83. OM – ოპერატიული მონიტორინგი
84. P_{total} – ჯამური ფოსფორი
85. TSS – შენონილი ნაწილაკები
86. P – პოტენციური დადგმული სიმძლავრე
87. PAs – დაცული ტერიტორიები
88. pH – მჟავიანობის და ტუტეობის მაჩვენებელი
89. PoM – ღონისძიებების პროგრამა
90. RBA – აუზის შეფასების
91. RBMP – მდინარის აუზის მართვის გეგმა
92. REC – რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი
93. REC C – კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი
94. SHHPs – მცირე ჰესები

- 95. Sida – შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს
- 96. SM – დაკვირვებითი მონიტორინგი
- 97. SMEs – მცირე და საშუალო საწარმო
- 98. SO₄ – სულფატები
- 99. წოBs – ზედაპირული წყლის ობიექტები
- 100. წოBR – რისკის ქვეშ მყოფი ზედაპირული წყლის ობიექტი
- 101. t – ტონა
- 102. TDS – საერთო გახსნილი მყარი ნაწილაკები
- 103. TSS – შეწონილი ნაწილაკები
- 104. UNECE – გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია
- 105. UNDP – გაეროს განვითარების პროგრამა
- 106. USAID – შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო
- 107. VU – "სოციალურად დაუცველი" საკონსერვაციო სტატუსი
- 108. WB – წყლის ობიექტი / სხეული
- 109. WB – მსოფლიო ბანკი
- 110. WBR – რისკის ქვეშ მყოფი წყლის ობიექტი
- 111. WFD – წყლის ჩარჩო დირექტივა
- 112. WWTP – ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობა

1. შესავალი

ზოგადი მიმოხილვა, მიზნები და ამოცანები

ჭოროხი-აჭარისწყლის მდინარის აუზის მართვის გეგმა მომზადდა კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის და კომპანია გრინტექსის ერთობლივი ძალისხმევით, ევრო-გაერთიანების მიერ დაფინანსებული პროექტის: „საერთაშორისო მდინარეების აუზების გარემოსდაცვითი პროექტის“ ფარგლებში, კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრსა და პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციას - “Hulla & Co Human Dynamics KG” შორის გაფორმებული საკონსულტაციო მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე.

მდინარის აუზის ეფექტური მართვის მიზნით, ჭოროხი-აჭარისწყლის აუზი, მისი ზედაპირული, მიწისქვეშა და სანაპირო წყლებით განიხილება როგორც „სააუზო ტერიტორიულ ერთეული“ რომლის ფარგლებშიც უნდა განისაზღვროს წყლის რესურსების ეკოლოგიური და ქიმიური მდგომარეობა, დაისახოს შესაბამისი გარემოსდაცვითი ამოცანები, შემუშავდეს სამოქმედო გეგმა და განხორციელდეს მისი მონიტორინგი და შეფასება.

მდინარის სააუზო მართვის გეგმის საბოლოო მიზანია ჭოროხი-აჭარისწყლის აუზის ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაცვა იმ რისკებისაგან, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის ობიექტების ეკოლოგიურ მდგომარეობას სააუზო ტერიტორიულ ერთეულზე გარემოს ხარისხის გარკვეული მიზნობრივი მაჩვენებლების მიღწევის ხარჯზე.

მდინარის აუზის მართვის გეგმისთვის გარემოს მიზნობრივი მაჩვენებლები ითვალისწინებს მდინარის აუზის ტერიტორიულ ერთეულზე ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის ობიექტების სტატუს-კვოს გაუმჯობესებას მოცმული ფიზიკო-ქიმიური და/ან ჰიდრომორფოლოგიური მახასიათებლების გათვალისწინებით ჰიდრომორფოლოგიური რისკ-ფაქტორების (მნიშვნელოვანი ზეწოლის) და დაბინძურების შემცირების ან, სადაც შესაძლებელია, მათი აღმოფხვრის გზით.

სამუშაოს ფარგლები, მეთოდოლოგია და შეზღუდვები

სააუზო ტერიტორიული ერთეულის მართვის გეგმის ამოცანაა მოაგვაროს წყლის რესურსების მართვის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან აუზის წყლის ობიექტების ეკოლოგიურ მახასიათებლებს, ბიოლოგიური, ზოგადი ფიზიკო-ქიმიური და ჰიდრომორფოლოგიური მახასიათებლების ჩათვლით, რიგი გარემოსდაცვითი ამოცანების დასახვისა და ღონისძიებათა პროგრამის შემუშავების გზით.

გეგმა წარმოადგენს მდინარის აუზის მართვის ინსტრუმენტს გადაწყვეტილების მიმღებთათვის და სხვა დაინტერესებულ მხარეთათვის, როგორიცაა, მაგალითად: გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამმართველო, შესაბამისი დარგობრივი სამინისტროები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სათემო ორგანიზაციები და კერძო სექტორი. გარდა ამისა, ამ გეგმით შეუძლიათ იხელმძღვანელონ დონორებმა ფინანსური გადაწყვეტილების მისაღებად.

სააუზო ტერიტორიული ერთეულის გეგმა საქართველოში მოიცავს დაგეგმვის პირველ 6-წლიან ციკლს 2016 წლიდან 2021 წლის ჩათვლით.

მდინარის აუზის მართვის გეგმაში ყურადღება ძირითადად გამახვილებულია ზედაპირული წყლის ობიექტებზე, რადგანაც ამ პროექტის ფარგლებში ჩატარებული საველე კვლევების შედეგად ვერ გამოვლინდა მიწისქვეშა წყლის ობიექტებთან დაკავშირებული რაიმე მნიშვნელოვანი რისკის შემცველი ზეწოლა/პრობლემა.

გეგმის ღონისძიებათა პროგრამა შემუშავებულია „რისკის ქვეშ მყოფი ზედაპირული წყლის ობიექტებისთვის“, რომლებიც გარემოსდაცვითი მიზნების მიუღწევლობის რისკის წინაშე დგანან და „ძლიერ მოდიფიცირებული წყლის ობიექტებისათვის“, რომელთა ბუნებაც მნიშვნელოვნად შეიცვალა ადამიანის ქმედებით გამოწვეული ფიზიკური ცვლილებების შედეგად ევროგაერთიანების წყლის ჩარჩო დირექტივის და მისი სტრატეგიის ზოგადი განხორციელების #4 სახელმძღვანელო დოკუმენტის თანახმად.

რაც შეეხება ძლიერ მოდიფიცირებული წყლის ობიექტებს, მათი მდგომარეობის გასუმჯობესებლად დაისახა ეკოლოგიური მიზნები და ღონისძიებები „სათანადო პოტენციალის“ მისაღწევად მხოლოდ იმ ობიექტებისთვის, რომლებიც არ წარმოადგენენ „გამონაკლისს“ წყლის ჩარჩო დირექტივის მე-4-ე მუხლის თანახმად. მოცემული მდინარის აუზის მართვის გეგმისთვის ეკოლოგიური მიზნები და ღონისძიებები მხოლოდ ერთი ძლიერ მოდიფიცირებული წყლის ობიექტისთვის იქნა დასახული მდინარე აჭარისწყალზე, სადაც 16 მეგავატიანი ჰესი მოქმედებს. მდინარე ჭოროხზე განთავსებული დანარჩენი 8 ძლიერ მოდიფიცირებული წყლის ობიექტი არ ექვემდებარება ჰიდრომორფოლოგიური რისკების შემცირების ეკოლოგიურ მიზნებსა და ღონისძიებათა პროგრამას წყლის რესურსების მართვაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი პრობლემების გამო, რაც მათი ტრანს-სასაზღვრო ბუნებით არის განპირობებული.

ამასთან, მდინარის აუზის მართვის გეგმა მხოლოდ სააუზო ტერიტორიული ერთეულის ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ობიექტების ეკოლოგიურ სტატუსს ეხება.

ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის (WFD) მე-2 მუხლის, 21-ე პუნქტის მიხედვით, "ეკოლოგიური სტატუსი არის ზედაპირულ წყლებთან დაკავშირებული წყლის ეკოსისტემების სტრუქტურის და ფუნქციონირების ხარისხის გამოხატულება, რომელიც კლასიფიცირებულია V დანართის შესაბამისად". ხარისხის ელემენტები, რომლებიც გამოიყენება ეკოლოგიური სტატუსის კლასიფიცირებისთვის, მოიცავენ ზოგად ფიზიკო-ქიმიურ, ბიოლოგიურ და ჰიდრომორფოლოგიური ხარისხის ელემენტებს.

სააუზო ტერიტორიული ერთეულის მართვის გეგმა ძირითადად ეფუძნება კვლევის ფარგლებში მომზადებულ შემდეგ ანგარიშებს (ლიტერატურის დეტალური ჩამონათვალი და ინფორმაციის წყაროები იხილეთ 103-ე გვერდზე):

- მდინარის აუზის ანალიზი ჭოროხი-აჭარისწყლის სააუზო ტერიტორიულ ერთეულში, საქართველო;
- წყლის ობიექტის იდენტიფიკაცია და ტიპოლოგია;
- კავკასიის ქვეყნებში მიწისქვეშა ობიექტების იდენტიფიკაცია, დახასიათება და დემარკაცია;
- მიწისქვეშა ობიექტების კლასიფიკაცია;
- პირველი, მეორე და მესამე ერთობლივი საველე კვლევების ანგარიში;
- ზეწოლა-ზემოქმედების ანალიზი და რისკების შეფასება;
- ჭოროხი-აჭარისწყლის აუზის მონიტორინგის პროგრამა;
- გარემოსდაცვითი ამოცანები;
- ღონისძიებების პროგრამა;
- დასახული ღონისძიებების ეკონომიკური შეფასება და პრიორიტიზაცია.

გარდა ამისა, გამოყენებული იქნა 2012-2013 წლების ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ზეწოლისა და/ან გარე ფაქტორების შესახებ, (მაგ., სასუქებისა და პესტიციდების გამოყენება, წყალაღება და წყალჩაშვება), მდინარე ჭოროხი-აჭარისწყლის სააუზო ტერიტორიულ ერთეულში მშენებარე/ასაშენებელი ჰიდროელექტროსადგურების

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების(ESIA) დოკუმენტები, ყოველ-დღიური მოხმარების წყლის ხარისხის მონიტორინგის შედეგები (2005-2009, 2013). ასევე, აჭარის წყალმომარაგების კომპანიის, აჭარის გარემოსდაცვის დეპარტამენტის, აჭარის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო დეპარტამენტისა და მოქმედი ჰესების ოპერატორების/მფლობელების მიერ მოწოდებული ინფორმაცია. გეგმის სტრუქტურა და შინაარსი მეტწილად შეესაბამება ევროგაერთიანების წყლის ჩარჩო დირექტივის მოთხოვნებს გეგმის თემატიკასთან და სტანდარტულ ფორმატთან დაკავშირებით და მოიცავს სააუზო ტერიტორიული ერთეულის აღწერას, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის ობიექტების საზღვრების დადგენას/ დემარკაციას, მნიშვნელოვანი ზენოლების და რისკის ქვეშ მყოფი წყლის ობიექტების მოკლე დახასიათებას, მონიტორინგის პროგრამას, გარემოსდაცვით ამოცანებს, დასახულ ღონისძიებათა პროგრამას, დასახული ღონისძიებების ეკონომიკურ შეფასებას და პრიორიტეტიზაციას, საზოგადოებასთან კონსულტაციების შედეგებს და პროგრამაში შეტანილ ცვლილებებს, გამოყენებული საინფორმაციო წყაროების და პასუხისმგებელი სამთავრობო სტრუქტურების ჩამონათვალს.

სააუზო ტერიტორიული ერთეულის მართვის გეგმის შემუშავებისას ძირითად შემზღუდველ ფაქტორებად დასახელდა ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის მოთხოვნათა შესაბამისი წყლის ხარისხისა და რაოდენობის ჰიდროლოგიური მონიტორინგის, ასევე წყლის ობიექტების კლასიფიკაციის სისტემის არარსებობა, რის საფუძველზეც უნდა დადგინდეს წყლის ობიექტის ქიმიური და ეკოლოგიური სტატუსი და დაისახოს გარემოსდაცვითი ამოცანები წყლის ჩარჩო დირექტივის მოთხოვნათა მიხედვით.

ზოგადად, წყლის ჩარჩო დირექტივა მოითხოვს გარემოსდაცვითი ამოცანების დასახვას წყლის ობიექტების "სტატუსის" საფუძველზე, ქიმიური, ფიზიკო-ქიმიური, ჰიდრო-ბიოლოგიური და ჰიდრომორფოლოგიური პარამეტრების მიხედვით წყლის ობიექტის ტიპის შესაბამისად (მაგ. ზედაპირული წყლის ობიექტები, მიწისქვეშა წყლის ობიექტები, ძლიერ მოდიფიცირებული წყლის ობიექტები და ა.შ.). წყლის ობიექტის სტატუსი განისაზღვრება "კლასის" მიხედვით (მაგ: მაღალი, კარგი, საშუალო, ცუდი და ძალიან ცუდი). კლასები იქმნება წყლის ჩარჩო დირექტივის¹ V დანართში მოცემული კონკრეტული კრიტერიუმების საფუძველზე.

ევროკავშირის წევრი ქვეყნები ვალდებული არიან მოახდინონ წყლის ობიექტების კლასიფიკაცია მდინარის სააუზო მართვის ტერიტორიული ერთეულზე მათი სტატუსის მიხედვით. საქართველოში, როგორც ევროკავშირის არაწევრ ქვეყანაში, წყლის ობიექტების სტატუსების კლასიფიკაცია არ არსებობს, რაც მნიშვნელოვან შეზღუდვებს ქმნის ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის მოთხოვნების შესაბამისი გარემოსდაცვითი ამოცანების დასახვისას. აქედან გამომდინარე, მდინარის აუზის მართვის გეგმისთვის, ექსპერტთა ჯგუფმა გარემოსდაცვითი ამოცანების დასახვისას გამოიყენა „რისკის ქვეშ“ მყოფი წყლის ობიექტების რისკ-ფაქტორების (მნიშვნელოვანი ზენოლა) შემცირების/აღმოფხვრის მეთოდი.

მეთოდოლოგიურად, ზედაპირული წყლის ობიექტების გამოყოფა მოხდა ბუნებრივ პირობებში წყლის ობიექტების ტიპების მიხედვით(გეოგრაფიული და მორფოლოგიური პარამეტრები), ძლიერ მოდიფიცირებული წყლის ობიექტების გამოყოფა დაეფუძნა ადამიანის ჩარევის² შედეგად გამოწვეული ზედაპირული წყლის ობიექტების მოდიფიკაციის დონეს.

¹ წყარო: ევრო პარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2000/60 /EC (23/ოქტ/2000) დირექტივა, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების მოქმედების ფარგლებს წყლის პოლიტიკის სფეროში (წყლის ჩარჩო დირექტივა) http://eur-lex.europa.eu/resource.html?uri=cellar:5c835afb-2ec6-4577-bdff-756d3d694eeb.0004.02/DOC_1&format=PDF

² წყარო: წყლის ობიექტების ტიპოლოგია და იდენტიფიცირება. <http://blacksea-riverbasins.net/en>

მინისქვეშა წყლის ობიექტების გამოყოფა მოხდა მინისქვეშა წყლების ჰიდროგეოლოგიური დაყოფისა და მათი მახასიათებლების³ საფუძველზე.

რაც შეეხება ძირითადი მამოძრავებელი ძალების და მნიშვნელოვანი გენოლისა და გეგავლენის გამოვლენის მეთოდოლოგიას, აქ გამოყენებული იქნა ეგრეთწოდებული ლოგიკური ჩარჩოს - „მამოძრავებელი ძალა-გენოლა-გეგავლენაზე რეაგირების“ ანალიზი⁴ სტანდარტულ მატრიცებზე, წყლის ხარისხის მონიტორინგის მონაცემებზე და ერთობლივ საველე კვლევების შედეგების ანალიზსა და ექსპერტთა მოსაზრებებზე⁵ დაყრდნობით.

რისკის შეფასება და „რისკის ქვეშ მყოფი წყლის ობიექტების“ იდენტიფიცირება კი მოხდა კამერალური და საველე კვლევების ანალიზზე, წერტილოვანი და დიფუზიური წყაროებიდან დაბინძურების ინდიკატორების (მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო მიწების ფართობის თანაფარდობა წყლის ობიექტის ფართობთან, ჩამდინარე წყლების საერთო მოცულობის თანაფარდობა მდინარის ხარჯთან და ასე შემდეგ)⁶ გამოყენებით ჩატარებულ გამოთვლებზე, გეოსაინფორმაციო-ანალიზსა და ექსპერტთა შეფასებებზე დაყრდნობით. წყლის ობიექტებისათვის გარემოსდაცვითი ამოცანების დასახვა მოხდა რისკის შემცირების/აღმოფხვრის პრინციპზე დაყრდნობით და შემუშავდა შესაბამისი ღონისძიებები ეგრეთწოდებული ეკოლოგიური დეფიციტის შემცირების/აღმოფხვრის ტიპური ღონისძიებების სიების/მატრიცების და ევროგაერთიანების სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით⁷. ღონისძიებების პრიორიტეზაციის მიზნით, ძირითადი ღონისძიებები ეკოლოგიური და ეკონომიკური (ხარჯების) ეფექტიანობის მიხედვით შეფასდა⁸.

³ წყარო: მინისქვეშა წყლების იდენტიფიცირება, დახასიათება და საზღვრების დადგენა კავკასიის ქვეყნებში <http://blacksea-riverbasins.net/en>

⁴ წყლის ჩარჩო ღირებულების განხორციელების ზოგადი სტრატეგია (2000/60/EC) სახელმძღვანელო დოკუმენტი No 3 გენოლა-გეგავლენის ანალიზი. [https://ciirgabc.europa.eu/sd/a/7e01a7e0-9ccb-4f3d-8cec-aeef1335c2f7/Guidance%20No%203%20-%20pressures%20and%20impacts%20-%20IMPRESS%20\(WG%202.1\).pdf](https://ciirgabc.europa.eu/sd/a/7e01a7e0-9ccb-4f3d-8cec-aeef1335c2f7/Guidance%20No%203%20-%20pressures%20and%20impacts%20-%20IMPRESS%20(WG%202.1).pdf)

⁵ წყარო: გენოლა-გეგავლენის ანალიზი და რისკების შეფასება. file:///C:/Users/User/Downloads/Pressure-Impact%20&%20Risk%20Assessment_Chorokhi-Adjaristkali_Final%20Draft.pdf

⁶ წყარო: საერთაშორისო მდინარეების აუზების გარემოსდაცვითი პროექტის მე-2 ქმედება : სახელმძღვანელო დოკუმენტი-წყლის ჩარჩო ღირებულების მიხედვით გენოლა-გეგავლენის ანალიზის ფარგლებში რისკების შეფასება ჰიდრომორფოლოგიური და ფიზიკო-ქიმიური საკითხების განსაზღვრა

⁷ წყარო: ღონისძიებათა პროგრამა. <http://blacksea-riverbasins.net/en> სახელმძღვანელო დოკუმენტი: წყლის ჩარჩო ღირებულების მიხედვით ღონისძიებათა პროგრამის შემუშავება გარემოსდაცვითი ამოცანის მისაღწევად

⁸ წყარო: ეკონომიკური ანალიზი და ღონისძიებათა პროგრამა <http://blacksea-riverbasins.net/en> წყლის ჩარჩო ღირებულების განხორციელების საერთო სტრატეგია [https://ciirgabc.europa.eu/sd/a/cffd57cc-8f19-4e39-a79e-20322bf607e1/Guidance%20No%201%20-%20Economics%20-%20WATECO%20\(WG%202.6\).pdf](https://ciirgabc.europa.eu/sd/a/cffd57cc-8f19-4e39-a79e-20322bf607e1/Guidance%20No%201%20-%20Economics%20-%20WATECO%20(WG%202.6).pdf) სახელმძღვანელო დოკუმენტი: წყლის ჩარჩო ღირებულების მე-11 მუხლის მიხედვით ღონისძიებათა პროგრამის შემუშავებისას ყველაზე ეფექტური ღონისძიებების შერჩევის საფუძველი გერმანიის გარემოს, ბუნების დაცვისა და ბირთვული უსაფრთხოების სამინისტრო. კვლევის ანგარიში 202 21 210. UBA-FB 000563/E http://www.ecologic.eu/sites/files/publication/2014/1970_handbook.pdf

2.0 მდინარის აუზის უბნის ზოგადი აღწერილობა და მახასიათებლები კონვენციის მე-5 მუხლის და დანართი II-ის მიხედვით

2.1 ჭოროხი-აჭარისწყლის აუზის უბნის ზოგადი აღწერა

ჭოროხი-აჭარისწყლის აუზი მდებარეობს აჭარის რეგიონში და მოიცავს მის ძირითად ნაწილს. მდინარე ჭოროხი სათავეს იღებს ჩრდილო -აღმოსავლეთ თურქეთში, ოქეს-ბადა-დაღის მთებში, და მოედინება ბაიბურთის, ისპირის, იუსუფელის და ართვინის გავლით საქართველოს გადაკვეთამდე. საქართველოს ტერიტორიაზე კი იგი მიედინება ტექტონიკურ ხეობაში ლაზისტანიისა და ჭოროხის ქედებს შორის და ქალაქ ბათუმის სამხრეთით რამოდენიმე კილომეტრში თურქეთ-საქართველოს საზღვართან ერთვის შავ ზღვას. აჭარის-წყალი არის მდინარე ჭოროხის მარჯვენა შენაკადი. იგი სათავეს იღებს არსიანის მთებში.

ჭოროხი-აჭარისწყლის სააუზო ტერიტორიული ერთეული ესაზღვრება გურიას (ჩრდილოეთით), სამცხე-ჯავახეთს (აღმოსავლეთით), კარჩხალის ქედს (სამხრეთით) და არსიანის ქედს (დასავლეთით).

მდინარის აუზის ძირითადი ნაწილი დაფარულია მთებით, ღრმა ხეობებითა და სანაპირო ზოლით - დაბლობებით (ქობულეთისა და კახაბერის დაბლობი). სანაპირო დაბლობები ტენიანია, ჰავა სუბტროპიკული, ცივი ზამთრითა და ცხელი ზაფხულით. მთიან რაიონებში ჰაერი ტენიანია, ზამთარში - ზომიერად ცივი, ზაფხული მოკლე და თბილია. აჭარა გამოირჩევა ხელსაყრელი თბილი კლიმატით.

ნახაზი 1. მდ. ჭოროხი-აჭარისწყლის აუზის რუკა



აჭარის მცენარეული საფარი საკმაოდ მრავალფეროვანია, რეგიონი მდიდარია რელიქტური ფლორის კოლხური რეფუგიუმით. არსებობს ასევე რელიქტური სახეობები, რომლებიც ენდემურია აჭარის რეგიონში, მაგალითად, მედვედევის არყი, ეპიგაეა ბაქტერი და ა.შ. კოლხური მცენარეულობა ასევე შეიცავს ევროპის შერეული ტყის ფლორის სახე-

ბებს. აჭარაში, ისევე როგორც საქართველოს სხვა მთიან რეგიონებში აღინიშნება მცენარეული საფარის სხვადასხვა ვერტიკალური ზონირება.

აჭარის ზედაპირული წყლები ასევე მდიდარია იქტიოფაუნით. იგი ზოგადად დამახასიათებელია კოლხური მთის ტიპის მდინარეებისთვის, თუმცა მდ.ჭოროხში ასევე შეხვდებით სპეციფიკური ანატოლიის ეკოსისტემების სახეობებს, როგორიცაა ანატოლიის ფეხებიანი ხრამულა და კოლხეთის ანატოლიური ჰიბრიდული ხრამულა.

2013 წელს მდინარე აჭარისწყლის აუზზე „ფლორა და ფაუნას“ მიერ ჩატარებული თევზების აღწერისას გამოვლინდა ექვსი ოჯახი და 16 სახეობის თევზი; იგივე 16 სახეობა გამოვლინდა მდინარე აკავრეთაში, 12 - მდინარე ჭირუხისწყალში, 11- მდ ჭვანისწყალში, 9 ხალთაში და 8 ღორჯომისწყალში (იხილეთ ცხრილი #1 ქვემოთ)⁹.

აჭარისწყლის აუზის მდინარეებში გავრცელებულია შემდეგი სახეობები: კოლხური ციმორი, ანატოლიური ხრამული, კოლხური წვერა, კოლხური ხრამული, კავკასიური ღორჯო, კოლხური ხრამულა, კარჩხალი, ანგორა ლოუჩი, და კალმახი. გვხვდება ასევე იშვიათი შავი ზღვის ორაგული და ევროპული გველთევზა.

ცხრილი 1. თევზის გავრცელება აჭარის წყლის აუზში (X-გავრცელებული, - არა გავრცელებული)

#	სახეობა	განაწილება					
		აჭარისწყალი	აკავრეთა	ჭირუხისწყალი	ჭვანისწყალი	ხალთა	ღორჯომი
1	Salmo labrax Pallas, 1811	X	X	X	-	-	-
2	Salmo labrax fario Linnaeus, 1758	X	X	X	X	X	X
3	Oncorhynchus mykiss Walbaum, 1792	X	X	X	X	-	-
4	Squalius cephalus (Linnaeus, 1758)	X	X	X	X	X	X
5	Chondrostoma colchicum derjugin, 1899	X	X	X	X	X	X
6	Phoxinus colchicus Berg, 1910	X	X	-	-	-	-
7	Gobio lepidolaemus caucasica Kamensky, 1901	X	X	X	X	X	-
8	Capoeta siebolzii (Steindachner, 1864)	X	X	X	X	-	-
9	Capoeta tinca (Heckel, 1843)	X	X	X	X	X	X
10	Luciobarbus escherichii (Steindachner, 1897)	X	X	X	X	X	X
11	Alburnus derjugini Berg, 1923	X	X	-	-	-	-
12	Alburnoides fasciatus (Nordmann, 1840)	X	X	X	X	X	X
13	Cobitis sataraini Gladkov, 1935	X	X	-	-	-	-
14	Oxynoemacheilus angorae (Steindachner, 1897)	X	X	X	X	X	X
15	Ponticola constructor (Nordmann, 1840)	X	X	X	X	X	X
16	Anguilla Anguilla (Linnaeus, 1758)	X	X	-	-	-	-
სახეობათა ჯამური რაოდენობა		16	16	12	11	9	8

მდინარე აჭარისწყლის იქტიოფაუნა გამოირჩევა მაღალი დონის ენდემური და ბიოკონსერვაციული ღირებულებით. აღმოჩენილია 16 სახეობა, ორი ენდემურია შავი ზღვის აუზისათვის, ექვსი-კოლხეთის, ორი - კოლხეთი - ანატოლიისთვის, ორი-ენდემურია კავკასიაში. სამი სახეობა შესულია საქართველოს წითელი წიგნის ნუსხაში, ხოლო 6 სახეობა შედის ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის(IUCN) წითელი წიგნის ნუსხაში.

ცხრილი 2. აჭარის იქტიოფაუნის ბიო-კონსერვაციული ღირებულება

--	--	--

⁹ ეს ინდიკატორი გამოიყენებული იქნა იმ მდინარეებისათვის, რომელთა წყლის ხარისხის მონიტორინგის მონაცემები არის ხელმისაწვდომი. წყარო: აჭარისწყლის იქტიოფაუნა, კვლევის აგარიში, ასოციაცია* ფლორა და ფაუნა*ბათუმი 2013

#	სახეობა	ბიო - საკონსერვაციო ღირებულება
1	<i>Salmolabrax</i> Pallas,1811	ენდემურია შავი ზღვის აუზისათვის; შეტანილია საქართველოს წითელ წინგნის ნუსხაში (სტატუსი -EN); შეტანილია ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) წითელ ნუსხაში (სტატუსი-LC)
2	<i>Salmolabraxfario</i> Linnaeus,1758	E ენდემურია შავი ზღვის აუზისათვის; ენდემურია შავი ზღვის აუზისათვის (სტატუსი-VU)
3	<i>Oncorhynchusmykiss</i> Walbaum,1792	ინვაზიური სახეობა
4	<i>Squaliuscephalus</i> (Linnaeus,1758)	შეტანილია ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) წითელ ნუსხაში (სტატუსი-LC)
5	<i>Chondrostomacolchicum</i> Derjugin,1899	ენდემურია კოლხეთის რეგიონში
6	<i>Phoxinuscolchicus</i> Berg,1910	ენდემურია კოლხეთის რეგიონში; შეტანილია ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) წითელ ნუსხაში (სტატუსი-LC)
7	<i>Gobiolepidolaemuscaucasica</i> Kamensky,1901	ენდემურია კოლხეთის რეგიონში
8	<i>Capoetasiebolgii</i> (Steindachner,1864)	ენდემურია კოლხეთის რეგიონში; შეტანილია საქართველოს წითელ წინგნის ნუსხაში (სტატუსი- VU)
9	<i>Capoetatinca</i> (Heckel,1843)	ენდემურია კოლხეთი-ანატოლიის რეგიონში
10	<i>Luciobarbuseschrichii</i> (Steindachner,1897)	ენდემურია კოლხეთი-ანატოლიის რეგიონში
11	<i>Alburnus</i> DerjuginiBerg,1923	ენდემურია კოლხეთის რეგიონში
12	<i>Alburnus</i> <i>derjugini</i> (Berg,1923)	ენდემურია კოლხეთის რეგიონში
13	<i>Cobitis</i> <i>gladkovii</i> (Gladkov,1935)	ენდემურია კავკასიის რეგიონში
14	<i>Oxyneomacheilusangora</i> (Steindachner,1897)	ენდემურია კოლხეთის რეგიონში;შეტანილია ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) წითელ ნუსხაში (სტატუსი-დდ)
15	<i>Ponticolaconstructor</i> (Nordmann,1840)	ენდემურია კავკასიის რეგიონში; ენდემურია კოლხეთის რეგიონში; შეტანილია ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) წითელ ნუსხაში (სტატუსი-LC)
16	<i>Anguilla</i> <i>anguilla</i> (Linnaeus,1758)	შეტანილია ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) წითელ ნუსხაში (სტატუსი-CR)


ჭოროხი-აჭარისწყლის აუზში არსებობს სამი დაცული ტერიტორია, რომლებიც შეიქმნა ჰა-ბიტატებისა და სახეობების დასაცავად: მტირალას ეროვნული პარკი, რომელიც მდებარეობს ჩაქვის წყლის წყალშემკრებ აუზში და ყოროლისწყლის მდინარეზე, რომელიც ცნობილია თავისი შერეული ევროპული და კოლხური ტყეებით, კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი, რომელიც მდებარეობს მდინარე კინტრიშის წყალშემკრებ აუზში და ცნობილია იგივე ტიპის ტყეებით და მაჭახელას ეროვნული პარკი, რომელიც მდებარეობს მდ. მაჭახელას წყალშემკრებ აუზში, ასევე ცნობილია კოლხური და შერეული ტყეებით¹⁰. ეს დაცული ტერიტორიები ცენტრალიზებულად იმართება საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ.

რაც შეეხება სასმელი წყლის წყაროების დაცვას, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნა სანიტარული ზონის დაცვაზე ექვსი წყაროდან მხოლოდ ორ წყალმიმღებზე ხორციელდება.

აღნიშნული ორი წყალმიმღები განლაგებულია ყოროლისწყალზე და ჩაქვისწყალზე და მიეკუთვნება ბათუმის სასმელი წყალმომარაგების სისტემას. ყოროლისწყალზე არსებობს კიდევ ორი წყალმიმღები, რომლებიც ემსახურება ქალაქ ხელვაჩაურს. ქედის, შუახევისა და ხულოს დასახლებები მარაგდებიან აჭარისწყალზე განლაგებული წყალმიმღებებით.

ნახაზი 2. ჭოროხი-აჭარისწყლის აუზის უბნების დაცული ტერიტორიები

¹⁰ წყარო: <http://www.apa.gov.ge/index.php?site-id=5>



გეოლოგიურად და გეომორფოლოგიურად, ჭოროხი-აჭარისწყლის აუზი ეკუთვნის აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემას და წარმოდგენს აბასთუმანი-ბოშურის ზონის უკიდურეს დასავლეთ ნაწილს. ტერიტორია შედგება მეოთხეული სისტემის (ჰოლოცენი, შუა და ზედა პლეისტოცენის) ზემო და შუა ეოცენის დეპოზიტებისა და ინტერბიული ობიექტებით დაკავშირებული ალუვიური საზღვაო დეპოზიტებისგან.

აუზის მორფოლოგიური სტრუქტურები ფორმირდება ბოლო პერიოდის ტექტონიკური მოძრაობების, ვულკანის ამოფრქვევის და ეროზიული პროცესების შედეგად და წარმოდგენილია უამრავი განშტოებით, ქედების ექსპოზიციით სხვადასხვა სიმაღლეზე, ღრმა ვიწრო კანიონებით, დეპრესიებით, ბორცვებით და აკუმულაციური ვაკით.


გეოდინამიკურ პროცესებს შორის ყველაზე გავრცელებულია ეროზიულ- აბრაზიული მოვლენები, მეწყერი, ღვარცოფი, ზვავი და სხვა. მთელ მაღალმთიან აჭარაში ყველაზე გავრცელებულ მოვლენაა კლიმატით გამოწვეული მეწყერი, რასაც ტყეების დეგრადაცია და მცირე დახრილობის ფერდობების სედიმენტაცია განაპირობებს.

სანაპირო ზოლის მთელ ტერიტორიაზე გვინულებს შორის რამდენიმე ადგილას ჩამოყალიბდა აბრაზიული პლასტები, რომლებიც ინტენსიურად ირეცხება, თუმცა, წყალქვეშ შეჭრილია ბეტონის კუბურებია (დამცავი სტრუქტურები). ჭოროხი-ბათუმის ტერიტორია მუდმივ სუბდექციას განიცდის. აღინიშნება სანაპირო ზოლის მკვეთრი შემცირება სოფელ ადლიასა და ბათუმში, ასევე მახინჯაურის მიმართულებით, თურქეთში მხარეში ჰესების მუშაობის შედეგად მდინარე ჭოროხის მყარი ნატანის კლების გამო.

მდ. ჭოროხი-აუზის ძირითადი მდინარეებია: i) მდინარე ჭოროხი, საერთო სიგრძე -438 კმ, აუზის ფართობი - 22,065.4 კმ²; ii) მდ. ჭოროხის შენაკადი, საერთო სიგრძით- 37 კმ და წყალშემკრები აუზის ფართობი - 369კმ²; iii) მდ. აჭარისწყალი, საერთო სიგრძით - 90 კმ, ხოლო წყალშემკრები აუზის სიგრძეა- 1,540კმ²; iv) სხალთა, აჭარისწყლის შენაკადი, საერთო სიგრძით - 29 კმ და წყალშემკრები - 220.1 კმ²; v) მდ ჩირუხისწყლის,


აჭარისწყლის შენაკადი, საერთო სიგრძით - 32 კმ და წყალშემკრები - 327,5 კმ²; vi) მდინარე ყოროლისწყალი, საერთო სიგრძით - 13 კმ და წყალშემკრები - 49.7 კმ²; vii) მდინარე ჩაქვისწყალი, საერთო სიგრძით - 23 კმ და წყალშემკრები - 173.2 კმ²; viii) მდ. აჭყვა, საერთო სიგრძით - 19 კმ და წყალშემკრები-37.9 კმ²; ix) მდინარე კინტრიში, საერთო სიგრძით - 45 კმ და წყალშემკრები აუზი -250კმ²

ნახაზი 3. ჭოროხი-აჭარისწყლის აუზის სააუზო ტერიტორიული ერთეულის ჰიდროლოგიური რუკა



აუზი მდიდარია მტკნარი მიწისქვეშა წყლებით. ზოგადად, აჭარა მიეკუთვნება აჭარა - თრიალეთის ნაოჭა სისტემას და შეიცავს აჭარა - იმერეთის წყლის სისტემას, სადაც დომინირებს დანაწევრებული ტიპის გრუნტის წყლები. შუა ეოცენის ვულკანური-დანალექები და მცირე საბადოები, აგრეთვე, ალუვიური ნალექები შეცავენ აჭარის მიწისქვეშა წყლებს, სადაც ისინი წარმოდგენილია ფოროვანი წყლების სახით.

ნახაზი 4. საქართველოში ძირითადი გრუნტის წყლის ჰორიზონტები აჭარის რეგიონში ჭოროხი-აჭარისწყლის აუზის უბანზე



2.2 ზედაპირული წყლის ობიექტები

2.2.1 ზედაპირული წყლის ობიექტების საზღვრების დადგენის პროცესი და მეთოდოლოგია

ზედაპირული წყლების¹¹ ეკოლოგიური სტატუსის დადგენის, დაგეგმვისა და ღონისძიებათა პროგრამის განხორციელების მიზნით, მდინარეები და ტბები დაიყო ცალკეულ მოცულობებად, ან ზედაპირული წყლის ობიექტებად.

წყლის ჩარჩო დირექტივის მიხედვით, „წყლის ობიექტი“ წარმოადგენს თანამიმდევრულ ქვედანაყოფს მდინარის აუზში, რომლის მიმართაც გამოიყენება დირექტივის გარემოსდაცვითი ამოცანები.

ზოგადად, "ზედაპირული წყლის ობიექტები" წარმოადგენენ წყლის ობიექტების ცალკეულ სექციებს, ან ნაწილებს, რომელიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან კონკრეტული ბუნებრივი მახასიათებლებით, ადამიანის საქმიანობის შედეგად გამოწვეული სხვადასხვა სახის ზეგავლენებით, ან სხვა რაიმე მნიშვნელოვანი და გამორჩეული პარამეტრებით (Sall *et al*, 2012). თითოეული ზედაპირული წყლის ობიექტი ექვემდებარება რეგულარულ შეფასებას წყლის ობიექტის სტატუსის გაუმჯობესების და შენარჩუნების მიზნით.

ზედაპირული წყლის ობიექტის საზღვრების დადგენა და იდენტიფიკაცია მოიცავდა წყლის ობიექტების დაყოფას სექციებად და ნაწილებად შეთანხმებული პარამეტრებისა და კრიტერიუმების მიხედვით. უფრო კონკრეტულად კი, პროცესი მოიცავდა ზედაპირული წყლის ობიექტის მდებარეობის და საზღვრების იდენტიფიცირებას და პირველად დახასიათებას ქვემოთ აღწერილი მეთოდოლოგიის შესაბამისად.

¹¹ ტერმინის "ზედაპირული წყალი" ქვეშ ჩვენ ვგულისხმობდით შიდა წყლებს, მდინარეების, არხების, ტბების, წყალსაცავების და ტბორების ჩათვლით

- მდინარის აუზი/ქვეაუზის ფარგლებში იდენტიფიცირებული იქნა ზედაპირული წყლის ობიექტები, რომლებიც განეკუთვნებიან შემდეგი ზედაპირული წყლის კატეგორიების ერთ-ერთ კატეგორიას, როგორცაა მდინარეები, ტბები, ან ძლიერ მოდიფიცირებული ზედაპირული წყლის ობიექტები;
- მდინარის აუზი/ქვეაუზის ფარგლებში თითოეული ზედაპირული წყლის კატეგორიისათვის გამოიყო შესაბამისი ზედაპირული წყლის ობიექტის ტიპები. ეს ტიპები განისაზღვრა ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის ა სისტემის გამოყენებით საერთაშორისო მდინარეთა აუზების გარემოსდაცვითი პროექტის ტექნიკური დავალების მოთხოვნის შესაბამისად (ცხრილი 3 ქვემოთ);
- მდინარის აუზი/ქვეაუზის ფარგლებში ზედაპირული წყლის ობიექტები დაიყო ეკორეგიონებად გეოგრაფიული ტერიტორიების მიხედვით. აქ განხილული საპილოტე აუზი მიეკუთვნება 24-ე ეკორეგიონს (კავკასია);
- ზედაპირული წყლის ობიექტები გამოიყო ზედაპირული წყლის ტიპის მიხედვით, რომელიც აღწერილია მე-3 ცხრილში.

ცხრილი 3. სისტემა A: მდინარეები და ტბები

ფიქსირებული ტიპოლოგია	მდინარეების აღწერა	ტბების აღწერა
ეკორეგიონი	24-ე(კავკასია)	24-ე(კავკასია)
ტიპი	სიმაღლის ტიპოლოგია • მაღალი: >800 მ • საშუალო სიმაღლის: 200 დან 800 მ-მდე • დაბლობი: <200 მ	სიმაღლის ტიპოლოგია • მაღალი: >800 მ • საშუალო სიმაღლის: 200 to 800 მ • დაბლობი: <200 მ
	სიდიდის ტიპოლოგიის წყალშემკრები აუზის ფართობზე დაყრდნობით: • პატარა: 10 -დან 100 კმ² • საშუალო: >100 -დან 1 000 კმ² • გრძელი: >1 000 -დან 10 000 კმ² • ძალიან გრძელი: >10 000 კმ²	სიდიდის ტიპოლოგიის წყალშემკრები აუზის ფართობზე დაყრდნობით: • 0.5-დან 1 კმ² • 1-დან 10 კმ² • 10 -დან 100 კმ² • >100 კმ²
		სიღრმის ტიპოლოგიის საშუალო სიღრმის მიხედვით • <3 მ • 3 -დან 15 მ • >15 მ
	გეოლოგია • კარბონატული • კაჟმინიანი • ორგანული	გეოლოგია • კარბონატული • კაჟმინიანი • ორგანული

20 კმ² -ზე მეტი წყალშემკრები აუზის მქონე ყველა მდინარე იქნა განხილული ზედაპირული წყლის ობიექტების იდენტიფიკაციის და მათი ჩამოყალიბების მიზნით. ხოლო, 20 კმ²-ზე ნაკლები წყალშემკრები აუზების მქონე მდინარეები დაიყო კატეგორიებად ცალკეული წყლის ობიექტების მნიშვნელობის მიხედვით. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მცირე მდინარე შედის დიდი აუზების შემადგენლობაში, რომელთა საფუძველზეც იმართება ზედაპირული წყლის ობიექტები. საპილოტე აუზის ტერიტორიაზე არ არსებობს არც ერთი ტბა, რომლის ფართობიც აღემატება 0.5 კმ² -ს

ზედაპირული წყლის ობიექტის ჩამოყალიბება ეფუძნებოდა წყლის ობიექტის ტიპებს ბუნებრივ (საწყის) მდგომარეობაში. ბუნებრივ პირობებში წყლის ობიექტის ტიპები განისაზღვრა თითოეული ზედაპირული წყლისათვის, ამ ობიექტების ან მათი ნაწილების ბუნებრივ მახასიათებლებზე დაყრდნობით.

მდინარეთა ტიპების იდენტიფიცირება ძირითადად ეფუძნება გეოგრაფიულ და მორფოლოგიურ მახასიათებლებს.

გამოყოფილი წყლის ობიექტის კოდირებისათვის გამოყენებული იქნა საერთაშორისო ჰიდროლოგიური კოდირების სისტემა, რომელიც ცნობილია როგორც ჰაკის მთავარი ნაკადი ან გრაველიუსის წესი (Zavoianu *et al*, 2009). ამ სისტემით, ნაკადების დაჯგუფება ხდება შენაკადების იერარქიის საფუძველზე.

თითოეულ გამოყოფილ წყლის ობიექტს ჭოროხი-აჭარისწყლის აუზის უბანზე მინიჭებული აქვს უნიკალური იდენტიფიკატორი შემდეგი ფორმატით: XxxYZZ, სადაც Xxx არის მდინარის სახელწოდების პირველი 3 ასო; Y აღნიშნავს მდინარის რიგის ნომერს:


- 0 - მთავარი მდინარე, რომელიც ჩაედინება ზღვაში,
- 1 - მთავარი მდინარის შენაკადის პირველი მდინარე,
- 2 - 1-ლი მდინარის შენაკადის მეორე მდინარე,
- 3 - მე-2 მდინარის შენაკადის მესამე მდინარე;

ZZ არის წყლის ობიექტების თანამიმდევრული ნომერი მოცემული რიგის მდინარეზე.

2.2.2 ზედაპირული წყლის ობიექტების იდენტიფიკაცია და საზღვრების დადგენა

ზედაპირული წყლის ობიექტები კლასიფიცირდება ბუნებრივ პირობებში არსებულ წყლის ობიექტებად, ძლიერ მოდიფიცირებულ და ხელოვნური წყლის ობიექტებად. განისაზღვრა 96 ზედაპირული წყლის ობიექტი ჭოროხი-აჭარისწყლის აუზის უბანზე. თავდაპირველად ხუთი ზედაპირული წყლის ობიექტი განისაზღვრა, როგორც ძლიერ მოდიფიცირებული წყლის ობიექტები. თუმცა, გენოლა- გეგავლენის ანალიზისა და რისკების შეფასების შემდეგ ძლიერ მოდიფიცირებული წყლის ობიექტების რიცხვი გაიზარდა ცხრამდე, მათ შორის რვა ზედაპირული წყლის ობიექტი მდებარეობს მდინარე ჭოროხზე და 1 ზედაპირული წყლის ობიექტი მდ. აჭარისწყლის ქვემოთ, 16-მგვ სიმძლავრის აჭქესთან. მდინარის სააუზო ტერიტორიული ერთეულის ტერიტორიაზე ხელოვნური წყლის ობიექტი არ მდებარეობს. ასევე, არ არსებობს ტბები 0.5კმ²-ზე მეტი წყლის ზედაპირის ფართობით, რომელიც იდენტიფიცირებული იქნება წყლის ობიექტად. დემარკირებული ზედაპირული წყლის ობიექტები იხილეთ ქვემოთ, რუკაზე, სურათი 5.

ნახაზი 5. ზედაპირული წყლის ობიექტები ჭოროხი-აჭარისწყლის აუზის უბანზე



ეკორეგიონის მიხედვით, ჭოროხი-აჭარისწყლის საპილოტე აუზში ყველა მდინარე მიეკუთვნება ერთი ტიპის აუზს, ხოლო სიმაღლის, გეოლოგიური ფაქტორებისა და წყალშემკრები აუზების ზომების მიხედვით მდინარეები იყოფა 9 ჯგუფად. ზედაპირული წყლის ობიექტების ტიპები ჭოროხი-აჭარისწყლის საპილოტე აუზის ფარგლებში და შესაბამისი დამახასიათებელი ფაქტორები წარმოდგენილია ქვემოთ მე-4-ე ცხრილში.

ცხრილი 4. მდინარეების ტიპოლოგია ჭოროხი-აჭარისწყლის საპილოტე აუზში

აღწერა	ტიპი										
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI
ეკორეგიონი	24										
წყალშემკრების ფართობი, კმ²	პატარა: 10 დან 100 კმ²				საშუალო: >100 დან 1 000 კმ²				გრძელი: >1 000 დან 10 000 კმ²		ძალიან გრძელი: >10 000 კმ²
გეოლოგია	კაუმიწიანი				კაუმიწიანი				კაუმიწიანი		კაუმიწიანი
სიმაღლე	<200	200-800	>800		<200		200-800	>800	<200	200-800	<200

2.3 წყლის ობიექტები დაცულ ტერიტორიებზე

სხვადასხვა ტერიტორიების დაცვის მიზანს წარმოადგენს გარკვეული რეგიონების შენარჩუნება და გარემოს დაცვა ადამიანის საქმიანობით გამოწვეული უარყოფითი გავლენისაგან, რათა შევინარჩუნოთ ადამიანის უშუალო საცხოვრებელი გარემო და სიცოცხლისუნარიანი ბუნებრივი გარემო, როგორც ერთიანი სისტემა. მდ. ჭოროხი-აჭარისწყლის აუზის უბანზე წარმოდგენილია შემდეგი დაცული ტერიტორიები: მტირალას ეროვნული პარკი, კინტრიშის ნაკრძალი და მაჭახელას ეროვნული პარკი. მტირალას ეროვნული პარკი მდებარეობს ქობულეთ-ჩაქვის ბორცვზე, აჭარა-იმერეთის ქედის დასავლეთ ნაწილში კავკასიონის მთებს შორის. ეს ტერიტორია ხასიათდება ყველაზე მაღალი ტენიანობით საქართველოში. პარკის ტერიტორია მოიცავს 16 000 ჰა-ს და წარმოდგენილია ტენიანი ტყეებისათვის დამახასიათებელი ფლორითა და ფაუნით.

ხუთი წყლის ობიექტი (ჩა001, ჩა002, ჩა003, ბებ101, მაჭ101) მდებარეობს ჩაქვისწყლის წყალშემკრებ ტერიტორიაზე, ერთი წყლის ობიექტი (Kor001) ყოროლისწყლის წყალშემკრებ ტერიტორიაზე და ერთი წყლის ობიექტი (Bar201) აჭარისწყლის წყალშემკრებ ტერიტორიაზე დაცული ტერიტორიების ფარგლებში. კინტრიშის ნაკრძალი დაარსდა 1959 წელს, მდებარეობს ქობულეთის რაიონში, მდინარე კინტრიშის ზედა დინებაში 450-2000მ-ზე ზღვის დონიდან.

ნაკრძალის საერთო ფართობია 13.893 ჰა, აქედან 12.817 ჰა ტყე, 200 ჰა-მდელო და 966 ჰა-რეზერვუარებია. კინტრიშის ნაკრძალი მოიცავს ორი წყლის ობიექტს (კინ001 და კინ002) მდ. კინტრიშის წყალშემკრების ფარგლებში. მაჭახელას ეროვნული პარკი დაარსდა 2012 წლის ივლისში მდ.მაჭახელას ხეობაში. ეროვნული პარკი დაარსდა უნიკალური ბიოლოგიური სახეობების და ლანდშაფტური მრავალფეროვნების დაცვისა და გრძელვადიანი კოლხური ტყის ეკოსისტემების შენარჩუნების მიზნით, ასევე, ტურიზმის განვითარებისა და რეკრეაციული საქმიანობის ბუნებრივი და უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად. ახალი ეროვნული პარკი მცირე კავკასიონის დერეფანია და მოიცავს 9,000 ჰა-ს. მაჭახელის (მაჭ102, მაჭ103, მაჭ16, მაჭ108 და სკ201) დაცულ ტერიტორიაზე არსებობს ხუთი ზედაპირული წყლის ობიექტი.

ბემოთ ხსენებული ზედაპირული წყლის ობიექტები მდებარეობენ დაცულ ტერიტორიებზე, 1-კორ 001 ერთ-ერთი სასმელი წყლის წყაროა ბათუმის წყალმომარაგების სისტემისთვის. კიდევ ერთი წყარო მდებარეობს ჩაქვში მდ. ჩაქვისწყალზე (ჩა 004). რადგანაც ეს სასმელი წყლის წყაროებია, მათ გააჩნიათ სანიტარული დაცვის ზონები.


2.4 მიწისქვეშა წყლის ობიექტები

ჭოროხი-აჭარისწყლის საპილოტე აუზში სულ 13 მიწისქვეშა წყლის ობიექტი (ცხრილი 6, სურათი 4) განისაზღვრა ჰიდროგეოლოგიური დაყოფის და არსებული წყალშემცველი ჰორიზონტების მახასიათებლების მიხედვით. ყველა მიწისქვეშა წყლის ობიექტი, გარდა საზღვაო წყლის დეპოზიტებისა, გამოიყენება სასმელად, სასოფლო-სამეურნეო და/ან სამრეწველო მიზნებისათვის, წყალაღება დაახლოებით 10მ³/დ-ია. დანართ 5-ის ცხრილში მოცემულია მიწისქვეშა წყლების ობიექტების უფრო დეტალური აღწერა.

ცხრილი 5. წინასწარ განსაზღვრული მიწის ქვეშა ობიექტები ჭოროხი-აჭარისწყალის აუზში, საქართველო

წყალშემცველი ჰორიზონტის დასახელება	წყალშემცველი ნალექები და ქანები	იდენტიფიცირებული მიწისქვეშა წყლის ობიექტების რაოდენობა	GWB დროებითი კოდები მიწისქვეშა წყლის ობიექტები
წყალშემცველი შუა ეოცენის ვულკანოგენურ-დანალექი ქანები(P2 ²)	ლავა, ვულკანური ბრექჩიის, ტუფი და ტუფის-ქვიშა	3	G101, G102, G103
სპორადულად გავრცელებული ალუვიური მეოთხეული ჰორიზონტები	თიხოვანი ნამსხვრევი მასალა, საფუძვლად უდევს ვულკანოგენური ქანები	1	G200
ახალგაზრდა დანალექი და ალუვიური ჰორიზონტები	კენჭი, ხრეში, ქვიშა, თიხა	2	G301, G302
წყალშემცველი ჰორიზონტი ბოლოდროინდელი ალუვიური ნალექებით	კენჭი, ხრეში, ქვიშა	1	G400
წყლის წყალშემცველი კომპლექსი ზედა მიოცენი-ქვედა პლიოცენური (N1 ³ +N2 ¹)	ანდეზიტებით, ბაზალტი	2	G501, G502
წყალშემცველი ჰორიზონტი ბოლოდროინდელი ხიფ დეპოზიტებისა	ლამი, ქვიშა, თიხა ტორფის შიდა ფენებით	1	G600
წყლის წყალშემცველი კომპლექსი პლიოცენის ნალექებში (N2)	კონგლომერატები, ქვიშაქვები, თიხები	1	G700
წყალშემცველი ჰორიზონტი ინტრუზიულ ქანების შუა ეოცენი (YP2 ²)	სიენიტები, დიორიტები	1	G800
ბოლოდროინდელი სამღვაო ნალექების წყალშემცველი ჰორიზონტი	ოვალური ქვები და ქვიანი შიდა ფენა თიხის და თიხნარი	1	G900
	ჯამი	13	

ნახაზი 6. საქართველოს მიწისქვეშა წყლის ობიექტები ჯოროხი-აჭარისწყლის აუზის უბანზე




3.0 მნიშვნელოვანი ზენოლა და ზეგავლენა რისკის ქვეშ მყოფი წყლის ობიექტებში და ძლიერ მოდიფიცირებულ წყლის ობიექტებში

3.1 ადამიანის საქმიანობა საკვლევ ტერიტორიაზე

3.1.1 მოსახლეობა

საქართველოს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, 2013 წლის 1 იანვრისთვის აჭარის მთლიანი მოსახლეობა¹² შეადგენდა 394.2 ათასს. მოსახლეობის დაახლოებით 81% ცხოვრობს ქალაქ ბათუმში, ქობულეთში და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში, მოსახლეობის უმაღლესი კონცენტრაცია აღინიშნა ქალაქის ტიპის დასახლებებში. მოსახლეობის სიმჭიდროვე მაღალია დაბლობში და 5-6-ჯერ ნაკლებია მაღალმთიან აჭარაში.

ნახაზი 7. სხვადასხვა მუნიციპალიტეტების ფარდობითობა აჭარის მოსახლეობის მთლიან რაოდენობასთან. მოსახლეობის რაოდენობა გამოსახულია 1000-ში და %-ში (1 იანვარი, 2013)



ცხრილი 6. აჭარის მოსახლეობის სიმჭიდროვე მუნიციპალიტეტების მიხედვით (2013 წლის 1 იანვრიდან)

ადგილმდებარეობა	მოსახლეობა ¹³	ფართობი, კმ ¹⁴	მოსახლეობის სიმჭიდროვე, პირზე /კმ2
ბათუმი	160000	64.94	2463.8
ქედა	20500	459.00	44.7
ქობულეთი	92900	741.3	125.3
შუახევი	22800	577.60	39.5
ხელვაჩაური	62100	356.40	174.2
ხულო	35900	652.40	55.0
მთლიანი ანარა	394200	2899.12	136.0
საშუალო აჭარა			490.4

¹² წყარო: დემოგრაფიული სიტუაცია საქართველოში, სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი 2013. http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/population/15.10.2013_krebuli%202012.pdf


¹³ წყარო: დემოგრაფიული სიტუაცია საქართველოში, სტატისტიკის ეროვნული სამსახური თბილისი 2013. 2013. http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/population/15.10.2013_krebuli%202012.pdf

¹⁴ წყარო აჭარის სივრცული მოწყობის გეგმა, 2012


რაც შეეხება მოსახლეობის ზრდის დინამიკას, აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში აღინიშნა აჭარის მოსახლეობის უმნიშვნელო წლიური ზრდა 2006, 2011, 2012 წლებში. 2012 წელს წინა წელთან შედარებით წელს მოსახლეობა მხოლოდ ბათუმში გაიზარდა 27%-ით, მოსახლეობის ზრდა შემცირდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში 35%-ით, შუახევის მუნიციპალიტეტში 0.4%-ით, ქობულეთის მუნიციპალიტეტში 0.1%-ით, ხულოსა და ქედის მუნიციპალიტეტებში მოსახლეობის ზრდის მაჩვენებელი სტაბილური დარჩა.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს მრავალწლიანი რყევები მიეწერება ორ ძირითად ფაქტორს: i) მოსახლეობის ბუნებრივ ზრდას და ii) შიდა მიგრაციას სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან ბათუმში, ისევე, როგორც მაღალმთიანი რეგიონებიდან ბარში და ქალაქის დასახლებებში. მოსახლეობის 27%-იანი ზრდა ბათუმში 2012 წელს გამოწვეულია ძირითადად სხვა ტერიტორიებიდან შიდა მიგრაციით, ხოლო მკვეთრი შემცირება ხელვაჩაურში აიხსნება მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის უარყოფითი კოეფიციენტით (მაგ., სიკვდილიანობა აღემატება შობადობას)


ნახაზი 8. მოსახლეობის ზრდის წლიური დინამიკა აჭარის მუნიციპალიტეტებში (ათასებში) 2006-2012 წლებისათვის



ნახაზი 9. 2007-2012 მოსახლეობის წლიური ზრდის ტემპი (%) აჭარის მუნიციპალიტეტებში




ნახაზი 10. 2007-2012 მოსახლეობის წლიური ბუნებრივი ზრდა (%) აჭარის მუნიციპალიტეტებში



3.2.1 ეკონომიკური საქმიანობა

ზოგადი პარამეტრები. დღეისათვის რეგიონის მთლიანი შიდა პროდუქტი (იზომება როგორც მთლიანი დამატებითი ღირებულება, საქართველოს სტატისტიკური აღრიცხვის სისტემიდან გამომდინარე) აჭარაში 2012 წელს შეადგენდა დაახლოებით 1,675.4 მილიონ ლარს ან მთლიანი შიდა პროდუქტის 7.8%-ს საბაზისო ფასებში. ეს სიდიდით მე-4 რეგიონული პროდუქტია საქართველოში, თბილისის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთისა და ქვემო ქართლის რეგიონების შემდეგ¹⁵. ერთ სულ მოსახლეზე რეგიონული პროდუქტი დაახლოებით 4.363 ლარს შეადგენდა, რაც საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 91.3%-ია (2,623 აშშ დოლარი).

ნახაზი 11. მთლიანი დამატებითი ღირებულება საქართველოს რეგიონებში 2007-2012 წლებში, მლ. ლარი, საბაზისო ფასებში




რეგიონში ძირითადი ეკონომიკური საქმიანობებია მომსახურება (მდლ-ს 26%), მშენებლობა (მდლ-ს 12%), სავაჭრო და სარემონტო სამუშაოები (სულ მთლიანი დამატებითი ღირებულების 12%). სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო დარგები სათითაოდ დაახლოებით, მთლიანი დამატებითი ღირებულების 7-8%-ს შეადგენს.

ნახაზი 12. მთლიანი დამატებითი ღირებულება აჭარაში ეკონომიკური საქმიანობის ტიპების მიხედვით, მილიონი ლარი მიმდინარე ფასების პირობებში, 2012¹⁶

¹⁵ საქართველოს ეროვნული სტატისტიკური ანგარიში .სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2012.თბილისი http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/nad/krebuli.2012.pdf

¹⁶ წყარო : საქართველოს ეროვნული სტატისტიკური ანგარიში .სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2012.თბილისი http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/nad/krebuli.2012.pdf



სამრეწველო ობიექტები და საწარმოები. 2011 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სხვადასხვა კომპანიებს შორის, სავაჭრო და სარემონტო მცირე და საშუალო საწარმოების რაოდენობა ყველაზე მეტი იყო, დაახლოებით 2000. 2011 წელს რეგისტრირებული იყო 390-ზე მეტი გადამამუშავებელი საწარმო, 360 სამშენებლო საწარმო, და ამდენივე სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესი. გადამამუშავებელ მრეწველობაში ყველაზე დიდი წილი მოდიოდა კვების, სასმელების და თამბაქოს წარმოებაზე, რაც მთლიანი პროდუქციის 40%-ს შეადგენდა. გადამამუშავებელი და არალითონური მინერალური პროდუქტების საწარმოების რაოდენობა (მაგ., ასფალტის დაგება) უდრიდა 22%-ს, ხე-ტყის გადამამუშავებელი და ავეჯის საწარმოების რიცხვი შეადგენდა 14%-ს და საფეიქრო საწარმოები -12%-ს¹⁷.

ყველაზე დიდი სამრეწველო ობიექტი ბათუმის ნავთობტერმინალია, რომელიც ამუშავებს 185 ტანკერს (თითოეულის ტევადობაა 300 მ³- 10,000 მ³) რაც ჯამში იტევს 581.000 ტონა ნავთობს. ტანკერები განთავსებულია 5 დეპოში (სატანკერო საწყობი), საიდანაც სამი ტანკერი განკუთვნილია ნედლი ნავთობისთვის (ხოლოდნაია სლობოდა, კაპრეშუმი და ბარცხანა) და 2 სატანკერო დეპო განკუთვნილია საწვავის, დიზელის, ბენზინის, ავიასაწვავისა და თხევადი გაზისთვის (2008 წელს თხევადი გაზის ტერმინალის ტევადობა გაიზარდა 5,000 მ³-მდე) , ყველა ტანკერი აშენდა ან აღდგა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში¹⁸.

¹⁷წყარო : აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო. <http://www.mofea.ge/page.php?id=28>

¹⁸ წყარო : <http://www.terminal.akdesignst.com/?lng=eng&act=specification>

სურათი 13. ბათუმის ნავთობტერმინალის შესანახი რეზერვუარების ფოტო



სურათი 14. ნავთობტერმინალის მთავარი სადგურის ფოტო



ქვიშა-ხრემის ამოღება. აღსანიშნავია, რომ არსებობს მრავალი სამშენებლო კომპანია, რომელიც მოიპოვებს ქვიშასა და ხრემს აჭარისწყლის მდინარიდან. ბოლო წლების განმავლობაში ასეთი ოპერაციები ხორციელდებოდა მდინარე ჭოროხზე. თუმცა, 2014 წელს ქვიშის და ხრემის მოპოვება ამ მდინარიდან შეწყდა გაცემული ლიცენზიების ვადის გასვლის გამო. ქვემოთ მოცემულია აჭარაში ქვიშის და ხრემის მოსაპოვებლად გაცემული ლიცენზიების ცხრილი # 4

ცხრილი 7. 2014 წელს გაცემული ლიცენზიები ქვიშის და ხრეშის მოპოვებაზე აჭარაში¹⁹

#	ადგილმდებარეობა	მდინარე	მოცულობა, მ ³
1	ქედის მუნიციპალიტეტი. სოფ.წონიარისი	წონიარისი, აჭარისწყლის აუზი	20500
2	ქედის მუნიციპალიტეტი. სოფ.წონიარისი	წონიარისი, აჭარისწყლის აუზი	21300
3	ქედის მუნიციპალიტეტი. სოფ.წონიარისი	წონიარისი, აჭარისწყლის აუზი	20900
4	ხულოს მუნიციპალიტეტი სოფ. ჩერი	სხალთა	17400
5	ქედის მუნიციპალიტეტი. სოფ.წონიარისი	წონიარისი, აჭარისწყლის აუზის	15900
6	ქედის მუნიციპალიტეტი. სოფ.თსონიარისი	წონიარისი, აჭარისწყლის აუზი	16000
7	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	აჭარისწყალი	27900
8	ქედის მუნიციპალიტეტი სოფ.დოლოგანი	დოლოგანი აჭარისწყლის აუზი	22500
9	შუახევის მუნიციპალიტეტი სოფ. მახალიკაძეები	ჭირუხი	7650

სოფლის მეურნეობა. აჭარაში არსებული მიწის რესურსების დეფიციტი გამოწვეულია მთიანი რელიეფის გამო, სასოფლო-სამეურნეო მიწები იკავებს რეგიონის საერთო ფართობის მხოლოდ დაახლოებით 25% (72,862 ჰა), საიდანაც 52% საძოვრებს ეთმობა. ქვემოთ მოცემულია აჭარის სასოფლო-სამეურნეო მიწების სტრუქტურა.

ცხრილი 8. სასოფლო-სამეურნეო მიწების სტრუქტურა მუნიციპალიტეტების მიხედვით²⁰

მიწის კატეგორია	მიწის ფართობი (ჰა) მუნიციპალიტეტების მიხედვით					ჯამი მიწის კატეგორიის მიხედვით	% წილი მიწის კატეგორიის მიხედვით
	ხულო	შუახევი	ქობულეთი	ხელვაჩაური	ქედა		
სახნავ-სათესი მიწები	2463	1367	2132	2466	2466	10894	21%
მუდმივი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები	45	158	2724	3440	293	6660	13%
საძოვრები და სათიბები	19387	12102	688	0	2340	34517	66%
სულ მუნიციპალიტეტების მიხედვით	21895	13627	5544	5906	5099	52071	100%
% წილი მუნიციპალიტეტების	42%	26%	11%	11%	10%	100%	

როგორც ზემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, სასოფლო სამეურნეო მიწები ყველაზე დიდ ფართობს ხულოს (42%) და შუახევის (26%) მუნიციპალიტეტებში იკავებენ. ხულოში, ქედასა და ხელვაჩაურში მთელი სახნავი მიწების 69%-ია თავმოყრილი, თითოეული მათგანი მთლიანი ფართობის 23% იკავებს, ქობულეთისა და შუახევის მუნიციპალიტეტებში სამეურნეო მიწა მთლიანად სახნავი მიწების 20% და 13% -ს შეადგენს, შესაბამისად. ხელვაჩაურში სასოფლო-სამეურნეო მიწა მუდმივი სახნავ-სათესი მიწების მთლიანი ფართობის დაახლოებით 52% -ს უდრის, ხოლო ქობულეთის მუნიციპალიტეტში 41%-ს. მუდმივი სახნავ-სათესი და სათიბების მიწის ფართობის დაახლოებით 56% ხულოს მუნიციპალიტეტშია თავმოყრილი, 35% შუახევში, 7% ქედაში და 2% ქობულეთის მუნიციპალიტეტში.

¹⁹ წყარო: აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო

²⁰ წყარო: ხულოს, ქედას, შუახევისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიები 2012-2012 ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი „ინტელექტი“.

[http://www.intellect.org.ge/index.php?m1=2&m3=10&rf=library&type=8&subtype=6&lang=ge;](http://www.intellect.org.ge/index.php?m1=2&m3=10&rf=library&type=8&subtype=6&lang=ge)


კლიმატის ცვლილების ადაპტაციისა და მიტიგაციის სტრატეგია მუნიციპალიტეტების დონეზე კლიმატის ცვლილების

ინსტიტუციონალიზაცია საქართველოს რეგიონებში. USAID/NALAG USAID/NALAG. www.nala.ge

ცხრილი 9. საშუალო ფართობი და სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების რაოდენობა აჭარაში²¹

მუნიციპალიტეტი	მცირე საოჯახო მეურნეობები			მსხვილი ფერმები		
	ფერმების საშუალო ფართობი თითო ოჯახზე (ჰა)	ნაკვეთების საშუალო რაოდენობა თითო ოჯახზე	ცალკეული ნაკვეთის საშუალო სიდიდე (ჰა)	მსხვილი ფერმების საშუალო სიდიდე (ჰა)	ფერმების საშუალო რაოდენობა	ცალკეული ნაკვეთის საშუალო სიდიდე (ჰა)
აჭარა: ჯამურად	0.5	1.8	0.27	128.99	3.0	42.35
ქობულეთი	0.33	1.4	0.24	162.36	3.0	54.12
ხელვაჩაური	0.27	1.3	0.20	88.95	3.1	28.69
ქედა	0.63	2.2	0.28	-	-	-
შუახევი	1.31	3.0	0.43	-	-	-
ხულო	0.78	3.0	0.26	-	-	-

ნახაზი 15. სასოფლო სამეურნეო მიწები აჭარაში²²



სოფლის მეურნეობის სექტორში წამყვანი დარგებია ციტრუსისა და ხილის მოყვანა, მე-ბოსტნეობა, მეცხოველეობა, აგრეთვე განვითარებულია მევენახეობა, მემცენარეობა, ჩაის წარმოება, მეფუტკრეობა, თამბაქოს მოყვანა, და ა.შ.


2008-2012 წლებში, რეგიონში გამოყენებული სასუქების რაოდენობა სულ 19,000 ტონას უდრიდა, ხოლო საშუალო წლიური რაოდენობა - 3,800 ტონას.

ეს ციფრი შეადგენს ქვეყნის მასშტაბით გამოყენებული სასუქების რაოდენობის (265,800 ტ) და ასევე საშუალო მაჩვენებლის (53,160 ტ) 7%-ს შეადგენს, რაც მე-6 უდიდესი მაჩვენებელია ყველა რეგიონის მონაცემებს შორის. სულ გამოყენებული აზოტოვანი სასუქების რაოდენობამ 2008-2012 წლებში დაახლოებით 90% შეადგინა. სასუქები გამოყენებული იქნა მხოლოდ მუდმივ სასოფლო-სამეურნეო სახნავ-სათეს მიწებზე, რომელთა საშუალო წლიური ფართობი 3,120 ჰა-ს უდრიდა.

²¹ წყარო: აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრატეგიული სამოქმედო გეგმა, 2012-2014 (USAID).
https://www.google.ge/url?sa=t&url=https://www.adjara.gov.ge%2Fuploads%2Fdocs%2Fa42bcf08679844c3a99a66151769.doc&ei=uMbUU6qpJsTMygOCloH4BQ&usg=AFQjCNGVvKfCz-0l0EmFoGTE_qYhdGFoQ&cad=rjt


²² წყარო: აჭარის სივრცული მოწყობის გეგმა, 2012

ნახაზი 16. სულ გამოყენებული სასუქების რაოდენობა ტონებში, 2008-2012 წწ²³



2008-2012 წლებში სახნავ-სათეს მიწებზე არაორგანული სასუქის მოხმარების საშუალო წლიურმა მაჩვენებელმა ჰექტარზე (ჰა) დაახლოებით 1.2 ტონა შეადგინა, რაც 3.4-ჯერ მეტია, ვიდრე მუდმივი და წლიური სახნავ-სათესი მიწების საშუალო მოხმარება ჰექტარზე ქვეყნის მასშტაბით იმავე პერიოდში. ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია საქართველოსთვის, რაც მიუთითებს აჭარაში მუდმივი სახნავ-სათესი მიწების შესაძლო მნიშვნელოვან დატვირთვაზე.

ნახაზი 17. არაორგანული სასუქებით დამუშავებული მუდმივი სახნავ-სათესი მიწების ფართობი (ჰა), 2008-2011²⁴



რაც შეეხება პესტიციდების გამოყენებას, ბოლო ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში გამოყენებული რაოდენობის შესახებ მონაცემები არ მოიპოვება. ინფორმაცია არსებობს

²³ წყარო: საქართველო და სოფლის მეურნეობა . სტატისტიკური პუბლიკაცია . თბილისი 2013.სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/agriculture/2012%20wlis%20soflis%20meurneoba.pdf

²⁴ წყარო: საქართველო და სოფლის მეურნეობა . სტატისტიკური პუბლიკაცია . თბილისი 2013.სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/agriculture/2012%20wlis%20soflis%20meurneoba.pdf

მხოლოდ იმ პერიოდში პესტიციდებით დამუშავებული ფართობების შესახებ. 2008 წლიდან 2012 წლამდე, საშუალოდ 1,302 ჰა მუდმივი სახნავ-სათესი მიწა დამუშავდა პესტიციდებით, რაც მთლიანი სახნავ-სათესი მიწის ტერიტორიის მხოლოდ 20%-ს შეადგენს.

რაც შეეხება პირუტყვის სულადობას და სიმჭიდროვეს, 2011 წლის მონაცემების მიხედვით, ყველაზე დიდი რაოდენობით პირუტყვი დაფიქსირდა ხულოს მუნიციპალიტეტში (47%), ხოლო ყველაზე მცირე-ქედის მუნიციპალიტეტში (11%). თუმცა, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ყველაზე დიდი რაოდენობა (29.1) ერთ ჰექტარზე აღინიშნებოდა ქობულეთის მუნიციპალიტეტში, შემდეგ ქედის (4), ხულოს (2) და შუახევის (1.3) მუნიციპალიტეტებში. ეს რაოდენობა ლოგიკურია ტერიტორიის თავისებურების გამო (ქობულეთის გარშემო დაბლობია).

ცხრილი 10. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით, 2011 წ²⁵

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობრივი მაჩვენებლები	პირუტყვის მთლიანი რაოდენობა და მათი რიცხვი ერთ ჰა-ზე თითოეულ მუნიციპალიტეტში				
	სულ	შუახევი	ქობულეთი	ხელვაჩაური	ქედა
სულ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა	39500	15663	20000	უცნობია	9515
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის პროცენტული რაოდენობა	47%	18%	24%		11%
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა საძოვრების ერთ ჰა-ზე	2	1.3	29.1		4

მეთევზეობა. აჭარაში 91 თევზსაშენია, რომელთაგან ამჟამად მხოლოდ 72 ფუნქციონირებს. 2011 წელს თევზის წარმოებამ მიაღწია წლიურ 277,2 ტ-ს, ხოლო ამ ფერმების მაქსიმალური წარმადობა 678ტ იყო.

ცხრილი 11. თევზსაშენები მუნიციპალიტეტების მიხედვით

მუნიციპალიტეტი	# თევზსაშენების რაოდენობა			პროდუქტიულობა (ტონებში)		ფართობი (მ²)			მეორადი ნედლეული(ტონებში)
	ჯამი	მათ შორის				ჯამი	მათ შორის		
		ფუნქციონირებს	არა-ფუნქციონირებს				სახელმწიფო	კერძო	
ქობულეთი	9	8	1	40.5	105	3950	2800	1150	40
ხელვაჩაური	18	16	2	40.2	199	3840	140	3700	43
ქედა	56	41	15	177.5	340	9350	7055	2295	198
შუახევი	6	5	1	16	28	500	60	440	6
ხულო	2	2	0	3	6	200	0	200	3
ჯამი	91	72	19	277.2	678	17840	10055	7785	290

3.2.2 წყლის გამოყენება

წყალადება და მოხმარება. ამჟამად, ძირითადი წყალმომხმარებელი საპილოტე აუზში ჰიდროელექტრო სექტორია, რომელსაც მოსდევს სასმელი წყალმომარაგების სისტემა, თევზჭერისა და მრეწველობის სექტორი. უფრო კონკრეტულად, 2013 წელს სულ ჯამში

²⁵ წყარო: კლიმატის ცვლილების ადაპტაციისა და მიტიგაციის სტრატეგია მუნიციპალიტეტების დონეზე კლიმატის ცვლილების ინსტიტუციონალიზაციისა და ქართვლის რეგიონებში. USAID/NALAG USAID/NALAG. www.nala.ge

1,041.82 მილიონი მ³ წყალი იქნა ამოღებული ჭოროხის-აჭარისწყლის აუზიდან. ამ რაოდენობიდან მხოლოდ 11,65 მლნ მ³ (~ 1.12%) მოდიოდა მიწისქვეშა წყალზე. დარჩენილი ამოღებული იქნა ზედაპირული წყლებიდან. მთლიანად ამოღებული რაოდენობიდან, 1 033,41 მლნმ³ (~ 99.2%) იქნა გამოყენებული, დანარჩენი კი დაიკარგა წყალმომარაგების სისტემებში. საერთო რაოდენობიდან 42.52 მლნ მ³ (~ 4.1%) მოიხმარა წყალმომარაგების სექტორმა, 973,5 მლნ მ³ (~ 94.2%) - ჰესმა, 15,74 მლნ მ³ (1.5%) - მოხმარდა თევზის წარმოებას და 1,886 მილიონი (~ 0.2 %) - მრეწველობას.

მდინარეთა აუზებიდან წყალსარგებლობის მიხედვით ყველაზე დიდი ოდენობით წყალი ამოღებული იქნა აჭარისწყლის აუზიდან (842.19 მლნ მ³ - მთლიანი წყალაღების 81%), ძირითადად ჰიდროელექტროსადგურების მოხმარების გამო, აჭარისწყლის აუზის შემდეგ ყველაზე წყლის ყველაზე დიდი რაოდენობა ამოღებული იქნა მდინარე ჭოროხის აუზიდან (146.7 მილიონი მ³ - 14.08%). ამ შემთხვევაშიც წყლის ძირითადი მომხმარებელი ჰესია. წყალაღების სიდიდით მესამე ადგილზეა ჩაქვისწყლის აუზი (31.2 მილიონი მ³), რომელსაც მეტწილად ბათუმის წყალმომარაგების სისტემა მოიხმარს²⁶.

ცხრილი 12. 2013 წლის წყალაღების და მოხმარების სტატისტიკა

მდინარე	წყალაღება, მილიონი მ3		მომხმარებლები, მილიონი მ3				
	ჯამი	მიწისქვეშა წყლები include ჯამში	ჯამი	სპეციფიური მომხმარებლები			
				სასმელ-საყოფაცხოვრებო	ინდუსტრიული	ჰიდროენერგეტიკის	მეთევზეობის
მდინარე ჭოროხის აუზი	146.7	5.216	145.15	9.8	0.8	132.6	2.05
მდ. ჭოროხი	13.55	5.216	12	9.8	0.8		1.5
ჭარნალი	0.55		0.55				0.55
მაჭახელა	132.6		132.6			132.6	
აჭარისწყლის აუზი	842.19	0.014	842.06	1.32	0.026	828.8	11.9
აჭარისწყალი	807.2	0.014	807.11	0.47	0.026	801.3	5.3
აქვარეთა	5.7		5.7				5.7
ჩირუხისწყალი	28.4		28.4			27.5	0.9
საციხური	0.89		0.85	0.85			
ბარცხანას აუზი	0.02	0.02	0.02	0	0.02	0	0
ბარცხანა	0.02	0.02	0.02		0.02		
კინტრიშის აუზი	21.5	6.4	19.9	7.2	0.04	12.1	0.7
კინტრიში	8.7	6.4	7.1	7.2	0.04		
აჩხვა	0.6		0.6				0.6
კინკიშა	12.2		12.2			12.1	0.1
ქუბასწყლის აუზი	0.2	0	0.2	0	0.2	0	0
ქუბასწყალი	0.2		0.2		0.2		
ყოროლისწყლის აუზი	6.1	0	5.2	5.1	0.01	0	0
ყოროლისწყალი	6.1		0.08		0.08		
ჩაქვისწყლის აუზი	31.2	0	26	24.2	0.7	0	1.14
ჩაქვისწყალი	31.2		26	24.2	0.7		1.14
ჯამი	1047.82	11.65	1038.531	47.62	1.856	973.5	15.79

ქ. ბათუმი სააუზო უბანში სასმელი და ტექნიკური წყლის მსხვილი მომხმარებელია. 2012 წელს მისი წილი სასმელი წყლის გამოყენებაზე მთელი რეგიონის მასშტაბით 57%-ს შეადგენდა, რაც აჭარის მოსახლეობაში სასმელი წყლის სერიოზული პრობლემების არსებობაზე მიუთითებს, განსაკუთრებით მაღალმთიანი რეგიონების მაცხოვრებლებში. სიდიდით მეორე მსხვილი მომხმარებელია ქალაქი ქობულეთი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმის წყალმომარაგების სისტემა წყალაღებას ჩაქვისწყლისა და ყოროლისწყლის სათავე ნაგებობიდან ახორციელებს, ხოლო ქალაქი ქობულეთი-მდინარე კინტრიშის ფილტრატიდან. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ

²⁶ წყარო: წყლის მოსარგებლეთა მონაცემთა ბაზა 2012 საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

ორივე მდინარე, რომელსაც ძირითადი წყალმომხმარებლები იყენებენ, გარკვეული ზეწოლის ქვეშ იმყოფება.

სურათი 18. ჩაქვისწყლის წყალაღების სადგური



მდინარე ყოროლისწყალი თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით იკვებება. წყლის რეჟიმი ხასიათდება სუსტი წყალდიდობით ზაფხულში და მთელი წლის განმავლობაში კოკისპირული წვიმებით გამოწვეული წყალმოვარდნებით. მტირალას მთა, რომელიც 1,381,9 მ სიმაღლეზე მდებარეობს, მდინარის აუზის აღმოსავლეთით, ცნობილია მაღალი წლიური ნალექიანობით - 4,519 მმ. ყოროლისწყლის საშუალო წლიური ხარჯია 3.3მ³ / წმ, რომელიც რეგულირდება წყალაღებით სასმელი და ტექნიკური წყლის მოხმარების მიზნით, რაც 0,2მ³ / წმ²⁷ შეადგენს.

მსგავსი სიტუაციაა მდინარე ჩაქვისწყალზე. თუმცა, ამ მდინარის წყლის დონე ბევრად უფრო მაღალია და სეზონური ჩამონადენი კი უფრო სტაბილური, ვიდრე მდ. ყოროლისწყალის. უფრო კონკრეტულად კი, მდინარე ჩაქვისწყლის მრავალწლიანი საშუალო ხარჯი არის 9,89მ³ / წმ, ხოლო გათვლილი სიმძლავრის ნაკადი მხოლოდ 1.15 მ³/წმ-ია. ამ მონაცემებზე დაყრდნობით მდინარე ჩაქვისწყალმა უნდა დაკარგოს მხოლოდ 11.6%, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვანი მდინარის ხარჯია წყლის ორგანიზმებისათვის. თუმცა, თუ მხედველობაში მივიღებთ მდინარის მინიმალურ წლიურ ჩამონადენს (1.172 მ³/წმ), მდინარის ნაკადი ჩაქვისწყალში შეიძლება 66.8% -მდე შემცირდეს, რამაც შეიძლება სერიოზული ზეგავლენა იქონიოს მდინარის ეკოსისტემებზე მდინარის იმ ნაწილში, რომელიც წყალაღების ობიექტის ქვემოთაა.

უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარეობს, ან უახლოეს მომავალში დაგეგმილია მნიშვნელოვანი სარეაბილიტაციო სამუშაოები, მათ შორის სათავე ნაგებობის და სადისტრიბუციო ქსელების განახლება, გამრიცხველიანება, რაც შესამჩნევად შეამცირებს წყლის დანაკარგებს სისტემებში, ასევე ზეწოლას სასმელი წყლის წყაროებზე ბათუმსა და პატარა ქალაქებში. ქვემოთ მოყვანილია აჭარის წყალმომარაგების სისტემების ძირითადი მონაცემები:

ცხრილი 13. 2014 წლის ძირითადი წყალმომარაგების სისტემების მონაცემები აჭარაში²⁸

²⁷ მონაცემები საშუალო წლიური წყალაღებისა და წყლის ხარჯის შესახებ გადამოწმდა სხვადასვა წყაროდან და შესწორდა შესაბამისად, როგორც 3.3 მ³/წ და 0.2 მ³/წ

²⁸ წყარო: ბათუმის, ხულოს, შუახევის, ქობულეთისა და ქედის წყლის კომპანიები

თარიღი	ბათუმის წყალი	ხულოს წყალი	შუახევის წყალი	ქედის წყალი
მოსახლეობის რაოდენობა	130 000	2486	2713	2500
მომხმარებლების რაოდენობა	56734	684	669	563
წყლის მოხმარების ტარიფი	100%	100%	100%	100%
წყლის მოსაკრებელი	შინამეურნეობები: 0.51 ლარი; კომერციული: 4.0 ლარი	0	0	0
წყლის მოსაკრებლის ამოღების მაჩვენებელი	100%	-	-	-
ქლორირება	დიახ	დიახ	დიახ	დიახ
წყლის მოხმარება მ3/დ	95 000	934	124	268
სასმელი წყლის წყარო / სათავო ნაგებობის ტიპი	ჭაბურღილი და კაპტაჟი	კაპტაჟი	კაპტაჟი	კაპტაჟი
# და რეზერვუარის მოცულობა	4 ერთეული: 20 000 მ3	1 ერთეული: 1000 მ3	3 ერთეული: 800 მ3	4 ერთეული: 740 მ3
სიგრძე და ძირითადი მილის დიამეტრი , კმ	ს: 54 კმ. დ: 800/ 1200 მმ.	ს: 11 კმ; დ: 275 მმ	ს: 22 კმ; დ:100/125/150მ მ	ს:29 კმ, (2 მთავარი მილები15 და14 კმ) დ: 100 მმ. 14 კმ - 140 მმ)
სადისტრიბუციო ქსელის სიგრძე	231 კმ	2.8 კმ	6 კმ	4 კმ
გამრიცხველიანების მაჩვენებელი	58%	0%	0%	0%
ფაქტური საოპერაციო ხარჯები	4,347,000 ევრო	60,000 ევრო	51,000 ევრო	52,000 ევრო
რეაბილიტაციის შემდგომი საჭირო საოპერაციო ხარჯები		43,000 ევრო	37,000 ევრო	37,000 ევრო
უკანასკნელი რეაბილიტაცია	2010	2010	2014	2014
დაგეგმილი რეაბილიტაცია	მიმდინარეობს ქალაქის 1,200 მმ დიამეტრის და 22 კმ-იანი მაგისტრალის რეაბილიტაცია, ჩაქვისა და მახინჯაურის დასახლებების გათიშვა ბათუმის სისტემიდან, შიდა ქსელის ჩანაცვლება ბენზენის და ბონის რაიონებში, ქალაქის სრული გამრიცხველიანება			4 კმ სიგრძის ძირითადი მილის და რეზერვუარის რეაბილიტაცია; გამრიცხველიანება
საჭირო სარეაბილიტაციო სამუშაოები		1 კმ სიგრძის ძირითადი მილის და 2-კმ-იანი მონაკვეთის სადისტრიბუციო ქსელის რეაბილიტაცია; გამრიცხველიანება	1 კმ სიგრძის ძირითადი მილის და 3 კმ სიგრძის მონაკვეთზე სადისტრიბუციო ქსელის რეაბილიტაცია ; გამრიცხველიანება	

რაც შეეხება სარწყავი წყლის გამოყენებას, იგი უმნიშვნელოა საპილოტე ტერიტორიაზე. აქ არის 3 მცირე მასშტაბის სარწყავი და 2 სანიაღვრე სისტემა, რომლებიც ნაწილობრივ იქნა რეაბილიტირებული 2013 წელს. ქვემოთ მოცემულია სარწყავი სადრენაჟო სისტემების ძირითადი მონაცემები:

ცხრილი 14. არსებული სარწყავი სადრენაჟო სისტემები ჭოროხი-აჭარისწყლის აუზზე²⁹

#	მონაცემები	ქობულეთის სადრენაჟო სისტემა	ხელვაჩაურის სადრენაჟო სისტემა	ქედის საირიგაციო სისტემა	ქედის საირიგაციო სისტემა	ქედის საირიგაციოსისტემა
1	არხის სიგრძე	194კმ	2.3 კმ	11.6 კმ	82 კმ	58 კმ
2	მოსარწყავი ტერიტორია	2800ჰა				

²⁹ წყარო: აჭარის გზების და მელიორაციის დეპარტამენტი

3	არხების რაოდენობა	1	1	3	10	10
4	წყლის მოხმარებისტარი ფი	არა	არა	არა	არა	არა
5	საოპერაციო ხარჯები (ფაქტური)	65,000	4600	23,200	164,000	116,000
6	საოპერაციო ხარჯი (საჭირო)	80,000	6000	29,000	200,000	145,000
7	მშენებლობის პერიოდი	1970	1970	1970	1970	1970
8	ბოლო რეაბილიტაციის პერიოდი	2013	2013	2013	2013	2013
9	დაგეგმილი/ რეალურად საჭირო რეაბილიტაცია	სატუმბი სადგურის მშენებლობა; სისტემის სრულმასშტაბიან ი მშენებლობა; კაშხლების/ შლუზების მშენებლობა	სათავე ნაგებობის და არხების რეაბილიტაცია და წყლის გასაფილტრი სისტემის სისტემა მონტაჟი	სათავე ნაგებობის და არხების რეაბილიტაცია და წყლის გასაფილტრი სისტემის მონტაჟი	სათავე ნაგებობის და არხების რეაბილიტაცია და წყლის გასაფილტრი სისტემის სისტემა მონტაჟი	სათავე ნაგებობის და არხების რეაბილიტაცია და წყლის გასაფილტრი სისტემის სისტემა მონტაჟი

ჩამდინარე წყლების ჩაშვება. რაც შეეხება ჩამდინარე წყლის ჩაშვებას, 2013 წელს სულ 995,29 მლნ მ³ ჩამდინარე წყალი იქნა ჩაშვებული ზედაპირულ წყლებში და ჭოროხი-აჭარისწყლის აუზის მიწის ზედაპირზე, საიდანაც მხოლოდ 3.837მლნ მ³ იყო ჩაშვებული მიწის ზედაპირზე (0.38%), ხოლო დანარჩენი კი - ზედაპირული წყლის ობიექტებში. ჩამდინარე წყლების საერთო მოცულობიდან 3.36 მლნ მ³ (დაახლოებით 0.35% ზედაპირულ წყლებში ჩაშვებული საერთო მოცულობისა) გაუნმენდავი ან არასათანადოდ იყო განმენდილი, 13,63 მლნ მ³ (~ 3.74% ზედაპირულ წყლებში ჩაშვებული საერთო მოცულობისა) იყო განმენდილი ჩამდინარე წყალი და 970,60 მლნ მ³ (~ 95,59% ზედაპირულ წყლებში ჩაშვებული ჩამდინარე წყლების საერთო მოცულობისა) - ტექნოლოგიურად სუფთა წყალი იყო. გაუნმენდავი ან არასაკმარისად განმენდილი კანალიზაციის წყლის უდიდესი მოცულობა (2,3 მლნ მ³ ან მთელი გაუნმენდავი ან არასაკმარისად განმენდილი ჩამდინარე წყლის 64,55%) იქნა ჩაშვებული მდინარე აჭარისწყალში, ჩაშვებული წყლის რაოდენობის მიხედვით მას მოსდევს მდ ჭარნალი (0.6 მლნ მ³), ჭოროხი (0.302 მილიონი მ³), ქუბასწყალი (0.2 მლნ მ³) ყოროლისწყალი (1,2 მილიონი მ³), აკავრეთა (0.1 მლნ მ³) მეჭინისწყალი (0.04 მლნ მ³) და ბოლოს ბარცხანა (0.01 მლნ მ³). გაუნმენდავი ან არასაკმარისად განმენდილი ჩამდინარე წყლის ჩაშვება აღინიშნებოდა აჭარისწყლის აუზის მცირე ქალაქების საკანალიზაციო სისტემებში და მდ. ბარცხანასა და ჭოროხის აუზებში სამრეწველო ობიექტებიდან. ტექნოლოგიურად სუფთა წყლის ბრუნვა დაფიქსირდა მცირე და საშუალო ზომის ჰესებიდან³⁰ (იხილეთ ცხრილი 1, დანართი 2 - ჩამდინარე წყლების ჩაშვება ცალკეული საწარმოებიდან).

ცხრილი 15. ჩამდინარე წყლების ჩაშვება ჭოროხი-აჭარისწყლის მდინარის აუზის წყლებში

ჩაშვება მდინარის მიერ	სულ, მილიონი მ³		ჩაშვება ზედაპირული წყლის ობიექტებში, მილიონი მ³		
	სულ	წყლის ჩაშვება ადგილის	სულ	მათგან	
				დაბინძურებული	სუფთა წყალი (არ განმენდილი

³⁰ წყარო: წყლის მოსარგებლეთა მონაცემთა ბაზა 2012 საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

		რელიეფზე				საჭიროებს განმედას)	
1	2	3	4	5	6	7	8
მდინარე ჭოროხის აუზი	134.6	0.07	134.38	0.002	0.9	132.6	0.9
მდ. ჭოროხი	1.4	0.07	1.33	0.002	0.3		0.9
მდინარე ჭარნალი	0.6		0.6		0.6		
მდინარე მაჭახელა	132.6		132.6			132.6	
აჭარისწყლის აუზი	843.1	1.5	841.6	1.5	1.2	825.8	9.9
მდინარე აჭარისწყალი	808.3	0.8	807.5	1.4	1.2	801.3	3.4
მდინარე აქავერეთა	5.7		5.7	0.1			5.6
მდინარე ჩირუხისწყალი	28.4		28.4			27.5	0.9
მდინარე საციხური	0.7	0.7					
ბარცხანას აუზი	0.05	0.004	0.04	0	0.01		0.03
მდინარე ბარცხანა	0.05**	0.004	0.04	0	0.01		0.03
კინტრიშის აუზი	14.9	2.1	12.8			12.1	0.7
მდინარე კინტრიში	2.1	2.1					
მდინარე ქობრონი	0.6	0.006	0.6				0.6
მდინარე კინკიშა	12.2		12.2			12.1	0.1
აქუბასწყლის აუზი	0.2		0.2				
მდინარე აქუბასწყალი	0.2		0.2				
მეჯინისწყლის აუზი	0.04			0.01	0.03		
მდინარე მეჯინისწყალი	0.04			0.01	0.03		
ყოროლისწყლის აუზი	1.2	0.003	1.2		0.01	0.1	1.0
მდინარე ყოროლისწყალი	1.2***	0.003	1.2		0.01	0.1	1.0
ჩაქვისწყლის აუზი	1.2	0.06	1.1				1.1
მდინარე ჩაქვისწყალი	1.2	0.06	1.1				1.1
ჯამი	995.29	3.737	991.32	1.512	2.15	970.6	13.63

** 0.2 მილიონი მ³ ჩაშვებული წყალი ბათუმის ნავთობტერმინალიდან (სანიაღვრე კოლექტორიდან) მდ. ბარცხანაში

*** 1.1 მილიონი მ³ ჩაშვებული წყალი ბათუმის ნავთობტერმინალიდან (სანიაღვრე კოლექტორიდან) მდ. ყოროლისწყალში

უნდა აღინიშნოს, რომ აჭარაში ყველა ქალაქი და ქალაქის ტიპის დასახლება 100%-ით დაკავშირებულია საკანალიზაციო ქსელთან. მხოლოდ ბათუმის საკანალიზაციო სისტემას აქვს ორ-ეტაპიანი ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა ადლიაში, რომელიც მხოლოდ ახლახან აშენდა და შევიდა ექსპლუატაციაში. დანარჩენ სადგურებში მხოლოდ მექანიკური წმენდა/დამუშავება ხდება (სეპტიკური რეზერვუარები). ქვემოთ მოცემულია 2014 წლის ძირითადი მონაცემები არსებული კანალიზაციის სისტემების შესახებ საპილოტე ტერიტორიაზე.

ცხრილი 16. არსებული კანალიზაციის სისტემები აჭარაში³¹

მონაცემები	ბათუმის წყალი	ხულოს წყალი	შუახევის წყალი	ქედის წყალი
საკანალიზაციო სისტემების სიგრძე, კმ	245 კმ	9.3 კმ	6 კმ	7.5 კმ
ჭაბურღილების რაოდენობა	8000	242	204	180
დიამეტრი, მმ და მილების ტიპები	1000/600/300/150 მმ (პოლივინილის ქლორიდი, მეტალი, რკინა)	600/300/200 მმ (პოლივინილის ქლორიდი, აბბესტი)	200/150/125/100/80/70/63/50 (პოლივინილის ქლორიდი, მეტალი, აბბესტი)	600/100/150 (პოლივინილის ქლორიდი, აბბესტი, ცემენტი)
დაკავშირება	100%	100%	100%	100%
ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მოცულობა (მ ³) და სიმძლავრე (მ ³ / დ)	135 000 მ ³ /დ	120 მ ³ : 644 მ ³ /დ	36 მ ³ : 252 მ ³ /დ	280 მ ³ /დ
დამუშავების ტიპი	მექანიკური, ბიოლოგიური	მექანიკური	მექანიკური	მექანიკური
ფაქტური წლიური საოპერაციო ხარჯები	ევრო 1,739,000 ევრო	ევრო 24,000	ევრო 20,400	ევრო 20,800
საჭირო საოპერაციო ხარჯები	ევრო 1,739,000	ევრო 28,000 - კანალიზაციის სისტემა; ევრო 10,800 - გამწმენდი ნაგებობა	ევრო 24,800 - კანალიზაციის სისტემა; ევრო 11,700 - გამწმენდი ნაგებობა	ევრო 24,800 - კანალიზაციის სისტემა; ევრო 10,800 - გამწმენდი ნაგებობა
სამშენებლო წელი	1927-1970	2000	2007	2009
უკანასკნელი სარეაბილიტაციო წელი	2012	2005	2013	2013
დაგეგმილი სარეაბილიტაციო/სამშენებლო სამუშაოები	170 კმ სადისტრიბუციო ქსელის რეაბილიტაცია			ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოდულური (ბლოკი) BIOTAL-600
საჭირო სარეაბილიტაციო/სამშენებლო სამუშაოები		5.5 კმ საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია; 600 მ ³ ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა BIOTAL-600	3 კმ საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია; 700 მ ³ ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა BIOTAL-700	2.5 კმ წყალარინების ქსელის მოდულური (ბლოკი) რეაბილიტაცია

3.2.3 მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და განთავსება

ტრადიციულად, საქართველოში მუნიციპალური ნარჩენების მართვის მომსახურებას მუნიციპალიტეტები უზრუნველყოფენ.

ცოტა ხნის წინ აჭარაში სპეციალური კვლევა ჩაატარდა, რომელმაც აჩვენა, რომ საშუალო რაოდენობის ნარჩენები დღიურად ერთ სულზე შეადგენს 0,7კგ-ს, რაც ახლოსაა მსგავს გეოგრაფიულ პირობებში მყოფი სამხრეთ ევროპის ქვეყნებისთვის დადგენილ მაჩვენებელთან (0.9კგ). როგორც აღმოჩნდა, აჭარაში ნარჩენების მთავარი კომპონენტებია კვების პროდუქტები (63%), ტექსტილი (11%), ქაღალდი (8%), პოლიეთილენი (7%) და სხვა.

2000-2011 წლებში სხვადასხვა დროს აჭარაში ოფიციალურად ამოქმედდა მყარი ნარჩენების განთავსების 7 ადგილი, საერთო ფართობით 30 ჰა. 1989-1991წწ. გარემოსდაცვითი პრიორიტეტების მიხედვით გახსნილი მცირე ზომის ნაგავსაყრელები

³¹ წყარო: ბათუმის, ხულოს, შუახევის, ქობულეთისა და ქედის წყლის კომპანიები

ქედაში, შუახევში და ხულოში დაიხურა 2010 წელს და ამჟამად ნარჩენები ბათუმის დიდ ნაგავსაყრელზე გააქვთ³².

ცხრილი 17. ნაგავსაყრელები აჭარაში 2000-2011 წწ

#	დასახლება/ წოდება	გახსნის წელი	დახურვის წელი	სტატუსი	ფართობი, ჰა	აკუმულირებული ნარჩენი, მ3	საყოფაცხოვრებო ნარჩენების წილი, %	წოდება
1	ქობულეთი 2	2007	-	მუშაობს	2.00	206993.0	95	მართული
2	ქობულეთი 1	1960	2007	დახურულია	8.00	1906990.0	25	არამართული
3	ქედა	1991	2010	დახურულია	0.05	14000.0	35	არამართული
4	შუახევი	1990	2010	დახურულია	-	12500.0	15	არამართული
5	ხულო 1	1989	2010	დახურულია	0.45	45000.0	12	არამართული
6	ხულო (ბეშუმბი)	2002	-	მუშაობს	0.03	6 600.0	12	არამართული
7	ბათუმი	1965	-	მუშაობს	19.20	9120000.0	60	მართული

ნახაზი 19. ნაგავსაყრელები აჭარაში³³



ბათუმის ნაგავსაყრელის ტერიტორიას უჭირავს 19 ჰა მდინარე ჭოროხის მარჯვენა ნაპირზე და მდებარეობს მდინარის ალუვიურ კალაპოტში, დაახლოებით 10კმ-ით სამხრეთით ქალაქის ცენტრიდან - მდინარე ჭოროხს, აეროპორტსა და შავი ზღვის სანაპირო გოლს შორის. ეს არის აკუმულატური ტიპის ზონა ბრტყელი რელიეფით. მდ. ჭოროხის დელტა ცნობილია კახაბერის აკუმულატური დაბლობით და დაჭაობებული ადგილებით.

ზღვის სანაპიროს, მდინარის ნაპირების და მისი მიდებარე ტერიტორიის ინტენსიური გამოყენება, ასევე, დაჭაობება ზრდის ნაგავსაყრელიდან ჩაუონილი წყლის მდინარეში და ზღვის წყლის დელტაში მოხვედრის ალბათობას, რაც საფრთხეს უქმნის აქ მოხინაღრე უძველეს კოლხურ ფლორასა და ჰაბიტატებს. ნაგავსაყრელი შემოღობილი არ არის, არ აქვს სადრენაჟო შეგროვებისა და ჩანაჟონი წყლების დამუშავების სისტემა და კედელი, რომელიც დაიცავს მას შტორმული დაზიანებისაგან, ბევრ ადგილას დაზიანებულია.

³² წყარო: აჭარის კლიმატის ცვლილების სტრატეგია . 2013. UNDP.

http://www.ge.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/UNDP_GE_EE_Ajara_CC_2013_eng.pdf

³³ წყარო: მდინარის აუზის ანალიზი

სურათი 20. დაზიანებული დამცავი კედელი ბათუმის ნაგავსაყრელზე.³⁴



ნაგავსაყრელები განლაგებულია ქობულეთშიც. ერთი ნაგავსაყრელი მდებარეობს მდინარის ახლოს, მის მარჯვენა ნაპირზე და მეორე - ქალაქის ცენტრიდან 1 კილომეტრში.

ნარჩენების განთავსების ადგილი, რომელიც მდებარეობს მდინარის ნაპირთან ახლოს ხასიათდება ინტენსიური გამორეცხვით და საფრთხეს უქმნის წყლის ფლორას და ფაუნას. ფართობი ეკუთვნის ისპანის მგრძნობიარე ჭარბტენიან ტერიტორიას, რომელიც დაცულია რამსარის კონვენციით. ამდენად, ნაგავსაყრელიდან ჩაჟონილი წყლები და ზედაპირული ჩამონადენი ამ არეალში ზეწოლას ახდენს ჭარბტენიან ეკოსისტემებზე. 2007 წელს ნარჩენების განთავსების ერთ-ერთი დიდი ადგილი, რომელსაც 8 ჰა ეკავა, დაიხურა. თუმცა, იგი მაინც ახდენს ზეწოლას გარემოზე, რადგან არ განხორციელებულა ტერიტორიის კონსერვაცია და/ან აღდგენითი სამუშაოები.

სურათი 21. ქობულეთის ნაგავსაყრელი ³⁵



³⁴ წყარო: გარემოზე ზემოქმედების შეფასება, სამუშაო ვარიანტი აჭარის მყარი ნარჩენების მართვის პროექტი. SWECO. სტოკჰოლმი 2008-11-04. პროექტი No. 1989177

³⁵ წყარო: გარემოზე ზემოქმედების შეფასება, სამუშაო ვარიანტი აჭარის მყარი ნარჩენების მართვის პროექტი SWECO. სტოკჰოლმი 2008-11-04. პროექტი No. 1989177

მთავრობა გეგმავს ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი ახალი ნაგავსაყრელის აშენებას ბათუმში. პროექტის განსახორციელებლად მოხდა ფინანსური რესურსების მობილიზაცია, ასევე ჩატარდა წინასწარი კვლევები და შეფასდა გარემოს დაცვისა და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების ფაქტორები, შეირჩა ადგილი. თუმცა, ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტის გამო სამშენებლო სამუშაოები არ დაწყებულა.

3.2.4 ჰესები მდინარის საპილოტე აუზში

აჭარას აქვს უზარმაზარი, თუმცა გამოუყენებელი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი. რეგიონის მდინარეების საერთო სავარაუდო პოტენციალი 1000 მეგავატს შეადგენს და წლიური გამომუშავება - 8760 მლნ კვ/სთ-ია³⁶. ყველაზე მძლავრი ენერგომატარებელი მდინარეებია: ჭოროხი, აჭარისწყალი, ჩირუხისწყალი, და კინტრიში. ბოლო 20 წლის განმავლობაში გამომუშავებულია 50-92 კვს ენერგია, რაც რეგიონის პოტენციალის მხოლოდ 1% შეადგენს. სავარაუდო პოტენციური დადგმული სიმძლავრე პატარა მდინარეებისათვის აჭარის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 243,9 მეგავატია, რომელიც წლიურად 1276,7მკვტ ელექტროენერგიას აწარმოებს ³⁷. მთლიანად აჭარის ჰიდროელექტრო პოტენციალს ამჟამად ერთ-ერთი საშუალო სიმძლავრის და 4 მცირე ჰესი იყენებს (იხილეთ ცხრილი 12). ეს ჰესები აჭარის მიერ მოხმარებული ელექტრო-ენერგიის მხოლოდ 9%-ს ფარავს. უძველესი მცირე ჰიდროელექტროსადგური აჭყესი აშენებულია 1956 წელს. ჰიდრო-ელექტროსადგური წყლის ხარჯი, რომელიც წყალს იღებს ბათუმი-ახალციხის გზის ახლოს მდ. აჭარისწყლის წყალაღების ნაგებობიდან, შეადგენს 45 მ³/წმ-ს. წყალაღების ნაგებობიდან წყლის მიწოდება ხდება ორი ტურბინით, რომელიც განთავსებულია ჰესის შენობაში, 2,860მ სიგრძისა და 3.9მ დიამეტრის დერივაციული გვირაბის მეშვეობით. ამავე პერიოდში, ახალი 5მვ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური დაიდგა მდ.ჩირუხისწყალზე, სოფელ დვანში და ასევე ექსპლუატაციაში შევიდა ძალზე მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური მდ. სხალთაზე.

ცხრილი 18. არსებული მცირე ჰესები აჭარაში³⁸

კვალიფიციური საწარმო	დასახელება	მდინარე	მოცულობა მვ	გაყიდული ენერგია კვ
სს"ენერგო პრო ჯორჯია"	ათჰესი	აჭარისწყალი	16	62344000
შპს"ბაკური"	მაჭახელა ჰესი	მაჭახელა	1.6	არ შეესაბამება
შპს"ზაჰესი"	კინკიშა ჰესი	კინკიშა	1.4	არ შეესაბამება
შპს"სანალია"	სანალიაჰესი	ჩირუხისწყალი	5	2687000

აღსანიშნავია, რომ მდინარე ჭოროხი და მისი ნალექი სრულად რეგულირდება მურათლის კაშხლით თურქეთში, რომელიც მდებარეობს საქართველოს საზღვართან ახლოს. მან ძალზე ნეგატიური ზემოქმედება იქონია ადღია-ბათუმის მონაკვეთის სანაპიროზე და ასევე, დააზიანა კალაპოტი და გამოიწვია ნაპირის ეროზია მდ.ჭოროხზე. შემდგომში დაგეგმილია დამატებითი 9 კაშხლის დადგმა, რომელთაგანაც უმაღლესი კაშხალი ზღვის დონიდან 223მ-ზე აშენდება.

ამჟამად, ჰიდროენერგიის გამომუშავებაში ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა ჭოროხი-აჭარისწყალზე საშუალო და დიდი ზომის ჰესების მშენებლობა და ექსპლუატაცია.

³⁶ წყარო: მდინარის აუზის ანალიზი

³⁷ აჭარაში ენერგო სექტორის ანალიზი. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.2011, <http://batumiinvest.ge/presentations/Energy.pdf>.

³⁸ წყარო: მდინარის აუზის ანალიზი

ცხრილი 19. დაგეგმილი, მშენებარე და ახლად აშენებული მცირე და საშუალო ზომის ჰესები აჭარაში

ჰესის სახელი	კომპანია	დაინსტალირებული სიმძლავრე მვ	წლიური წარმოება სთ	მშენებლობა დიწყება დასრულება
ხელვაჩაური ³⁹	შპს აჭარ ენერჯი 2007	47.48 ⁴⁰	229.80	01.01.2012-31.12.2016
კირნათი	შპს აჭარ ენერჯი 2007	51.45 ⁴¹	219	
შუახევი ჰესი(აჭარისწყლის კასკადი)	შპს აჭარისწყალი საქართველო	181	930	2013-2016
კორომხეთი ჰესი (აჭარისწყლის კასკადი) ⁴²	შპს აჭარისწყალი საქართველო	150		2015-2019
მაჭახელა 1	მაჭახელა ჰესი შპს	28	132	01.03.2013-01.09.2016
მაჭახელა 2	მაჭახელა ჰესი შპს	27	130	
კინტრიში	ჰესების განვითარების კომპანია	5	30	25.03.2012-25.07.2014

ამჟამად შპს “აჭარისწყალი ჯეორჯია” აწარმოებს ორსაფეხურიანი ჰესების კასკადის სამშენებლო სამუშაოებს მდ. აჭარისწყალზე, (შუახევი და კორომხეთი ჰესები) 331 მვ დადგმული სიმძლავრე და 930 გვტ წლიური ელექტრო გამომუშავება. ეს პროექტი მოიცავს⁴³:

- შუახევის ჰესის მთლიანი დადგმული სიმძლავრე იქნება 185 მვტ. პროექტი ითვალისწინებს ორი დამბის და წყალსაცავების მოწყობას მდინარეებზე აჭარისწყალი და სხალთა და ერთი კაშხლის მოწყობას მდ. ჩირუხისწყალზე. მდინარის წყალი, გვირაბების საშუალებით გადაგდებული იქნება მდ. სხალთიდან და მდ. ჩირუხისწყლიდან დიდაჭარის წყალსაცავში, და აქედან, მიმდევარი გვირაბის მეშვეობით შუახევის ჰესში. მცირე მოცულობის ჰესი (10 მვტ) მოეწყობა სხალთასთან, რომელიც გადაამუშავებს მდ. ჩირუხისწყალიდან გადაგდებულ წყალს, მაშინ როდესაც მთავარი ძალური კვანძი (შუახევი ჰესი 175 მვ) მოეწყობა მდ. აჭარისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, სოფ. შუახევთან და მდ. ჩირუხისწყლისა და აჭარისწყლის შესართავთან ახლოს;
- კორომხეთს ჰესის დადგმული სიმძლავრე იქნება 150 მვტ. იგი შედგება ერთი დამბისა და წყალსაცავისაგან მდ. აჭარისწყალზე (შუახევის ჰესის ქვემოთ), ერთი დაბალ ზღურბლიანი დამბისაგან მდ. ჭვანისწყალზე და კაშხლისგან მდ. აკავრეთაზე. წყლის ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული იქნება სადერივაციო გვირაბები. მიწისქვეშა ჰესის მოწყობა დაგეგმილია მდინარე აჭარისწყლის მარცხენა სანაპიროზე, სოფ.კორომხეთთან ახლოს;

³⁹ წყარო: ჰესების საინვესტიციო პროექტები

<http://www.energy.gov.ge/projects/pdf/pages/Mimdinare%20Ganakhlebadi%20Sainvestitsio%20Proektebi%201307%20geo.pdf>

⁴⁰წყარო: ჰესების საინვესტიციო პროექტები


<http://www.energy.gov.ge/projects/pdf/pages/Mimdinare%20Ganakhlebadi%20Sainvestitsio%20Proektebi%201307%20geo.pdf>

⁴² კირნათის ჰესის დადგმული სიმძლავრე გაიზარდა 51.45 მვ-მდე


⁴³ ხერთვისის ჰესის მშენებლობა გაუქმდა და შუახევი ჰესის სიმძლავრე გაიზარდა 175 მვ 181 მვ-მდე.

⁴³ წყარო : ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება -ნაწილი 1 პროექტი N: 47919. აპრილი 2014. GEO: აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი. შპს „აჭარისწყალი ჯეორჯია“ <http://www.adb.org/sites/default/files/project-document/80546/47919-014-esia-01.pdf>

ნახაზი 22. ჰესების კასკადის მდებარეობა აჭარისწყალზე⁴⁴




სურათი 23. აჭარისწყლის ჰესების კასკადის დიაგრამა⁴⁵



⁴⁴ წყარო: ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება. აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი მომზადდა: Mott MacDonald Limited და შპს *გამა კონსალტინგის *შიერ 2012.

<http://www.adjaristsqali.com/files/ESIA%20Adjaristskali%20HPP%20Cascade%20Book%20I.pdf>

⁴⁵ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში- ნაწილი 6 – აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი. 47919 აპრილი 2014 GEO.<http://www.adb.org/sites/default/files/projdocs/2014/47919-014-esia-02.pdf>



აჭარის კიდევ ერთი დიდი პროექტი- მდ. ჭოროხის ჰესების კასკადის სქემა, რომლის აშენება მდ. ჭოროხის ბოლო 21კმ-იან მონაკვეთზეა დაგეგმილი, ეკუთვნის შპს "აჭარაენერჯი 2007"-ს, (შემდგომში მოიხსენიება, როგორც "აჭარაენერჯი"). პროექტი ითვალისწინებს 2-საფეხურიანი კალაპოტური ტიპის ჰესების კასკადის⁴⁷ მშენებლობას და ექსპლუატაციას. სისტემა შედგება: i) კირნათი ჰესი 51.45 მვ დადგმული სიმძლავრით, 219 გვს წლიური ელექტოგამომუშავებით, 375,6მ 3/წმ მიმღები მოცულობით. კაშხალი აშენდება სოფელ კირნათთან; ii) 42.81მგვტ სიმძლავრის ხელვაჩაური I, 47.48 მვ სიმძლავრის და ელექტროენერგიის დაახლოებით 229,80 გვსტ წლიური გამომუშავებით და 458,9 მ3 / წმ მიმღები მოცულობით. ჰესი გამოიყენებს მდ. ჭოროხის წყალს⁴⁸


კასკადის ყველა საფეხურზე მოეწყობა რკინა-ბეტონის კაშხალი, წყალსაცავი, ჰესის შენობა, ქვესადგური და სხვა ინფრასტრუქტურული ნაგებობები. ჰესების შენობების და ქვესადგურების მოწყობა კაშხლის ქვედა ბიეფში არსებული მდინარის კალაპოტში დამახასიათებელია კალაპოტური ტიპის ჰესებისათვის. ეს გამორიცხავს დამატებითი მიწის გამოყენების საჭიროებას. გარემოსა და სოციალური ზეგავლენების თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კალაპოტური ტიპის ჰესებს არ ჭირდება სადერივაციო სისტემა

⁴⁶ წყარო: ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში— აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი. შპს "აჭარა ენერჯი 2007" აღმასრულებელი: შპს "გამა კონსალტინგი". 2011. სგმ საპროექტო წინადადება (F-CDM-PDD) ვერსია 04.1. სუფთა განვითარების მექანიზმის აღმასრულებელი საბჭო; http://www.eksim.com.tr/basin_odasi/Reports/CED2011.pdf; http://cdm.unfccc.int/filestorage/P/6/5/P65RXAC2DQE4SOFTUM3KN7UBW108Y/PDD_Chorokhi_v7_2014-01-30_Clean.pdf?t=VHd8bjU5czlxfDBO7-Cn0EivkL-PN6EE-95r

⁴⁷ წყარო: საინვესტიციო პროექტები

⁴⁸ წყარო: სგმ საპროექტო წინადადება (F-CDM-PDD) ვერსია 04.1. სუფთა განვითარების მექანიზმის აღმასრულებელი საბჭო; http://www.eksim.com.tr/basin_odasi/Reports/CED2011.pdf; http://cdm.unfccc.int/filestorage/P/6/5/P65RXAC2DQE4SOFTUM3KN7UBW108Y/PDD_Chorokhi_v7_2014-01-30_Clean.pdf?t=VHd8bjU5czlxfDBO7-Cn0EivkL-PN6EE-95r

ნახაზი 25. ჭოროხის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის პროექტის ადგილმდებარეობა ენერგობლოკების ჩვენებით⁴⁹



აჭარისწყლისა და ჭოროხის ჰიდროელექტროსადგურებისთვის 2012-2013 წლებში შემუშავდა გარემოს დაცვასა და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების, აგრეთვე გარემოს მართვისა და მონიტორინგის ღონისძიებების გეგმა და გაიცა შუახევი-ჰესზე აჭარისწყლის კასკადის მშენებლობის გარემოს დაცვითი ნებართვა. აჭარისწყლის მცირე ჰესის გარემოს უსაფრთხოების დოკუმენტების მიხედვით, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების კუთხით მოსალოდნელია ცვლილებები მყარი ნატანის მოძრაობაში (ნატანის ნაკადის შემცირება მდინარის გარკვეულ ობიექტებზე ქვემო დინებაში ჯებირებიდან და დამბებიდან), ჰიდროლოგიურ რეჟიმში (წყლის ნაკადის შემცირება) და ჰიდრომორფოლოგიაში (არხის და კალაპოტის შეცვლა), რამაც შეიძლება გამოიწვიოს წყლის დეფიციტი მეთევზეობისა და სარწყავი წყლის მომხმარებლებისთვის, წყლის ხარისხის გაუარესება წყალმცირობის პერიოდში, ჰაბიტატების დაკარგვა მაკროუხერხემლოებისა და თევზებისათვის, თევზის სავალი გზების ბლოკირება⁵⁰.

ამ ზემოქმედების შესარბილებლად შემდეგი ღონისძიებებია შემოთავაზებული: საკონტროლო სტრუქტურების დაპროექტება და მშენებლობა საშუალო წლიური ეკოლოგიური ხარჯის 10%-მდე შესამცირებლად, ნატანის ჩამოსარეცხად, რაც საჭიროა რეზერვუარში ცოცხალი ორგანიზმებისა და მდინარის ქვედა ბიეფში ნატანის ტრანსპორტირების შესანარჩუნებლად. პოტენციური მიწის ნაყარის განთავსება ისე, რომ არ გამოიწვიოს წყალდიდობის რისკის ზრდა ადგილობრივად; თევზსავალების მოწყობა ჩირუხისწყალზე, ჭანისწყალზე და ხიჩაურის დამბებსა და ჯებირებზე, რომლებიც სპეციალურად ისე უნდა იქნას დაპროექტებული, რომ უზრუნველყონ თევზის მოხვედრა შესაბამის არხში. თევზსავალის კონსტრუქციამ შესაძლებელი უნდა გახადოს თევზის ზედა დინებაში მოხვედრა და აგრეთვე, უნდა ითვალისწინებდეს ქვედა დინებაში თევზის უსაფრთხო გავლას.

⁴⁹ წყარო: ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში- ნაწილი 6 —აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა. 47919 აპრილი 2014 GEO.pdf.<http://www.adb.org/sites/default/files/projdocs/2014/47919-014-esia-06.pdf>

⁵⁰ წყარო: ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში— აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი. შპს "აჭარ ენერჯი 2007" აღმასრულებელი: შპს "გამა კონსალტინგი". 2011. სგმ საპროექტო წინადადება (F-CDM-PDD) ვერსია 04.1. სუფთა განვითარების მექანიზმის აღმასრულებელი საბჭო; http://www.eksim.com.tr/basin_odasi/Reports/CED2011.pdf; http://cdm.unfccc.int/filestorage/P/6/5/P65RXAC2DQE4SOFTUM3KN7LJBW108Y/PDD_Chorokhi_v7_2014-01-30_Clean.pdf?t=VHd8bjU5czlxDBO7-Cn0EivkL-PN6EE-95r

გარემოზე და სსოციალური ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით ჭოროხის ჰესების შემთხვევაში, აღარ იქნება საჭირო წყლის დერივაცია და ჰიდროლოგიური რეჟიმის ცვლილებაც უმნიშვნელო იქნება, დაახლოებით 30% კაშხლის ქვემოთ. ფაქტობრივად, კასკადი იმუშავებს მურათლი ჰესის მიერ (თურქეთი) რეგულირებად ჩამდინარე წყლებით და მდინარე აჭარისწყალზე დაგეგმილი ჰესების კასკადის მეშვეობით.

შესაბამისად, საპროექტო კაშხლების მუშაობა უმნიშვნელო გავლენას იქონიებს მდინარის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე, განსაკუთრებით ეს ეხება კირნათის კაშხალს, რომელიც მურათლის კაშხლიდან 6 კილომეტრით არის დაშორებული. ჰესი ზეგავლენას იქონიებს ეკოლოგიურ ხარჯზე და იმისათვის, რომ ტექნიკურ-ეკოლოგიური ხარჯის შემცირება / შენარჩუნება გარანტირებული იყოს, ჰესები უნდა იყვნენ დამოკიდებული მურათლის და აჭარისწყლის ჰესებიდან ჩაშვებულ წყლებზე.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, საპროექტო კაშხლების ჰესების ეკოლოგიური ხარჯის შემცირება მდინარე ჭოროხში დამოკიდებული იქნება მურათლი ჰესის კაშხლების და აჭარისწყლის ჰესის ეკოლოგიური ხარჯის შემცირებაზე, რაც ყველა ჰესის ოპერატორისგან მოითხოვს კოორდინირებულ მუშაობას⁵¹.

3.2 ძირითადი მამოძრავებელი ძალები/წყლის რესურსების მართვის ძირითადი საკითხები

იმისათვის, რომ მომხდარიყო წყლის მართვის ძირითადი საკითხების / მამოძრავებელი ძალების იდენტიფიცირება და მათი შესაბამისობა ჭოროხი-აჭარისწყლის სააუზო ტერიტორიული ერთეულის ტიპური მამოძრავებელი ძალების სკრინინგის მატრიცებთან, რომელიც წარმოდგენილია წყლის ჩარჩო ღირებულების მე-4 სახელმძღვანელო დოკუმენტში, გამოყენებული იყო აუზის სწრაფი შეფასების შესწავლის შედეგები და მდინარის აუზის განახლებული ანალიზი. სკრინინგის შედეგად 24 ტიპური წყლის მართვის საკითხიდან (მამოძრავებელი ძალების კატეგორია), შეირჩა მხოლოდ 15, მათი შესაბამისობიდან გამომდინარე ჭოროხი-აჭარისწყლის საპილოტო აუზისათვის (ცხრილი 20).

ცხრილი 20. ტიპური წყლის მართვის საკითხები ჭოროხის-აჭარისწყლის აუზში

#	ადამიანის საქმიანობის/ზეწოლები	წყლის ობიექტის კატეგორია			
		მდინარე	ტბები	სანაპირო / გარდამავალი	მიწისქვეშა წყლები
	დაბინძურება				
1	საყოფაცხოვრებო: ჩამდინარე წყლები	x			x
2	ინდუსტრიული(მუშაობს, ისტორიული): ჩამდინარე წყლები	x			x
3	სოფლის მეურნეობა: სასუქების გამოყენება, ნუტრიენტების ჩაშვება	x			x
4	სოფლის მეურნეობა	x			
5	ნაგავსაყრელი, შენახვისა საიტები; ჩამონადენის გაუონვა და სადრენაჟო წყლების	x			x
6	რანსპორტი: დაღვრის, ემისიების	x			
	ჰიდროლოგიური რეჟიმიდან გადახრა				
7	წყალაღება (აგრო, მრეწველობის, საყოფაცხოვრებო, ჰიდრო ენერგეტიკა)	x			x
8	ჰიდროენერგეტიკის სამუშაოები	x			x
9	თევზის მეურნეობა	x			
	მორფოლოგია (ცვლილებები)				
10	სოფლის მეურნეობა				x
11	ურბანული ადგილები				x

⁵¹ მომდევნო წლებში დაგეგმილია მთელი რიგი ჰესების აშენება საპილოტე აუზში, რომლებიც რისკების შეფასების ამ ეტაპზე არ იყო გათვალისწინებული. როცა დასრულდება მათი მშენებლობა და დაიწყება ოპერირება, საჭირო გახდება ღონისძიებათა პროგრამის განახლება და მისადაგება შეცვლილ რეალობასთან.

12	ინდუსტრიული არეალი	x			x
13	წყალდიდობის დაცვა	x			
14	ხრეში / ქვიშა მოპოვება	x			x
15	ელექტროენერგიის გამოსამუშავებელი ადგილი	x			

გარდა ამისა, არსებული წყლის მართვის საკითხები იქნა გაანალიზებული და პრიორიტეტები შეირჩა სიდიდის, გეოგრაფიული მასშტაბის და ადამიანის საქმიანობის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, რომლებიც სპეციფიკურია ჭოროხი-აჭარისწყლის სააუზო ტერიტორიულ ერთეულში. ამ პრიორიტეტებიდან გამომდინარე გამოიკვეთა 8 მნიშვნელოვანი წყლის მართვის საკითხი, რომლებიც წარმოდგენილია ცხრილ 21ში.

ცხრილი 21. მნიშვნელოვანი წყლის მართვის საკითხები/მამოძრავებელი ძალები მდ ჭოროხი-აჭარისწყლის აუზში

#	წყლის მართვის საკითხები
1	სასუქების ჩაშვება
2	საყოფაცხოვრებო ნარჩენების უტილიზაცია (ჩაშვება და ზედაპირული წყლის ჩამონადენი)
3	გაუნმენდავი ჩამდინარე წყლები კანალიზაციის სისტემიდან
4	გაუნმენდავი ჩამდინარე წყლები ინდუსტრიიდან (მაგ. საკვები პროდუქტი და უმის ნავთობტერმინალი)
5	ქვიშა-დორღის მოპოვება
6	წყალაღება ცენტრალური წყალ მომარაგების სისტემისათვის
7	წყალაღება ჰესებისათვის
8.	მდინარის რეგულირება: არხები, ნაკადის რეგულირება

3.3 წყლის რესურსების მართვის ძირითად/მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალებთან დაკავშირებული ზედაპირულ წყლებზე ზეწოლა და ზემოქმედება
3.3.1 ზედაპირულ წყლებზე დაბინძურების ზეწოლა და ზეგავლენა

წყლის მართვის საკითხების ძირითადი მამოძრავებელი ძალების დადგენის შემდეგ, მათ მიეწერათ შესაძლო დაბინძურების ზეწოლა და ზეგავლენა და გამოვლინდა მამოძრავებელი ძალების და/ზეწოლის საორიენტაციო გეოგრაფიული მდებარეობა, მამოძრავებელი ძალა-ზეწოლა-ზეგავლენა-რეაგირების ლოგიკური განსჯის და სქრინინგის მატრიცის გამოყენებით, სადაც ჩამოთვლილი იყო ყველა შესაძლო ტიპური მამოძრავებელი ძალები და მასთან დაკავშირებული ზეწოლა და ზეგავლენა, წყლის ჩარჩო დირექტივის მე-4 სახელმძღვანელო დოკუმენტის - წყლის რესურსების მართვის საერთო განხორციელების სტრატეგიის მიხედვით.

ანალიზის პროცესში გამოყენებული იყო მონაცემები, რომელიც მიღებული იქნა პროექტის ფარგლებში გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ საველე კვლევების შედეგად (ზედაპირული წყლის მონიტორინგის პროგრამა): პირველი ესკ I (2013), მეორე ესკ II (2014) და ესკ(2015). ამ ანალიზის შედეგები წარმოდგენილია ცხრილებში 22 და 23.

ცხრილი 22. ზედაპირული წყლების დაბინძურების ზეწოლა და შემოქმედება ჭოროხი-აჭარისწყლის აუზში

მდინარე	ზეწოლის ტიპი	სპეციფიური ზეწოლა	ტიპური მდგომარეობა და /ან ზეგავლენა	კომენტარი
წონიარისი, სხალთა, ჭირუხი, დოლოგანი, აჭარისწყალი (შუახევი მუნიციპალიტეტი), მდ. ჭოროხი, კინტრიში, ყოროლისწყალი	დაბინძურება არანერტილოვანი წყაროებიდან	ქვიშა-ხრეშის მოპოვება	არ ფიქსირდება პრიორიტეტული ნივთიერებების ჩაღვრები, მაგ ნატრიუმის, კალიუმის, კალციუმის, მანგანუმის, სტიბიუმის, სულფატებისა და ქლორიდების, რომლებიც შემოქმედებენ წყლის სინმინდებზე გაზრდილი სიმღვრივე და შეწონილი ნაწილაკების მეშვეობით; გაზრდილი სიმღვრივე და შეწონილი ნაწილაკები; არა პრიორიტეტული ნივთიერებების გაზრდილი კონცენტრაცია, დონის ცვლილება გახსნილი ჟანგბადის, pH, და ჰაბიტატებისა და წყალმცენარეების სტრუქტურა	მოპოვება შეწყდა 2014წ მდ. ჭოროხზე, კინტრიშზე და ყოროლისწყალზე
მდინარის, ქვედა დინებაში დასახლება: ქედა, შუახევი და პატარა/ მცირე დასახლება აჭყვა მდინარე – ქობულეთის მისადგომებთან; ბარცხანა, ყოროლისწყალი, ყუბისწყალის მისადგომებთან ბათუმში	დაბინძურება წერტილოვანი წყაროდან	გაუნმენდავი ჩამდინარე წყლები სანიტარული სისტემებიდან	გაზრდილი ჟებმ, შემცირებული გახსნილი ჟანგბადი, გაზრდილი ნუტრიენტები, ცვლილება მტკნარი წყლის ეკო სისტემებში; ცვლილებები და გადახრები წყლის ორგანიზმების და გადარჩენისა და გამრავლების შესაძლებლობებში.	სხვადასხვა ადგილას; სანიტარული სისტემების დასახლებები მოემსახურება არანაკლებ 2000 კაცს, და 20000-ზე მეტ ადამიანს ჯამურად. ისინი ცხოვრობენ მჭიდრო ადგილებში და კონცენტრირებული არიან 1 აჭარისწყლის წყალშემკრებ აუზში; ადგილი აქვს ნორმალურ ოპერირების პირობებში და მუდმივად; წყლის ხარისხის მონაცემები აჭარისწყლის ქვედა დინებაში არ მიუთითებს წყლის დაბინძურებაზე, წყლის დაბინძურება შეინიშნება სამ მდინარეში ბათუმის გარეუბანში
აჭარისწყლის აუზის ქვედა დინება : ბარცხანა, ყოროლისწყალი, ყუბისწყალი- ბათუმის გარეუბანი; აჭყვა – ქობულეთის გარეუბანი	დაბინძურება წერტილოვანი წყაროდან	გაუნმენდავი ჩამდინარე წყლები სამრეწველო ობიექტებიდან: კვების ინდუსტრია, ნავთობტერმინალი	გაზრდილი ჟებმ, შემცირებული გახსნილი ჟანგბადი, გაზრდილი ნუტრიენტები, ლურჯ-მწვანე წყალმცენარეების შემადგენლობისა და პირობების ცვლილება მტკნარი წყლის ეკო სისტემებში; ცვლილებები და გადახრები წყლის ორგანიზმების და გადარჩენისა და გამრავლების შესაძლებლობებში.	სხვადასხვა ადგილებში, წყლის ობიექტებში და მდინარეებში; ხდება ნორმალურ პირობებში და რეგულარულად; ასევე შეიძლება გამოიწვიოს ჩაშვების შედეგად სამრეწველო ავარიები; რეგულარული გადაჭარბებები ჟანგბადის ბიოქომიური მოთხოვნილება BOD, ამონიუმი NH4, ჯამური აზოტი შეინიშნება; რასაც პირდაპირი გავლენა აქვს შავ ზღვაზე

წყლის ობიექტები/წყალშემკრ ები მრავალწლიანი კულტურების სათესი მიწებით- კინტრიში, ჩაქვისწყალი, და სხვა (ქობულეთის და შუახევის მუნიციპალიტეტები); ზედა დინების სოფლების სამეურნეო მიწებით (მხალთა, ლორჯომი)	დაბინძურება დიფუზიური წყაროდან	სასუქების (ძირითადად აზოტის) და პესტიციდების გამოყენება; სასოფლო- სამეურნეო წყლების ჩადინება;	გაზრდილი ჯებმ, შემცირებული გახსნილი ჟანგბადი, გაზრდილი ნუტრიენტები, ცვლილება მტკნარი წყლის ეკო სისტემებში; ცვლილებები და გადახრები წყლის ორგანიზმების გადარჩენისა და გამრავლების შესაძლებლობებში.	სხვადასხვა ადგილებში, წყლის ობიექტებში და მდინარეებში, ზემო და ქვემო დინების ადგილებში შემოქმედება ხდება რეგულარულად; ქიმიკატები ირეცხება ნაკადულებში და მდინარეებში; ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას აჭარბებს ამონიუმის იონების კონცენტრაცია აუზისზედა დინებაში : სხალთა, ღორჯომი; ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებთან შეუსაბამობა აღინიშნება ამონიუმის იონების, ჟანგბადის ბიოქიმიური მოხმარების, აზოტი, ნიტრიტები რეგულარულად შემდეგ ადგილებში: ბარცხანა, ყოროლის- წყალი, ქუბასწყალი
წყლის ობიექტები ბათუმის და ქობულეთის ნაგავსაყრელებთან (ჭოროხი, კინტრიში) აუზის ქვედა დინება რომელზეც ზეგავლენას ახდენს ზედა დინების ადგილები: ქუბასწყალი , ბარცხანა, ყოროლისწყალი	დაბინძურება დიფუზიური წყაროდან	მყარი ნარჩენების განთავსება / გადაყრა: ნაწრები, დამაბინძურებელ ების ჩაჟონვა ზედაპირული ჩამონადენი	გაზრდილი ჯებმ, სიმღვრივე, შემცირებული გახსნილი ჟანგბადი; გაზრდილი კონცენტრაცია მძიმე ლითონების, იონების, , მღვრადი ორგანული დამაბინძურებლები მოდ- ები; ცვლილება მტკნარი წყლის ეკო სისტემებში; ცვლილებები და გადახრები წყლის ორგანიზმების გადარჩენისა და გამრავლების შესაძლებლობებში.	ამონიუმის იონების, ჟანგბადის ბიოქიმიური მოხმარების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების შეუსაბამობა, აზოტი, ნიტრიტები რეგულარულად შეინიშნებოდა შემდეგ ადგილებში: ბარცხანა, ყოროლისწყალი, ყუბისწყალი

3.3.2 საწყისი კვლევების დროს კამერალურად გამოვლენილი მნიშვნელოვანი დაბინძურების გავლენის ქვეშ მყოფი ზედაპირული წყლის ობიექტები

ძირითადი მამოძრავებლების/წყლის მართვის საკითხების ზეწოლისა და ზეგავლენის თემატური და გეოგრაფიული მონაცემების შესწავლის შემდეგ განხორციელდა შემდგომი მოსალოდნელი ზეწოლისა და ზემოქმედების შეფასება წყლის ობიექტის დონეზე- კამერალური კვლევების, ანალიზისა და წინასწარი რისკის შეფასების შედეგების აგრეგაციით, რომელიც გამოვლინდა წყლის ობიექტის შესწავლა-დემარკაციის და ძირითადი ფიზიკურ-ქიმიური და ბიოლოგიური პარამეტრების განსაზღვრის 1-ლი და მე -2 ერთობლივი საველე კვლევების ფარგლებში. აგრეთვე, გაკეთდა არსებული დაბინძურების ზეწოლისა და ზეგავლენის სივრცითი და ხარისხობრივი პარამეტრების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის ანალიზი, მათ შორის იყო წყლის მიმდინარე და ისტორიული ხარისხის მონაცემები (წყლის ხარისხის მონიტორინგის მონაცემები, ასევე ერთობლივი საველე კვლევების მონაცემები ზედაპირული წყლის ობიექტებში- მოცემულია დანართ 2,3 და 4-ში).

**ცხრილი 23. დაბინძურების გეოლოგიის ქვეშ მყოფი ზედაპირული წყლის ობიექტები
ჭოროხი-აჭარისწყლის აუზში**

#	წყლის ობიექტის კოდი	აღწერა	სიგრძე	ფართობი კმ2	ჩაშვების წერტილი (წ) დიფუზიური (დ)	დაბინძურების წყარო/ ზეწოლა	ემპირიული მტკიცებულება ზეწოლა/ზეწო ქმედებაზე	კომენტარი
1	აჭ103	მდინარე აჭარისწყალი კვეთს მიუწვდომელ ხელოს დასახლებებს მდ.ქედლები ს შესართავამ დე	11.6	279	წ	ურბანული ჩამდინარე წყალი;	დიახ: (წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვა მონაცემები ჩამდინარე წყლის ჩაშვება)	წყლის გამოყენება სა- ხელმწიფო აღრიცხვის მონაცემების მიხედვით არ აჩვენებს ჩამდინარე წყლების გადა- ჭარბებას საქართველოს კანონმდებლობით და- შვებულ ნორმებთან შედარებით; თუმცა, ეს ინფორმაცია საჭიროებს გა- დამოწმებას-გამოთვ- ლას, არსებული მონა- ცემების დაბალი საი- მედობიდან გამომდინარე
2	აჭ 105	მდინარე აჭარისწყალი კვეთს შუახევის დასახლებას მდ.ჭანისწყლ ის შესართვთან	5.4	882	წ	ურბანული ჩამდინარე წყლის ჩადინება მდინარეში	დიახ: (წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვა მონაცემები ჩამდინარე წყლის ჩაშვება; ჰიდრობიოლო გიური და ზოგადი ფიზიკურ- ქიმიური ესკ)	წყლის გამოყენება სა- ხელმწიფო აღრიცხვის მონაცემების მიხედვით არ აჩვენებს ჩამდინარე წყლების გადა- ჭარბებას საქართველოს კანონმდებლობით და- შვებულ ნორმებთან შედა- რებით;ერთობლივმა საველე კვლევამ გა- მოავლინა აღნიშნული წყლის ობიექტის მაღა- ლი ეკოლოგიური სტა- ტუსი და არ დარღვეუ- ლა საქართველოს და ევროკავშირის მაქსი- მალური დასაშვები კონცენტრაციები
საჭიროა, რომ ორმა ქვეყანამ მიაღწიოს შეთანხმებას წინასწარ შეტყობინებასთან და ადრეული გაფრთხილების სისტემის შექმნასთან და ასევე მონაცემების გაცვლასთან დაკავშირებით. საქართველოს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში შეუძლია მხოლოდ დატბორვის სანინააღმდეგო საშუალებების გაძლიერება, მდინარის კალაპოტის დამცავი კედლების გამაგრებით და ჭალების გაფართოებით (ჭებირების, დამცავი კედლების, ჭალის მცენარეული საფარის აღდგენით, ა. შ.) მდინარის შესართავამდე 10 კილომეტრში.

6.0 ღონისძიებების პროგრამა

6.1 მეთოდოლოგია

მეთოდოლოგიურად, ღონისძიებების პროგრამა, რომელიც შემუშავდა მდინარე ჭოროხი-აჭარისწყლის აუზის უბნისთვის, ეფუძნება ევრო-კავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის მოთხოვნებსა და პროექტის მიერ შეთავაზებულ სახელმძღვანელო დოკუმენტს ღონისძიებათა პროგრამისა და გარემოსდაცვითი ამოცანების მიღწევის გზების შესახებ. უფრო კონკრეტულად, წყლის ჩარჩო დირექტივის მეთერთმეტე მუხლი განსაზღვრავს ღონისძიების პროგრამის-ის(PoM) მოთხოვნებს ევრო-კავშირის თითოეული წევრი ქვეყნისთვის გარემოსდაცვითი ამოცანების მისაღწევად. იგივე მუხლში ღონისძიებები დაყოფილია ორ ტიპად. ესენია: i) ძირითადი ღონისძიებები; ii) დამატებითი ღონისძიებები.

ძირითადი ღონისძიებები სავალდებულოა და მიზნად ისახავს გარემოსდაცვითი ამოცანების მიღწევას ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივებისა და ეროვნული კანონმდებლობის გარდა ევრო-კავშირის დირექტივების განხორციელების გზით. დამხმარე ღონისძიებები ნებაყოფლობითია და მათი მიზანია გარემოსდაცვითი ამოცანების მიღწევის ხელშეწყობა ძირითად ღონისძიებებთან კომბინაციაში. ესეთ საქმიანობებს მიეკუთვნება კვლევა, ტექნოლოგიური მხარდაჭერა, სადემონსტრაციო და სატესტო პროექტები, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სხვა.

პროექტის მიერ შეთავაზებული სახელმძღვანელო დოკუმენტი ღონისძიებათა პროგრამის შემუშავებისა და ეკოლოგიური მიზნების მიღწევის შესახებ რეკომენდაციას უწევს ძირითადი ღონისძიებების შემუშავებას ევრო-კავშირის არანევრი ქვეყნებისთვის ევრო-კავშირის დირექტივების შერჩეულ პრიორიტეტულ ჩამონათვალზე დაყრდნობით. ესენია:

1. ურბანული ნარჩენი წყლების დირექტივა (91/271/EEC)
2. ნიტრატების დირექტივა (91/676/EEC)
3. სასმელი წყლის დირექტივა (98/83/EC)
4. ჰაბიტატების დირექტივა (92/43/EEC)

ამას გარდა, სახელმძღვანელო დოკუმენტი რეკომენდაციას უწევს ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების განხორციელებას. ესენია:

- ხარჯების ანაზღაურების პრინციპების გამოყენება წყლის მოხმარებისთვის (წყლის ჩარჩო დირექტივა, მუხლი 9)
- წყლის ეფექტური და მდგრადი გამოყენების ღონისძიებები
- სასმელი წყლის რესურსების დაცვა
- ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების აღებისა და დაგუბების კონტროლი
- წერტილოვანი და დიფუზური დაბინძურების წყაროების კონტროლი
- მიწისქვეშა წყლებში პირდაპირი ჩაშვების ნებართვების კონტროლი
- პრიორიტეტული ნივთიერებების მართვა
- ზედაპირული წყლების ფიზიკური მოდიფიკაციების კონტროლი
- სხვა სახის ქმედებების კონტროლი, რომლებიც ზეგავლენას მოახდენენ წყლის სტატუსზე
- შემთხვევითი დაბინძურების პრევენცია.

საპილოტე აუზისთვის ძირითადი ღონისძიებების ჩამოყალიბებისას, შემსწავლელმა ჯგუფმა შეძლებისდაგვარად გაითვალისწინა ზემოთ ხსენებული რეკომენდაციები. რადგან, საქართველო არ არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა და აქვს ევროკავშირისგან განსხვავებული წყლის კანონმდებლობა და მართვის სისტემები, მეტი ყურადღება გამახვილდა ღონისძიებათა პროგრამის სახელმძღვანელო დოკუმენტის მიერ შემოთავაზებულ ეროვნული კანონმდებლობის დანერგვასა და ქვეყნის კანონმდებლობის ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივასთან შესაბამისობაში მოყვანას. გარდა ამისა, აქცენტი გაკეთდა ზეწოლა-ზეგავლენის ანალიზის მეშვეობით დადგენილი წყლის მართვის ძირითადი პრობლემების შემცირებაზე, ან აღმოფხვრაზე.

წყლის ჩარჩო დირექტივა და სახელმძღვანელო დოკუმენტი ღონისძიებათა პროგრამის შესახებ, რომელიც აღნიშნული საპილოტე პროექტისთვის შეიქმნა, რეკომენდაციას უწევს ისეთი დამხმარე ღონისძიებების შემუშავებას, რომელთა დანერგვა ტექნოლოგიურად და ფინანსურად შესაძლებელია. ძირითადი ყურადღება უნდა გამახვილდეს კანონმდებლობების დახვეწაზე (ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივისა და სხვა დირექტივების მიხედვით), მონიტორინგსა და ტექნიკური შესაძლებლობების განვითარებაზე. ეს სახელმძღვანელო გათვალისწინებული იქნა მდ. ჭოროხი-აჭარისწყლის აუზისთვის დამხმარე ღონისძიებების შემუშავების პროცესში.

ღონისძიებათა პროგრამის შემუშავებისას, გათვალისწინებული იყო ტექნიკური (შესაბამისი ტექნოლოგიების არსებობა და ხელმისაწვდომობა), ეკონომიკური (ხარჯეფექტურობა, რესურსების ხელმისაწვდომობა, განხორციელებადობა, ა.შ.), ეკოლოგიური ეფექტიანობის კრიტერიუმები. თუმცა ეკონომიკური ანალიზი და ღონისძიებების პრიორიტეზობა შემდგომ ანგარიშში შევა, რომელიც დაეფუძნება სხვადასხვა ეკონომიკური ანალიზისა და ღონისძიებათა პრიორიტეზობის სახელმძღვანელო დოკუმენტებში მოცემულ მეთოდოლოგიებს.

6.2 ღონისძიებების პროგრამა რისკის ქვეშ მყოფი ზედაპირული წყლის ობიექტებისათვის

6.2.1 ძირითადი ღონისძიებები წერტილოვანი და არაწერტილოვანი წყაროს დაბინძურების შესამცირებლად:

რისკის ქვეშ მყოფი ზედაპირული წყლის ობიექტისთვის დასახული ძირითადი ღონისძიებები ეხება წყლის რესურსების მართვის საკვანძო საკითხებს და ემსახურება ამ საკითხებთან დაკავშირებული გარემოსდაცითი ამოცანების მიღწევას 2016-2021 წლების პერიოდში. ზეწოლა-ზეგავლენის ანალიზის მთავარი საკითხებია:

- წერტილოვანი დაბინძურება საკანალიზაციო სისტემებითა და სამრეწველო ნარჩენებით(საკვები და ნავთობი);
- წერტილოვანი დაბინძურება ნარჩენების არასწორი განთავსების გამო (ნარჩენების განთავსება, დაბალი სტანდარტების ნაგავსაყრელები...);
- წერტილოვანი დაბინძურება ქვიშა-ხრემის მოპოვების შედეგად
- დიფუზური დაბინძურება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად (ქიმიკატებისა და არამდგრადი მიწის გამოყენება და სხვა)
- დიფუზური დაბინძურება მეცხოველეობის შედეგად (პირუტყვის მაღალი სიმჭიდროვე თითოეულ მიწის ფართობზე და ა.შ.)
- ჰიდრომორფოლოგიური ცვლილებები სასმელი, საყოფაცხოვრებო და სამრეწველო წყალაღების შედეგად
- ჰიდრომორფოლოგიური ცვლილებები ჰიდროენერგიის გამომუშავების მიზნით წყალაღების შედეგად
- მდინარის რეგულირების და კაშხალების მშენებლობით გამოწვეული ჰიდრომორფოლოგიური ცვლილებები (ახალი მცირე და საშუალო ზომის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა)
- ჰიდრომორფოლოგიური ცვლილებები მდინარის ნაპირებიდან ქვა ღორღის მოპოვების გამო

უფრო კონკრეტულად, წერტილოვანი და დიფუზური დაბინძურების წყაროების შემცირების ძირითადი ღონისძიებებია:

1. წერტილოვანი წყაროების დაბინძურების შესამცირებლად საჭირო სტრუქტურული ღონისძიებები (მაგ: საკანალიზაციო წყლების შეგროვება და გასუფთავება, ქვიშისა და ხრემის მოპოვების შედეგად გამოწვეული ნატანი მასალის შემცირების თავიდან აცილება მდინარეში და.ა.შ., ევროგაერთიანების დირექტივის შესაბამისად);

2. სასოფლო სამეურნეო დიფუზიური დაბინძურების შესამცირებლად საჭირო სტრუქტურული ღონისძიებები, (მაგ:სადრენაჟო სისიტემების რეაბილიტაცია წყლის-მიერი ეროზიისა და სასოფლო სამეურნეო ჩამონადენი წყლების შესამცირებლად);
3. სტრუქტურული ღონისძიებები, რომლებიც აუცილებელია მდინარის ნაპირებში მყარი ნარჩენების განთავსების შესამცირებლად(მაგ,მყარი ნარჩენების ცენტრალიზებულად შეგროვების სისტემის გაუმჯობესება ან ნარჩენების შეგროვების სისტემის დაფუძვნება სოფლებში, რომლებიც მანამდე არ იყო დაფარული);
4. კარგი პრაქტიკის და/ან თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა დიფუზიური დაბინძურების შესამცირებლად(მაგ.: ფერმერული ბიომეურნეობების შექმნა, სუსპენზიების გამოყენება შლანგ- ბუქსირის ტექნიკით, ბუფერული ზონების შექმნით, ბიოგენური ნივთიერებების და პესტიციდების წყალში ჩასვლის შემცირება; ნიადაგის კულტივაცია ეროზიის შესამცირებლად: კონტურების კულტივაცია, პირდაპირი შეთესვა, მულჩირება არსებული ან ახალი დანადგარებით, სათანადო დახრილობის ფერდობის კულტივაცია, ა.შ.);
5. ძირითადი არასტრუქტურული ღონისძიებები მოიცავს საკანონმდებლო-მარეგულირებელი ბაზის და კანონდღსრულების გაუმჯობესების ზომებს წერტილოვანი და დიფუზიური დაბინძურების შესამცირებლად(ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივასთან მიახლოებული წყლის ახალი კანონის მიღება და ამოქმედება; დამაბინძურებელი ნივთიერებების წყალჩაშტების ახალი ნორმების მიღება ევროგაერთიანების დირექტივების შესაბამისად; ავარიულ დაღვრებთან მიმართებაში სანებართვო პირობების გადახედვა და განახლება; მინერალური სასუქების გამოყენების ნორმირება;საქონლის წყალადაცვით ზონებში ძოვების აკრძალვა; ჯარიმების დანესება არალეგალური საკანალიზაციო წყლის ჩადინებასა და ნარჩენების დაყრაზე)

თუკი წერტილოვანი დაბინძურების შემცირებისთვის გამიზნული სტრუქტურული ღონისძიებები, განსაკუთრებით რომლებიც უკავშირდება ევროკავშირის ნორმებთან თავსებადი გამწმენდი ნაგებობის მშენებლობას საკმაოდ დიდი ოდენობის ინვესტიციებს და 3-დან 5 წლამდე გრძელვადიან განხორციელებას ითვალისწინებს (ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის საჭირო დრო), არაწერტილოვანი დაბინძურების შესამცირებლად განსაზღვრული ღონისძიებები, სადემონსტრაციო პროექტების განხორციელების სახით, შესაძლოა, 1-2 წლის ვადაში განხორციელდეს. არასტრუქტურული ღონისძიებები ნაკლებ დანახარჯებს მოითხოვს და შედარებით მოკლე დროში ხორციელდება.

სტრუქტურული ღონისძიებები, რომლებიც უკავშირდება ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაციას რამდენიმე ქალაქში - ხულოს, ქედის და შუახევის ჩათვლით, გულისხმობს ამ ნაგებობების შესაბამისობას ევროკავშირის დირექტივასთან - 91/271/ევროკომისია, რომლის საფუძველზეც დამაბინძურებლების კონცენტრაციები განმედიის შემდეგ უნდა იყოს: i) ჟანგბადის ბიოქომიური მოთხოვნილება (ჟბმ)– 25 მგ/ლ; ii) ჟანგბადის ქიმიური მოთხოვნილება (ჟქმ)– 125 მგ/ლ; iii) ჯამური ფოსფორი - 2 მგ/ლ; iv) შენონილი ნაწილაკები– 35 მგ/ლ; v) ჯამური აზოტი -15 მგ/ლ.

გარდა ამისა, თითოეული დანადგარის დაგეგმილი გამწმენდუნარიანობა უნდა ითვალისწინებდეს მოსახლეობის 20%-იან ზრდას გრძელვადიან პერიოდში. ზემოთ ხსენებულ ვარაუდებზე დაყრდნობით:

- ხულოს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის პროექტირებული ტევადობა უნდა იყოს - 293,000 მ³/წ
- შუახევის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის პროექტირებული ტევადობა უნდა იყოს - 98,400 მ³/წ
- ქედის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის პროექტირებული ტევადობა უნდა იყოს - 110,880 მ³/წ

საქართველოს მთავრობის ხარჯების ლიმიტისა და ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისი მაღალი ღირებულების და დაგეგმარების პირველი ციკლისთვის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მაღალი ღირებულების გათვალისწინებით, რეკომენდებულია შედარებით დაბალ ბიუჯეტისანი მოდულარული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების აგება იმ ქალაქებისთვის, სადაც ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობები არ არსებობს (დეტალები ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების ღირებულებებზე განხილულია ქვემოთ, ეკონომიკური ანალიზის ნაწილში).

რაც შეეხება არასტრუქტურულ ღონისძიებებს, ყველა წყლის ობიექტისთვის საერთო ღონისძიებად მიჩნეულ იქნა ევროკავშირის წყლის ჩარჩო ღირებულებაზე დაფუძნებული წყლის კანონის მიღება. ცნობილია, რომ კანონის მიღება და ძალაში შევა 2016 წლიდან და მას მოჰყვება რიგი კანონქვემდებარე აქტები ახალი კანონის განსახორციელებლად.

რამდენადაც კანონპროექტის მიხედვით, მთავრობა ვალდებულია დაეყოს საქართველოს ტერიტორია მდინარის აუზის მართვის რაიონებად და შეიმუშავოს მდინარის აუზის მართვის გეგმები ევროკავშირის წყლის ჩარჩო ღირებულების მოთხოვნების მიხედვით, ასევე, გასცეს ნებართვები და ლიცენზიები ჩამდინარე წყლების ჩაშვებაზე ევროკავშირის მომქმედი ღირებულებების შესაბამისად, მათ შორისაა ის რეგულაციები რომლებიც ეხება საქართველოს დაყოფას მდინარის აუზის მართვის რაიონებად, მდინარის აუზის მართვის დაგეგმვის პროცესები და საზოგადოების ჩართულობა აქტიურად მიმდინარეობს.

6.2.2 დამხმარე ღონისძიებები წერტილოვანი და არაწერტილოვანი წყაროს დაბინძურების შესამცირებლად

წერტილოვანი და არაწერტილოვანი წყაროებიდან დაბინძურების შემცირების დამხმარე ღონისძიებები მოიცავენ „მსუბუქ“ ღონისძიებებს (მაგ. მონიტორინგი, ტრენინგის პროგრამების განვითარება და განხორციელება), ერთობლივი საველე გასვლების (ესგ) და წინა კვლევების დროს გამოვლენილი ხარვეზების შესახებ მონაცემებისა და ინფორმაციის შესავსებად, ახალი წყლის კანონის განსახორციელებლად და გარემოსდაცვითი მიზნების მისაღწევად, როგორიცაა მაგ. კანონქვემდებარე აქტებისა და ნორმატივების შემუშავება, კანონალსრულება და კვლევა. უფრო კონკრეტულად, ესენია:

- წყლის ობიექტების ეკოლოგიური და ქიმიური სტატუსის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის ნორმატიული დოკუმენტების შემუშავება ;
- წყლის რესურსების მონიტორინგის პროგრამის დაგეგმვის და განხორციელების შესახებ რეგულაციის შემუშავება;
- მდინარიდან ქვიშა & ხრეშის მოპოვების მართვის ტექნიკური სახელმძღვანელო / ნორმატიული აქტის (ტექნიკური რეგლამენტის) შემუშავება;
- წყლის ხარისხის მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება (ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები)
- გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ეროვნული და რეგიონული ინსპექციის გაძლიერება ჩამდინარე წყლებისა და წყლის ჩაშვების მართვის ეფექტურად განხორციელების მიზნით;
- ორგანული ფერმების ხელშეწყობა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განვითარებაზე გაცემული გრანტების და შეღავათიანი კრედიტების მეშვეობით, ასევე ფერმერთა პოტენციალის გაძლიერება ფერმების მართვის სფეროში;
- ფერმერებისთვის სახელმძღვანელოს მომზადება სხვადასხვა ტიპის სასუქების სწორი გამოყენების მეთოდოლოგიებზე;
- ნიტრატების გამოყენების შედეგად მოწვევლად ზონებში სამოქმედო გეგმების და სწორი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის კანონების შემუშავება და დანერგვა;
- მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების და განთავსების მოსაკრებლის ეფექტური სისტემის დანერგვა;

- მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავებისა და ხელმეორედ გამოყენების საკიხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელება(კომპოსტირება, სეპარაცია);
- მნიშვნელოვანი ანთროპოგენული ზეწოლის ქვეშ მყოფი ზოგიერთი მდინარის კვლევა მათი ხანგრძლივი დაბინძურების აღმოსაფხვრელად.

6.2.3 ძირითადი ღონისძიებები ჰიდრომორფოლოგიური ზეწოლის შესამცირებლად

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ჰიდრომორფოლოგიურ ზეწოლასთან დაკავშირებული წყლის მართვის ძირითადი საკითხები პრობლემები ჰიდრომორფოლოგიურ ცვლილებებს უკავშირდება, რაც გამოწვეულია მდინარე ჩაქვისწყალზე სასმელი წყლის წყალაღებისა და სხვა მდინარეებზე მცირე ზომის დერივაციული ტიპის ჰესების ფუნქციონირებით.

ყოვლისმომცველი ღონისძიებები, რაც რისკის ქვეშ მყოფ ყველა ზედაპირული წყლის ობიექტებისათვის და სხვა შესაბამისი ობიექტისთვის საერთოა, გულისხმობს ახალი წყლის კანონის მიღებას და განხორციელებას, და მდინარისა და ნაკადულების ეკოლოგიური ხარჯის ღონის შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებას და შემოღებას.

ჰესების მშენებლობისა და ოპერირებისთვის დასახული ძირითადი კონკრეტული ღონისძიებებია:

- ჰესებზე ნებართვის პირობების განხილვა;
- ჰესებისთვის წყალაღების რაოდენობის გადასინჯვა/ხელახლა გამოთვლა მდინარის ეკოლოგიური ხარჯის ღონის გათვალისწინებით;
- ეკოლოგიური ხარჯის შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება და მიღება მდინარეებსა და ნაკადულებში;
- ნაპირის ეროზიის საკონტროლო ღონისძიებების შემუშავება
- სანაპირო ზოლის დაცვის/აღდგენის ღონისძიებების გატარება; თევზის სავალის მოწყობა/რეაბილიტაცია და ამ სტრუქტურების სწორი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

სასმელი წყლის აღებასთან დაკავშირებული ძირითადი ღონისძიებებია:

- მდინარეში წყალაღების რაოდენობის გადასინჯვა / ხელახლა გამოთვლა მდინარის ეკოლოგიური ხარჯის ღონის გათვალისწინებით;
- წყლის კარგვის ეფექტიანი მენეჯმენტი - დანაკარგების აღმოფხვრა ბათუმის წყალმომარაგების სისტემაში;
- სასოფლო სასმელის წყლის წყალმომარაგების სისტემაში დანაკარგების მინიმუმამდე დაყვანა/აღმოფხვრა;
- გარემოსთან მეგობრული ტექნოლოგიების შემოღება სასტუმროებისთვის და სასტუმრო სახლებისთვის სასმელი წყლის მოსახმარად.

ძირითადი ღონისძიებები, რომლებიც უკავშირდება ქვა-ღორღის მოპოვებას, მოიცავს შემდეგ პუნქტებს:

- მდინარის ნაპირებისა და კალაპოტის ეროზიის კონტროლის ღონისძიებების განხორციელება;
- სანაპირო ჰაბიტატებისა და მდინარის უწყვეტობის დაცვის ღონისძიებების ჩატარება.

უნდა აღინიშნოს, რომ ეკოლოგიური ხარჯის შეფასების მეთოდოლოგია შემუშავდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო სააგენტოს პროექტის ფარგლებში - “ბუნებრივი რესურსების ინტეგრირებული მართვა საქართველოს წყალშემცველ ზონებში”, იუნესკოსა და სხვა საერთაშორისო ექსპერტების მიერ, ავსტრიულ და ამერიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. ამჟამად, დოკუმენტი განხილვისა და აპრობაციის ეტაპზეა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში.

6.2.4 დამხმარე ღონისძიებები ჰიდრომორფოლოგიური ზეწოლების შესამცირებლად

დამხმარე ღონისძიებები რისკის ქვეშ მყოფი ზედაპირული წყლის ობიექტებისთვის, რომლებზეც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ჰესების ფუნქციონირება და სასმელი წყლის აღება:

- წყლის ობიექტების ეკოლოგიური და ქიმიური სტატუსის განსაზღვრის ნორმატიული აქტის შემუშავება;
- წყლის რესურსების მონიტორინგის დაგეგმვისა და განხორციელების რეგულაციის შემუშავება;
- ტენიკური სახელმძღვანელოს/ ნორმატიული აქტის მომზადება მდინარის კალაპოტიდან ქვა ღორღის მოპოვებასთან დაკავშირებით;
- ჰიდროლოგიური მონიტორინგის ქსელის გაძლიერება(ზედაპირული წყლების);
- ეროვნული და რეგიონული გარემოსდაცვითი ზედამხედველობის ინსპექციის გაძლიერება;
- წყალმომარაგების სატარიფო სისტემის გადასინჯვა;
- ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყალაღების გადახდის სისტემის ჩამოყალიბება;
- წყალაღების არსებული რეგულაციების გადასინჯვა;

6.2.5 ძირითადი ღონისძიებები კლიმატის ცვლილების ზეწოლის შესამცირებლად

- ტყეების ნიადაგდაცვითი ფუნქციების გაძლიერება, დეგრადირებული ტყეების აღდგენა;
- ჭალის ტყეების აღდგენა;
- სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის შეცვლა და მდგრადი მენეჯმენტის პრაქტიკაზე გადასვლა;
- ნებისმიერი ინფრასტრუქტურული და ნაპირსამაგრი პროექტების განხორციელების პროცესში კლიმატის ცვლილების ფენომენის გათვალისწინება;
- ისეთი კრიტიკული ინფრასტრუქტურული ობიექტების (როგორიცაა საკანალიზაციო და სადრენაჟო სისტემების რებილიტაცია, ჰესების მშენებლობა) მშენებლობის სტანდარტების ადაპტირება არსებულ და მომავალ კლიმატურ პირობებთან, რათა ეს სისტემები გაუმკლავდნენ გახშირებულ შტორმულ მოვლენებს;
- წყლის კომპანიებისთვის წყლის მოთხოვნა-მიწოდების ბალანსში კლიმატის ცვლილების გავლენის გათვალისწინების უზრუნველყოფა;
- წყლის მდგრადი გამოყენების უზრუნველსაყოფად, წყალაღების კონტროლის ღონისძიებებში ნალექების რეჟიმში მომავალი ცვლილებების და წყლის რესურსებზე ამ ცვლილებების შესაბამისი ზემოქმედების გათვალისწინება;
- კლიმატის ცვლილების გათვალისწინება წყალაღების ნებართვების / ლიცენზირების პოლიტიკის შემუშავებისას, ამჟამად წყალაღებაზე ლიცენზირების სისტემა არსებობს მხოლოდ მინისქვესა წყლებისთვის. მდ. ჭოროხი-აჭარისწყლის აუზის მართვის გეგმაში შემოთავაზებულია „ოპტიმიზაციის კუთხით ... წყლის აღების ლიცენზირებისა და გადასახადების დაწესება წყლის რესურსების გამოყენებაზე“. კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგი სისტემის დანერგვა გულისხმობს, მაგალითად, ლიცენზიების მოქმედების ვადებისა და ასაღები წყლის მოცულობის დადგენისას წყლის რესურსების შესაძლო ცვლილებების გათვალისწინებას მომავლის კლიმატურ პირობებში.

6.2.6 დამხმარე ღონისძიებები კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შესამცი- რებლად

- კლიმატის ცვლილების შედეგების/რისკების გათვალისწინება განვითარების გეგმებსა და კონცეფციებში, რისთვისაც აუცილებელია როგორც კლიმატურ პარამეტრებზე, ასევე ეკოსისტემებზე, ინფრასტრუქტურაზე, ეკონომიკის სექტორებზე და სოციალურ სფეროზე მონიტორინგის გამართული სისტემების არსებობა;
- კვლევების წარმოება კლიმატის მიმდინარე და შესაძლო გავლენის შესაფასებლად;
- აჭარაში კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება (მონიტორინგის შემდეგ) მიწების მართვის გრძელვადიანი სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მომზადება და განხორციელება;
- აჭარის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამმართველოს პოტენციალის გაძლიერებას კლიმატის ცვლილების კუთხით. კლიმატის ცვლილების პრობლემების შეფასებაზე და მონიტორინგზე პასუხისმგებელი მაკორდინირებელი ერთეულის შექმნას;
- სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში მიზნობრივი პროგრამების კონკურსის წესით დაფინანსებას სხვადასხვა ეკოსისტემებსა და ეკონომიკის სექტორებზე კლიმატის ცვლილების გავლენის შესასწავლად.

6.2.7 ღონისძიებების პროგრამის შემაჯამებელი ცხრილი რისკის ქვეშ მყოფი ზედაპირული წყლის ობიექტებისთვის

ქვემოთ მოცემულია რისკის ქვეშ მყოფი ზედაპირული წყლის ობიექტების დამხმარე და ძირითადი ღონისძიებების ცხრილი.

**ცხრილი 39. ღონისძიებების პროგრამა რისკის ქვეშ მყოფი ზედაპირული წყლის
ობიექტებისთვის**

წყლის ობიექტი	მდინარე	წყლის სტატუსი - რისკის ქვეშ/წყლის ობიექტზე ზემოქმედებ ა	მიზანი	ძირითადი ღონისძიებები	დამხმარე ღონისძიებები
წერტილოვანი წყაროს დაბინძურება					
აჭ103	აჭარისწყალ ი, ხულოს მიმდებარე დასახლება	წყლის ხარისხის გაუარესება გაუწმენდავ ი მუნიციპალუ რი ჩამდინარე წყლით	წყლის ხარისხის გაუმჯობესება შემდეგ პარამეტრებთან მიმართებაში: ჟანგბადის ბიოქომიური მოთხოვნილება (უბმ), ჟანგბადის ქიმიური მოთხოვნილება (უქმ), ამონიუმის აზოტი; ჯამური აზოტი და ჯამური ფოსფორი გაუწმენდავი /არასაკმარისად განმწმენდილი მუნიციპალური წყლის ჩაშვების შემცირება	1. წყლის ახალი კანონ- პროექტის დამტკიცება ; 2. დაბა ხულოს საკანალიზაციო სისტემების განახლება; 3. ჩამდინარე წყლის განმწმენდი ნაგებობის მონტაჟი დაბა ხულოსთვის, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის 20%-იან ზრდას; 4. ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისი ახალი ნორმატიული აქტის შემოღება ჩამდინარე წყლე-	1. წყლის ობიექტების ეკოლოგიური და ქიმიური სტატუსის შესახებ მარეგულირებელი აქტის შემოღება; 2. წყლის რესურსების მონიტორინგის დაგეგმვის და განხორციელების შესახებ რეგულაციის შემოღება; 3. არსებულ რეგულაციებზე დაყრდნობით წყლის ობიექტების დაბინძურების საწინააღმდეგო ქმედებების განხორციელება; 4. მონიტორინგის სისტემის გაძლიერება (ზედაპირული);

				ბის მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაციის შესახებ 5. სასტუმროებში, მუნიციპალურ შენობებში და სასტუმრო სახლებში ნარჩენი წყლის ადგილზე წმენდის ტექნოლოგიების დანერგვა 6. ეფექტური კანონის აღსრულების ღონისძიებების ჩამოყალიბება გაუნმენდავი საკანალიზაციო წყლის ჩაშვებასა და ნარჩენების გადაყრაზე.	5. ეროვნული და რეგიონული გარემოსდაცვითი სამეთვალყურეო ინსპექციების გაძლიერება 6. პერსონალის ტრეინინგი ახალი წყლის კანონის მოთხოვნების შესახებ.
აჭ 105, აჭ 106	აჭარისწყალი, შუახევიდან ჭვანისწყლის შესართავამდე	წყლის ხარისხის გაუმჯობესება გაუნმენდავი მუნიციპალური ნარჩენი წყლებით	წყლის ხარისხის გაუმჯობესება ემდეგ პარამეტრებთან მიმართებაში: ჟანგბადის ბიოლოგიური მოხოვნილება (უბმ), ჟანგბადის ქიმიური მოთხოვნილება (უქმ), ამონიუმის აზოტი; ჯამური აზოტი და ჯამური ფოსფორი გაუნმენდავი / არასაკმარისად გაუმჯობესებული მუნიციპალური ჩამდინარე წყლების ჩაშვების და ინდუსტრიული წყლების შემცირებით	1. წყლის ახალი კანონ-პროექტის დამტკიცება ; 2. დაბა ხულოს საკანალიზაციო სისტემების განახლება; 3. ჩამდინარე წყლის გაუმჯობესების ნაგებობის მონტაჟი დაბა ქედსთვის, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის 20%-იან ზრდას; 4. ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისი ახალი ნორმატიული აქტის შემოღება ჩამდინარე წყლების მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაციის შესახებ 5. სასტუმროებში, მუნიციპალურ შენობებში და სასტუმრო სახლებში ნარჩენი წყლის ადგილზე წმენდის ტექნოლოგიების დანერგვა 6. ეფექტური კანონის აღსრულების ღონისძიებების ჩამოყალიბება გაუნმენდავი საკანალიზაციო წყლის ჩაშვებასა და ნარჩენების გადაყრაზე.	1. ნორმატიული აქტის შედგენა წყლის ობიექტების ეკოლოგიური და ქიმიური სტატუსის დასადგენად; 2. წყლის რესურსების მონიტორინგის პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების რეგულირების შემუშავება; 3. არსებულ რეგულაციებზე დაყრდნობით წყლის ობიექტების დაბინძურების საწინააღმდეგო ქმედებების განხორციელება; 4. მონიტორინგის სისტემის გაძლიერება (ზედაპირული); 5. ეროვნული და რეგიონული გარემოსდაცვითი სამეთვალყურეო ინსპექციების გაძლიერება 6. პერსონალის ტრეინინგი ახალი წყლის კანონის მოთხოვნების შესახებ.
აჭ109	აჭარისწყალი, ქედის მიმდებარე ტერიტორია	წყლის ხარისხის გაუმჯობესება გაუნმენდავი	წყლის ხარისხის გაუმჯობესება შემდეგი პარამეტრების მიხედვით:	1. ახალი კანონ-პროექტის შემოღება წყალზე; 2. დაბა ქედის საკანალიზაციო	1. წყლის ობიექტების ეკოლოგიური და ქიმიური სტატუსის შესახებ მარეგულირებელი

		მუნიციპალური ჩამდინარე წყლით	ჟანგბადის ბიოქომიური მოთხოვნილება (უბმ), ჟანგბადის ქიმიური მოთხოვნილება (უქმ), ამონიუმის აზოტი; ჯამური ფოსფორი გაუნმენდავი /არასაკმარისად განმენდილი მუნიციპალური წყლის ჩაშვების შემცირებით	სისტემების განახლება; 3. ნარჩენი წყლის გამწმენდი დანადგარის მონტაჟი დაბა ქედაში, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის 20%-იან ზრდას; 5. ნარჩენი წყლის გამწმენდი დანადგარის მონტაჟი დაბა ხულოსთვის, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის 20%-იან ზრდას, რასაც დადებითი გავლენა ექნება ქედაზე; 6. ევრო-კავშირის სტანდარტებთან შესაბამისი ახალი ნორმატიული აქტის შემოღება ჩამდინარე წყლების მაქსიმალურად დასაშვები კონცენტრაციის შესახებ; 7. სასტუმროებში, მუნიციპალურ შენობებში და სასტუმრო სახლებში ნარჩენი წყლის ადგილზე წმენდის ტექნოლოგიების დანერგვა 8. ეფექტური კანონის აღსრულების ღონისძიებების ჩამოყალიბება გაუნმენდავი საკანალიზაციო წყლის ჩაშვებასა და ნარჩენების გადაყრაზე.	აქტის შემოღება; 2. წყლის რესურსების მონიტორინგის დაგეგმვის და განხორციელების შესახებ რეგულაციის შემოღება; 3. არსებულ რეგულაციებზე დაყრდნობით წყლის ობიექტების დაბინძურების საწინააღმდეგო ქმედებების განხორციელება; 4. მონიტორინგის სისტემის გაძლიერება (ზედაპირული); 5. ეროვნული და რეგიონული გარემოსდაცვითი სამეთვალყურეო ინსპექციების გაძლიერება 6. პერსონალის ტრეინინგი ახალი წყლის კანონის მოთხოვნების შესახებ.
ყორ002 ბარ 001 მეჯ 001	ყოროლისწყალი ბარაცხანა	წყლის ხარისხის გაუარესება გაუნმენდავი მუნიციპალური ჩამდინარე წყლითდა ტერმინალით (ბათუმის ნავთობის ტერმინალი)	წყლის ხარისხის გაუმჯობესება შემდეგი პარამეტრების მიხედვით: ჟანგბადის ბიოქომიური მოთხოვნილება (უბმ), ჟანგბადის ქიმიური მოთხოვნილება (უქმ), ჯამური ნახშირწყალბადები გაუნმენდავი /არასაკმარისად განმენდილი მუნიციპალური წყლის ჩაშვების შემცირებით	1. ახალი წყლის კანონის მიღება; 2. შემთხვევითი ჩაღვრის შემთხვევაში ნებართვის პირობების გადახედვა; 3. ნარჩენი წყლის ზღვების თავიდან გამოთვლა; 4. გამწმენდი ნაგებობების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა და მუდმივი ავტომატური კონტროლის სისტემის	1. წყლის ობიექტების ეკოლოგიური და ქიმიური სტატუსის შესახებ მარეგულირებელი აქტის შემოღება; 2. წყლის რესურსების მონიტორინგის დაგეგმვის და განხორციელების შესახებ რეგულაციის შემოღება; 3. წყლის ხარისხის მონიტორინგის სისტემის გაძლიერება(ზედაპირული) 4. ეროვნული და რეგიონული გარემოსდაცვითი სამეთვალყურეო

				დანერგვა; 5. ნარჩენი წყლების გამწმენდი სისტემის მთლიანი გადაიარაღება ნავთობ-პროდუქტების სრული წმენდის უახლოესი ტექნოლოგიების გამოყენებით. 6. ეფექტური კანონის აღსრულების ღონისძიებების ჩამოყალიბება გაუნმდნავი საკანალიზაციო წყლის ჩაშვებასა	ინსპექციების გაძლიერება 5. მდ. ბარცხანისა და ყოროლისწყალის ისტორიული დაბინძურების დამატებითი შესწავლა (მდინარის ქვედა დინება).
სხ203	სხალთა	წყლის ხარისხის გაუარესებრა მდინარის კალაპოტი დან ქვიშისა დ ღორღის მოპოვებისა და ჰესის მშენებლობის გამო დაბინძურება დიფუზიური წყაროებიდან	წყლის ხარისხის გაუმჯობესება არა-პრიორიტეტული ნივთიერებების მიხედვით: ნატრიუმის, კალიუმის, კალციუმის, მანგანუმის, სტიბიუმის, სულფატებისა და ქლორიდების, რომლებიც ზემოქმედებს წყლის სინმინდებზე, ჭალების დაცვითი და ნაპირების ეროზიისაგან დაცვის ღონისძიებების განხორციელება, ასევე წვრილი მყარი ნატანი მასალის წარმოქმნის შეზღუდვის ხელისშემწყობი ღონისძიებების ჩატარება, როგორცაა მყარი ნატანის ჩარეცხვა, გაცრა, და ა.შ. ქვიშისა და ღორღის მოპოვების დროს	1 ახალი წყლის კანონის მიღება; 2; ნაპირების და მდინარის კალაპოტის ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება; 3. ჭალის ზონების დაცვითი ღონისძიებების განხორციელება; 4. ნატანი მასალის წარმოქმნის შეზღუდვის ხელისშემწყობი ღონისძიებების ჩატარება, როგორცაა მყარი ნატანის ჩარეცხვა, გაცრა, და ა.შ. ქვიშისა და ღორღის მოპოვების დროს	1. ეკოლოგიური და ქიმიური სტატუსის შესახებ მარეგულირებელი აქტის შემოღება; 2. მდინარიდან ქვა-ღორღის მოპოვების მართვის ტექნიკური სახელმძღვანელოს შემუშავება და მიღება 3. წყლის რესურსების მონიტორინგის დაგეგმვის და განხორციელების შესახებ რეგულაციის შემოღება; 4. . მონიტორინგის სისტემის გაძლიერება (ზედაპირული); 5. ეროვნული და რეგიონული გარემოსდაცვითი სამეთვალყურეო ინსპექციების გაძლიერება 6. მდინარიდან ქვიშის მოპოვების ტექნიკური სახელმძღვანელოს/ნორმ ატიული აქტის (ტექნიკური რეგლამენტის) შემუშავება
დიფუზიური წყაროს დაბინძურება					
აჭ001 ბარ 001 ბოლ102 ჩა004 ჩა 006 ჭო001 ჭო003 ჭო004 ჭო05 ჭო006 ჭო 008 დებ002 ძო001 ქე202 კივ102	აჭყვა ბარაცხანა ბოლოკო ჩაქვისწყალი ჩაქვისწყალი ჭოროხი ჭოროხი ჭოროხი ჭოროხი ჭოროხი ჭოროხი კობაკის-ლეღე (დებვა) გველისწყალ	წყლის ხარისხის გაუარესება სასოფლო-სამეურნეო მიწებიდან ჩამონადენით	წყლის ხარისხის გაუმჯობესება შემდეგი პარამეტრების მიხედვით: ჟანგბადის ბიოქოქიური მოთხოვნილების მიხედვით, სასუქების(ნიტრატების, ფოსფატების), მყარი ნარჩენების და პესტიციდების ჩაშვების შემცირებით	1. ახალი წყლის კანონის მიღება; 2. თხევადი ცემენტის გამოყენება შლანგ-ბუქსირის ტექნიკით; 3. სასოფლო-სამეურნეო სადრენაჟო სისტემის განახლება; 4. ტრადიციული ორგანული ფერმების	1. მონიტორინგის სისტემის გაძლიერება (ზედაპირული და გრუნტის წყალი); 2. წყლის რესურსების მონიტორინგზე დაგეგმარების და განხორციელების რეგულაციის შემოღება; 3. წყლის ობიექტების ეკოლოგიური და ქიმიური სტატუსის განსაზღვრის მარეგულირებელი

კიკ 103 კორ202 მეჭ 001	ი (ძონწყალი) ქედქელი კინკიშა ყოროლისწყა ლი მეჭინისწყალ ი			5. დაფუძნება; სასუქების და პესტიციდების გამოყენების ნორმების შემოღება; 6. სასუქის და პესტიციდის ჩაშვების შემცირება ჭალის ბუფერული ზონების შექმნით; 7. ეროზიის შემამცირებელი კულტივაცია; კონტურის კულტივაცია. პირდაპირი თესვა, მულჩის წესით თესვა არსებული ან ახალი ტექნიკებით, დახრის სწორ კუთხეებზე კულტივაცია.	4. აქტის შემოღება; ფინანსური სუბსიდიები (გრანტები, მსუბუქი სესხები, ა.შ.) ორგანული ფერმებისთვის; 5. ფერმერებისთვის სასუქის და პესტიციდების სწორ გამოყენებაზე სახელმძღვანელო დოკუმენტის შექმნა; 6. სამოქმედო გეგმების და კარგი სასოფლო სამეურნეო პრაქტიკების დაარსება ნიტრატების გამოყენებით მოწყვლადი ზონებისთვის; 7. ფერმერების ტრენინგი სწორ სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკებში და ორგანულ ფერმის მართვაში; 8. გადაწყვეტილების მიმღებების ტრენინგი ახალი წყლის კანონის განხორციელებაში.
ბარ001 კიკ202 აჭ103 აჭ105 აჭ109 აჭ002 მეჭ001	ბარცხანა კინკიშა აჭარისწყალი აჭარისწყალი აჭარისწყალი აჭყვა მეჭინისწყალ ი	წყლის ხარისხის გაუარესებ ა ნატანით პირუტყვის ნატანით	წყლის ხარისხის გაუმჯობესება ჟანგბადის ბიოქომიური მოთხოვნილება, სასუქის საწინააღმდეგოდ სასუქის და პესტიციდის ჩაშვების შემცირებით	1. ახალი კანონის მიღება; 2. ბიოგაზის ავტოკლავის ინსტალაციის ხელშეწყობა; 3. ჭალის ბუფერულ ზონებში პირუტყვის ძოვისგან თავის აცილება ალტერნატიული საჩრდილობელი და სასმელი წყლის ადგილების შეთავაზებით; 4. საძოვარი მიწების აღდგენა და მდინარის ჭალებში მცენარეული საფარის რეკულტივაცია	1. მონიტორინგის სისტემის გაძლიერება (ზედაპირული და მიწისქვეშა წყალები); 2. წყლის რესურსების მონიტორინგზე დაგეგმარების და განხორციელების რეგულაციის შემოღება; 3. წყლის ობიექტების ეკოლოგიური და ქიმიური სტატუსის შესახებ მარეგულირებელი აქტის შემოღება; 4. ფინანსური სუბსიდიები (გრანტები, მსუბუქი სესხები/მიკროკრედიტები) ბიოგაზის ავტოკლავის დასაფუძნელად; 5. ნორმების/სახელმძღვა ნელოების დანერგვა პირუტყვის ძოვის სიხშირეზე; 6. სახელმძღვანელოების შემოღება სწორი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის შესახებ; 7. ფერმერების ტრენინგი მდგრად მესაქონლეობაში.

მედ 001	მეცნიერული	წყლის ხარისხის გაუარესება მიდამურნეობებიდან , სასტუმრო ბიდან და რესტორნ ბიდან მყარი საყოფაცხოვრო ნარჩენების განთავსება, ჩამდინარე წყლების ჩაშვება არაცენტრალიზებული საკანალიზაციო სისტემა	წყლის ხარისხის გაუმჯობესება ჟანგბადის ბიოქომიური მოთხოვნილების მიმართ გაუნმენდავი ჩამდინარე წყლების შემცირებით , ნარჩენების მდინარის ნაპირებზე განთავსების აღმოფხვრით	1. ახალი წყლის რესურსების მართვის კანონის მიღება; 2. ჩამდინარე წყლების ლოკალური განმენდის ტექნოლოგიების დანერგვა(მაგ, ბიოტუალეტები) ; 3. ნარჩენების გადამუშავების და სეპარაციის შემოღებაშიდაშეურნეობებში, სასტუმროებსა და რესტორნებში; 4. სასოფლო დასახლებებში ნარჩენების შეგროვების სისტემის დანერგვა 5. ეფექტური კანონ აღსრულების მექანიზმის შემოღება ნარჩენების მდინარის ნაპირებზე უკანონოდ განთავსების და გაუნმენდავი წყლების ჩაშვების აღმოსაფხვრელად.	1. მონიტორინგის სისტემის გაძლიერება (ზედაპირული და მინისქვეშა წყალები); 2. წყლის რესურსების მონიტორინგზე დაგეგმარების და განხორციელების რეგულაციის შემოღება; 3. წყლის ობიექტების ეკოლოგიური და ქიმიური სტატუსის შესახებ მარეგულირებელი აქტის შემოღება; 4. ფინანსური სუბსიდიები (გრანტები, მსუბუქი სესხები/მიკროკრედიტები) კომპოსტირებისა და ბიოჰუმუსის წარმოების წასახალისებლად; 5. მყარი საყოფაცხოვრო ნარჩენების შეგროვების და განთავსების მოსაკრებლის ეფექტური სისტემის დანერგვა; 6. მყარი საყოფაცხოვრო ნარჩენების გადამუშავებისა და ხელშეწყობის გამოყენების საკიხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელება(კომპოსტირება, სეპარაცია);
პიდრომორფოლოგიური ზეწოლები					
აჭ 103 აჭ104 აჭ105 აჭ112 აჭ 113 სხ02 სხ203 ჩირ202 კიკ102	აჭარისწყალი აჭარისწყალი აჭარისწყალი აჭარისწყალი სხალთა სხალთა ჩირუხისწყალი კინკიშა	მორფოლოგიური ცვლილება და ჭალის ზონის გაუარესება , მდინარის ნაპირის ეროზია (მდინარეების საერთო ბუნებრივი მორფოლოგიური მდგომარეობის ცვლილება) ჭესის მშენებლობა და ოპერირებით გამოწვეული	მდინარის პიდრომორფოლოგიური მდგომარეობის (პიდროლოგია, დანაწევრება, მორფოლოგია) გაუმჯობესება მდინარის ეკოლოგიური ხარჯის უზრუნველყოფა, ნაპირების ეროზიის კონტროლის ღონისძიებები,სანაპირო ჰაბიტატების დაცვა მდინარის უწყვეტობის უზრუნველყოფა	1. ახალი წყლის კანონის მიღება; 2. ჰესების ნებართვის პირობების გადახედვა; 3. მდინარეში ეკოლოგიური ხარჯის დონის შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება; 4. წყალაღების რაოდენობის გადათვლა მდინარეში ეკოლოგიური ხარჯის დონის გათვალისწინებით 5. ნაპირების და მდინარის კალაპოტის ეროზიის სანინაღმდეგო ღონისძიებების განხორციელება; 6. ჭალის ზონების	1. წყლის ობიექტების ეკოლოგიური და ქიმიური სტატუსის შესახებ მარეგულირებელი აქტის შემოღება; 2. წყლის რესურსების მონიტორინგის დაგეგმვის და განხორციელების შესახებ რეგულაციის შემოღება; 3. მონიტორინგის სისტემის გაძლიერება (ზედაპირული); 4. ეროვნული და რეგიონული გარემოსდაცვითი სამეთვალყურეო ინსპექციების გაძლიერება. წყალაღებაზე არსებული რეგულაციის გადახედვა; 5. მდინარიდან ქვიშის მოპოვების ტექნიკური სახელმძღვანელოს/ნორმატიული აქტის (ტექნიკური

				დაცვითი ლონისძებების განხორციელება; 7. თევზსავალების მოწყობა/ რეაბილიტაცია	რეგლამენტის) შემუშავება
აჭ113 კინ005	აჭარისწყალი კინტრიში (ქვედა დინება)	მორფოლოგიური ცვლილება ქვა ღორღის მოპოვების ა და ამყარი ნატანის აკუმულაცი ის გამო	მდინარის ჰიდრომორფოლოგიური მდგომარეობის (ჰიდროლოგია, დანაწევრება, მორფოლოგია) გაუმჯობესება მდინარის ეკოლოგიური ხარჯის უზრუნველყოფა, ნაპირების ეროზიის კონტროლის ლონისძებები, სანაპირო ჰაბიტატების დაცვა მდინარის უწყვეტობის უზრუნველყოფა	1. წყლის ახალი კანონპროექტის მიღება; 2. ნაპირების ეროზიის კონტროლის ლონისძებების განხორციელება 3. სანაპირო ზოლის, ჭალების დაცვა/აღდგენის ლონისძებების განხორციელება;	1. წყლის ობიექტების ეკოლოგიური და ქიმიური სტატუსის შესახებ მარეგულირებელი აქტის შემოღება; 2. წყლის რესურსების მონიტორინგის დაგეგმვის და განხორციელების შესახებ რეგულაციის შემოღება; 3. მდინარიდან ქვიშაჭხრემის მოპოვების ტექნიკური სახელმძღვანელოს/ნორმ ატიული აქტის (ტექნიკური რეგლამენტის) შემუშავება 4. მონიტორინგის სისტემის გაძლიერება (ზედაპირული); 5. ეროვნული და რეგიონული გარემოსდაცვითი სამეთვალყურეო ინსპექციების გაძლიერება. წყალაღებაზე არსებული რეგულაციის გადახედვა;
ჩა004 მეჯ001 ბარ001 მახ101	ჩაქვისწყალი მეჯინისწყალი ბარცხანა მახო	მდინარის ხარჯის შემცირება, დინების არხის, კალაპოტი ს ხაზის და ფსკერის მორფოლოგიის ცვლილება , დინების მოცულობის, სიჩქარის ა.შ. ცვლილება ; ზეგავლენა ეკოსისტემ ებზე და წყალაღებ ა ბათუმის წყალმომარაგებისთვის ის და სასოფლო სასმელი წყლის სისტემები სთვის	მდინარის ჰიდრომორფოლოგიური მდგომარეობის (ჰიდროლოგია, დანაწევრება, მორფოლოგია) გაუმჯობესება მდინარის ეკოლოგიური ხარჯის უზრუნველყოფა და წყლის გამოყენების გაზრდილი ეფექტურობით	1. ახალი კანონის მიღება; 2. წყალაღების რაოდენობის გადათვლა მდინარეში ეკოლოგიური ხარჯის დონის გათვალისწინებით 3. მდინარეში ეკოლოგიური ხარჯის დონის შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება; 4. წყლის მიწოდების სისტემაში დანაკარგების აღმოფხვრა; 5. ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების შემოღება სასტუმროებში და სასტუმრო სახლებში სასმელი წყლის მოხმარებისთვის;	1. წყლის რესურსების მონიტორინგის დაგეგმვის და განხორციელების მარეგულაციის შემოღება; 2. წყლის ობიექტების ეკოლოგიური და ქიმიური სტატუსის განსაზღვრის მარეგულირებელი აქტის შემოღება; 3. მონიტორინგის სისტემის გაძლიერება (ზედაპირული); 4. ეროვნული და რეგიონული გარემოსდაცვითი ინსპექტირების გაძლიერება; 5. წყლის მიწოდების სატარიფო სისტემის განხილვა; 6. ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყალაღების საგადასახადო სისტემის შემოღება; 7. ამჟამინდელი წყალაღების რეგულაციის გადახედვა.

6.3 ღონისძიებების პროგრამა ძლიერ მოდიფიცირებული წყლის ობიექტებისათვის

გარემოსდაცვითი ამოცანების ანალიზისა და შემუშავების შედეგად მხოლოდ ერთი ძლიერ მოდიფიცირებული წყლის ობიექტი – აჭ 111-ზე არ დაექვემდებარა „ჩარხო დირექტივის“ გამონაკლისს. დანარჩენი 8 ძლიერ მოდიფიცირებული წყლის ობიექტი მდ. ჭოროხზე მიაკუთვნეს გამონაკლისებს, მათი ტრანსსასაზღვრო ხასიათის პრობლემის გამო.

აჭ 111 წარმოადგენს ძლიერ მოდიფიცირებული წყლის ობიექტს მდ. აჭარისწყლის 16 მგვტ. მოცულობის ჰესის ფუნქციონირების გამო. წყლის ამ ობიექტისთვის დასახული მიზანი და ღონისძიებები მცირე ჰესის ფუნქციონირებით გამოწვეული ჰიდრომორფოლოგიური ზეწოლების და ზემოქმედებისას დაგეგმილი ღონისძიებების მსგავსია. უფრო კონკრეტულად, აჭ 111 წყლის ობიექტისათვის რეკომენდებული ღონისძიებებია:

ძირითადი ღონისძიებები:

- ახალი წყლის კანონის მიღება;
- მდინარისა და ნაკადულების ეკოლოგიური ხარჯის დონის შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება და მიღება;
- აჭჰესის წყალაღების ნებართვის გაცემის პირობების გადახედვა;
- მდინარეში წყალაღების რაოდენობის გადახედვა/ხელახლა გამოთვლა მდინარის ეკოლოგიური ხარჯის დონის გათვალისწინებით;
- თევზსავალების ორგანიზება/რეაბილიტაცია და მათი სწორი მართვის და მონიტორინგის უზრუნველყოფა;
- მდინარის ნაპირის ეროზიის საკონტროლო/პრევენციული საქმიანობები (მდინარის ნაპირის გამაგრება საინჟინრო და ბიო-საინჟინრო მეთოდებით, მდინარის კალაპოტის გამყარება).

დამხმარე ღონისძიებები:

- წყლის ობიექტების ეკოლოგიური და ქიმიური სტატუსის განსასაზღვრად საჭირო ნორმატიული აქტის შემუშავება;
- წყლის რესურსების მონიტორინგის პროგრამის დაგეგმვის და განხორციელების შესახებ ნორმატიული აქტის შემუშავება;
- ჰიდროლოგიური მონიტორინგის სისტემის გაძლიერება(ზედაპირული);
- ეროვნული და რეგიონული გარემოსდაცვითი ზედამხედველობითი ინსპექციების გაძლიერება;
- არსებული წყალაღების რეგულაციის გადახედვა.

6.4 ღონისძიებების პროგრამა „რისკის ქვეშ არმყოფი“ წყლის ობიექტებისთვის

„რისკის ქვეშ არმყოფი“ წყლის ობიექტებისთვის გარემოსდაცვითი ამოცანები გამიზნულია წყლის ობიექტებზე ამჟამინდელი მდგომარეობის შესანარჩუნებლად. ამისათვის უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

- წყლის სტატუსის განსაზღვრა;
- წყლის ხარისხის და რაოდენობის სწორი მონიტორინგი;
- შესაბამისობის მონიტორინგი და კონტროლი;
- საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო და გარემოსდაცვითი პრაქტიკების, პროექტების, ა.შ.დ.ანერგვა;
- მაკორექტირებელი ღონისძიებების განხორციელება მნიშვნელოვანი ახალი ზეწოლების და რისკფაქტორების გამოვლენის ან არსებული რისკფაქტორების და ზეწოლების ზრდის შემთხვევაში, რის გამოც წყლის ობიექტები ექცევიან „რისკის ქვეშ“ ან გაუარესებული წყლის სტატუსის ქვეშ.

7.0 ღონისძიებების პროგრამის ეკონომიკური ანალიზი და ღონისძიებების პრიორიტეზაცია

7.1 მიზნები, მეთოდოლოგია

ეკონომიკური ანალიზის საბოლოო მიზანია ფინანსურად ეფექტიანი „ღონისძიებათა პროგრამის“ შეთავაზება და მისი სააუზო მართვის გეგმაში ინტეგრირება ევროკავშირის⁶⁴ წყლის ჩარჩო დირექტივის პრინციპების შესაბამისი გარემოსდაცვითი მიზნების მისაღწევად.

ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კონცეფციას, რომელიც ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა უნდა გაითვალისწინონ სააუზო მართვის გეგმების შემუშავების დროს, წარმოადგენს ეკონომიკური პრინციპებისა და რენტაბელობის ანალიზის, როგორც შემარბილებელი ღონისძიების, ჩართვა მდინარის სააუზო მართვის გეგმებში.

სრული ეკონომიკური ანალიზის განხორციელება წყლის ჩარჩო დირექტივის მოთხოვნების მიხედვით კომპლექსური და მრავალსაფეხურიანი პროცედურაა, რომელიც დიდი მოცულობის მონაცემებს საჭიროებს. ამ პროცედურის განხორციელების მეთოდოლოგია შესაძლოა შეიცავდეს როგორც სტანდარტულ გამოთვლებსა და რეგრესიულ ანალიზებს ასევე კომპლექსურ მათემატიკურ პროგრამირებასა და ეკონომიკურ მოდელირებას. გარდა ამისა, ასეთი ანალიზი მოითხოვს დიდ დროს, შესაბამის ფინანსურ რესურსებს, სანდო მონაცემებს გარემოსა და ეკონომიკის შესახებ და რაც მთავარია, კვალიფიციურ ექსპერტებს ადგილობრივ და ქვეყნის დონეზე. ყველა ეს წინა პირობები შეზღუდულია პროექტში - „საერთაშორისო მდინარეების აუზების გარემოს დაცვა“ და ზოგადად, საქართველოში. შესაბამისად, მდ. ჭოროხი-აჭარისწყლის აუზის მართვის გეგმის ეკონომიკური ანალიზისთვის, შემსწავლელი ჯგუფის მიერ, შეთავაზებული იქნა გამარტივებული მეთოდოლოგია. გამარტივებული მეთოდოლოგია მოცემულია დოკუმენტი - დამხმარე სახელმძღვანელო შერჩეული ღონისძიებების პროგრამის პრიორიტეზაციისა და გამარტივებული ეკონომიკური ანალიზისთვის. თავად დამხმარე სახელმძღვანელოს საფუძველს წარმოადგენს გერმანიის გარემოსდაცვითი, ბუნების კონსერვაციის და ბირთვული უსაფრთხოების სამინისტროს ფედერალური გარემოსდაცვითი სააგენტოს (სახელმძღვანელო დოკუმენტი: „წყლის ჩარჩო დირექტივის მე-11 დებულების მიხედვით ყველაზე ხარჯეფექტური კომბინაციების შერჩევა ღონისძიებათა პროგრამაში შესატანად“ (ISSN 0722-186X).

დამხმარე სახელმძღვანელო დოკუმენტი ყურადღებას ამახვილებს პირველადი ღონისძიებების პროგრამის ეკონომიკური ეფექტიანობის ანალიზზე, რათა:

- მოხდეს თითოეული „ღონისძიების“ ხარჯისა და ბიუჯეტის (კაპიტალური, ტექნიკური და ოპერაციული) მიახლოებითი განფასება;
- დაიგეგმოს მათი განხორციელების პირველი ორი პერიოდის რეალური გრაფიკი;
- მოხდეს „ღონისძიებების“ განხორციელების პრიორიტეზაცია, სადაც აისახება მათ შორის კავშირები და ბიუჯეტის ხელმისაწვდომობა, და დადგინდეს ყველასთვის მომგებიანი კომბინაციები.

დაგეგმვის მინიმალურ მოთხოვნებს წარმოადგენს ღონისძიებების ხარჯები და ვადები და მათი პრიორიტეტებად დალაგება. ზოგადი მიდგომის სახით შეთავაზებულია, რომ **ექვს წლიანი ციკლის (2016-2021)** მიმდინარეობისას მდინარის აუზის ღონისძიებათა პროგრამის პროექტში ყურადღება გამახვილდეს შერჩეული ღონისძიებების პრიორიტეზაციასა და ხარჯების გამოთვლაზე, რათა მთავრობას ბიუჯეტის რეალური დაგეგმვისა და ღონისძიებების მინიმალური დანახარჯებით განხორციელების საშუალება მიეცეს.

⁶⁴ წყარო: <http://www.batumelebi.ge/GE/batumelebi/weekly1/32567/>

არსებული კვლევა დიდწილად ეფუძნება დამხმარე სახელმძღვანელო დოკუმენტში მოცემულ შეთავაზებასა და მეთოდოლოგიას. უფრო კონკრეტულად, პირველ რიგში ეს კვლევა გვანჯდის ჭოროხი-აჭარისწყლის სააუზო რეგიონში ეკონომიკურ ინფორმაციას წყლის მოხმარების შესახებ. იგი აგრეთვე მოიცავს ღონისძიებათა სანჯისი პროგრამის ეკოლოგიური ეფექტურობის ანალიზს დამხმარე დოკუმენტში შემთავაზებული მეთოდოლოგიის გამოყენებით. შემდგომ, კვლევაში წარმოდგენილია ღონისძიებათა ხარჯების შეფასება და ბოლო ეტაპზე იგი იძლევა ეკოლოგიური ეფექტურობისა და ეკონომიკური ეფექტიანობის ინტეგრირებულ ანალიზს ყველაზე ხარჯეფექტური ღონისძიებათა პროგრამისთვის.

ხარჯების ეფექტურობის ანალიზი აღნიშნული გეგმის ფარგლებში შემდეგ ეტაპებად ჩატარდა: i) ეკოლოგიური ეფექტიანობის ანალიზი; ii) „ღონისძიებების პროგრამის“ ხარჯთაღიჯვა; iii) „ღონისძიებების“ პრიორიტეტობაცია ეკოლოგიური და ეკონომიკური ეფექტიანობის ანალიზის საფუძველზე.

7.2 წყლის გამოყენების ეკონომიკური ანალიზი მდინარის აუზის უბნისთვის

7.2.1 წყალაღება და წყალმოხმარება

მდინარის აუზის რაიონის ზენოლა-ზეგავლენის ანალიზმა გამოავლინა, რომ ჰიდრო-ენერგეტიკის სექტორი ყველაზე დიდი წყლის მომხმარებელია რეგიონში. 2014 წელს ამ სექტორზე მთლიანი წყლის გამოყენების დაახლოებით 94.2%-ს (973.5 მილიონ მ³) მოდიოდა. სავარაუდოდ, ეს ტენდენცია მნიშვნელოვან ზრდას განაგრძობს მდინარის აუზში დაგეგმილი და მიმდინარე დიდი ზომის ჰესების განვითარების გამო.

სასმელი წყალმომარაგების სექტორმა, რომელიც მეორე ადგილზეა ჰიდროელექტრო-სადგურების შემდეგ, წყლის გამოყენების მხრივ, მოიხმარა მთლიანად აღებული წყლის მხოლოდ 4.1% (42.52 მილიონი მ³). შემდეგ მოდის თევზსაშენები - 1.5%-ით და მრეწველობა (0.2%). აღებული წყლის მთლიანი რაოდენობიდან (1,041.82 მილიონი მ³), მინისქვემა წყლის წილი მხოლოდ 1.12%-ს (11.65 მილიონი მ³) შეადგენდა, ხოლო დანარჩენი რაოდენობა ზედაპირულ წყლებზე მოდიოდა.

ბათუმის სასმელი წყალმომარაგების კომპანიის მიერ მოხმარებისთვის აღებული წყლის რაოდენობა 70%-ზე მეტია (31.2 მილიონი მ³) მთლიანად გამოყენებული წყლის სასმელი წყლის მიწოდების სექტორში. დანარჩენ რაოდენობას იყენებენ პატარა ზომის ურბანული (ქობულეთი, ხელვაჩაური, შუახევი, ხულო, ქედა) და სასოფლო წყალმომარაგების სისტემები. ბათუმის წყალმომარაგებისთვის წყალაღება ხდება მდინარეებიდან - ყოროლისწყალი და ჩაქავისწყალი 0.2 მ³ / წმ და 1.15 მ³ / წმ სიხშირით. ზაფხულის პერიოდში, წყალაღების გამო მდინარე ჩაქავისწყლის ხარჯი დაახლოებით 67%-ით მცირდება, რაც ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს მდინარის ეკოსისტემებზე ქვედა დინების წყალაღების წერტილში.

წყალმომარაგების ქსელთან მიერთების დაფარვა ბათუმში 100%-ს შეადგენს. სისტემის უმრავლესობა რეაბილიტირებულია და ნაწილი ამჟამად გადის რეაბილიტაციას გერმანიის განვითარების ბანკის შეღავათიანი სესხის დახმარებით. ქალაქში სულ 38,000 მომხმარებელია, რომელთაგან 20,000 გამრიცხველიანებულია (მათგან 13,000 მომხმარებელი ადგილობრივი მაცხოვრებელია). გამრიცხველიანების პროცესი მიმდინარეობს რეაბილიტაციის სამუშაოებთან ერთად და მოსალოდნელია, რომ 2015 წელს ყველა მაცხოვრებელს მრიცხველთან მიერთებული რეგულარული წყალმომარაგება ექნება, რაც დანაკარგს სავარაუდოდ 30%-ით შეამცირებს, გააუმჯობესებს წყლის მოხმარებას და გაზრდის შემოსავლებს (გაზრდის და უფრო სტაბილურსა და პროგნოზირებად შემოსავლების წყაროებს შექმნის).

თუმცა, ეს არ აღმოფხვრის წყლის მნიშვნელოვანი რაოდენობის აღურიცხავი მოხმარების პრობლემას არასაყოფაცხოვრებო მოხმარების შემთხვევაში (მუნიციპალური შენო-

ბების და საზოგადოებრივი ადგილების მორწყვა). მაგალითად, როდესაც კომპანიის თვით-ური შემოსავალი 600,000 ლარია, აქედან 90,000 ლარზე მეტი იხარჯება ბუღვაში რამდენიმე ფანტანის მუშაობაზე. ბათუმის საკრებულოს (მერია) განკარგულების მიხედვით წყლის გამოყენების ტარიფი გამრიცხველიანებული მოსახლეობისთვის არის 0.51 ლარი/მ³, არაგამრიცხველიანებული მოსახლეობისთვის ტარიფი შეადგენს 1.85 ლარს / თვე / ერთ სულ მოსახლეზე და კომერციული მომხმარებლებისთვის 4 ლარს/მ³. ეს მოიცავს ჩამდინარე წყლის გაწმენდის ტარიფებსაც.⁶⁵

საქართველოში წყლის საყოფაცხოვრებო მოხმარების დღიური ნორმა (ინდივიდუალური მრიცხველების გარეშე) არის 800 ლ/დ/მოსახლე, რაც ძალიან მაღალია ევროკავშირის ნორმასთან შედარებით, რომელიც საშუალოდ - 120-150 ლ/დღე -ს შეადგენს მოსახლეზე.⁶⁶

ზოგადად, წყალმომარაგების და წყალარინების სერვისი საქართველოში, აჭარის და მისი დედაქალაქის, ბათუმის ჩათვლით, არაეფექტიანია და მნიშვნელოვანი დანაკარგებით ხასიათდება (30% საშუალოდ): დაუთვლელი/აღურიცხავი წყლის მაღალი მოცულობა, საყოფაცხოვრებო და მუნიციპალური სამსახურების მიერ ჭარბი მოხმარება დაახლოებით შემოსავლების 72-75%-ს შეადგენს. ამის განვითარების ბანკის კვლევამ საქართველოს წყალმომარაგების და წყალარინების სექტორზე⁶⁷ აჩვენა, რომ 2010 წელს, გაერთიანებული წყლის კომპანიის \$19.5 მილიონი დაგეგმილი შემოსავალი ძირითადად შედგებოდა სახელმწიფო სუბსიდიებისგან (54%), სატარიფო შემოსავლებისგან (41%), და ადგილობრივი სამთავრობო ტრანსფერებისგან (4%). საყოფაცხოვრებო სექტორი მოიხმარდა წყლის 83%-ს, მაგრამ სატარიფო შემოსავლებში მათი წილი მხოლოდ 33%-ს შეადგენდა, მაშინ როდესაც არა-რეზიდენტი მომხმარებლების წილი სატარიფო შემოსავლების 67% იყო. შესაბამისად, კვლევამ დაასკვნა, რომ ეს სექტორი ქვეყნის მასშტაბით მთლიანი დანახარჯების ანაზღაურების პრინციპით არ მუშაობს და ამ შემთხვევაში ტარიფები სულ ცოტა 33%-ით მეტი მაინც უნდა იყოს ამჟამინდელთან შედარებით⁶⁸. ქალაქ ფოთში მომხმარებლებისთვის შემოღებულია დიფერენცირებული სატარიფო სისტემა, მოხმარების ტიპის, მოცულობის და მიღებული მომსახურების მიხედვით. ამგვარი მიდგომის გამოყენება მთელი ქვეყნის მასშტაბით არის შესაძლებელი. თუმცა, ზოგადი სტრატეგია უნდა იყოს შემდეგი: i) დანახარჯების სრული ანაზღაურება, ii) სექტორისთვის მთავრობის და დონორების სუბსიდიების შემცირება გაზრდილი ტარიფებისა და შემოსავლების ხარჯზე, ასევე წყლის დანაკარგის შემცირება და მომხმარებლების მიერ წყლის ეფექტიანი ხარჯვა; iii) ოპერაციული სუბსიდიების გაუქმება და არარეზიდენტ და რეზიდენტ მომხმარებლებს შორის ჯვარედინი დოტაციების მაქსიმალური შემცირება; iv) ტარიფის გადახდისუნარიანობის გათვალისწინება, განსაკუთრებით სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობისთვის.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში აჭარის მოსახლეობის წლიური ზრდის მაჩვენებელი 1%-ია და ბათუმის – საშუალოდ 2%. ყველაზე ნაკლები ვარაუდით, ზრდის ეს მაჩვენებელი 2015–დან 2024 წლამდე აჭარის მთლიან მოსახლეობაში დაახლოებით 10.5%-ით უნდა გაიზარდოს, ხოლო ბათუმში 20%-ით; იგივე შეიძლება ითქვას მოსახლეობის მიერ წყლის მოთხოვნილებაზე, თუ არ იქნა მიღებული გარკვეული ზომები მოთხოვნისა და მომხმარებლის ქცევის დარეგულირების კუთხით.

მოთხოვნის მართვისა და მიწოდების ოპტიმიზაციის ზომებში გათვალისწინებული უნდა იყოს წყლის აღების ლიცენზირება და წყლის რესურსების გამოყენებაზე გადასახადების დაწესება.

⁶⁵ წყარო: ტექნიკური ანგარიში 6. სასმელი წყალმომარაგების სისტემის შეჯამება ქალაქ ახმეტისთვის. მარტი, 2013. USAID/GLOWS ბუნებრივი რესურსების ინტეგრირებულ მართვა საქართველოს წყალმომარაგება აუზებში (INRMW), რომლებიც, პროგრამა <http://www.globalwaters.net/wp-content/uploads/2012/12/Technical-Report-6.-Akhmeta-Water-Supply-Systems-Assessment13.pdf>

⁶⁶ წყარო: <http://www.adb.org/sites/default/files/project-document/74990/43556-012-geo-tacr-01.pdf>

⁶⁷ 2013 და 2014 წლებში, ბათუმის მერიამ გამოყოფ 540,000 ევროს ეკვივალენტი ლარში ოდენობით თანხა ყოველწლიურად ტარიფების სუბსიდიებისთვის და მოსაკრებლის ზრდის შესაჩერებლად.

⁶⁸ გადაცვლის კურსი 1 ევრო=2.25 ლარი, გამოყენებულია გამოთვლებისთვის.

7.2.2 ჩამდინარე წყლები

რაც შეეხება ჩამდინარე წყლებს, 2013 წელს წყალჩამდინარეების ყველაზე დიდი მოცულობა ზედაპირულ წყლის ობიექტებში მოდიოდა ჰესებზე, რაც ტექნოლოგიურად სუფთა წყალი იყო. დანარჩენი განმედილი და არასრულად განმედილი ან გაუმედიდავი ნარჩენი წყალი იყო და შეადგენდა 24.69 მილიონ მ³ –ს. ამ რაოდენობიდან, 13.63 მილიონი მ³ წყალი ადგილის გამწმენდი ნაგებობის მიერ იყო განმედილი. გაუმედიდავი ან არასრულად განმედილი ნარჩენი წყლის ყველაზე დიდი მოცულობა (2.3 მილიონი მ³ – იგივე რაც 64.55% გაუმედიდავი ან არასრულად განმედილი ნარჩენი წყლის მთლიანი მოცულობისა) ჩამდინარე იქნა მდინარე აჭარისწყალში, შემდგომ ჭარხალში (0.6 მილიონი მ³), ჭოროხში (0.302 მილიონი მ³), კუბასწყალში (0.2 მილიონი მ³), ყოროლისწყალში (1.2 მილიონი მ³), აკავრეთაში (0.1 მილიონი მ³), მეჭინისწყალში (0.04 მილიონი მ³) და ბარცხანაში (0.01 მილიონი მ³). გაუმედიდავი/არასათანადოდ განმედილი ნარჩენი წყალი ჩადიოდა აჭარისწყლის აუზის მცირე ქალაქების საკანალიზაციო სისტემებში და სამრეწველო ობიექტებიდან ჩამონადენი წყალი კი ბარცხანის და ჭოროხის აუზებში.

ცენტრალიზებული სასმელი წყალმომარაგება, საკანალიზაციო სისტემები და ნარჩენი წყლების გამწმენდი ნაგებობები მექანიკური განმედიის ფუნქციით, განთავსებულია მთავარ ქალაქებში როგორცაა ბათუმი, ქობულეთი, ხულო, ქედა და შუახევი. საკანალიზაციო ქსელები მოძველებული და დანგრეულია და საჭიროებენ შეკეთებას ან შეცვლას. ქობულეთის გამწმენდი ნაგებობისათვის ახლახანს შემუშავდა გარემოზე ზემოქმედების შეფასება. აუზის ვერც ერთ გამწმენდი ნაგებობა ვერ უზრუნველყოფს ბიოლოგიურ წმენდას და ამდენად არ შეესაბამება ევრო-კავშირის დირექტივებს. ნარჩენი წყლის შეგროვების ტარიფი, მთლიანი წყლის ტარიფის მხოლოდ დაახლოებით 10%–ს შეადგენს, რაც ძალიან დაბალია და არა არის საკმარისი სისტემის გამართული ფუნქციონირებისა და საექსპლოატაციო მომსახურებისთვის. უფრო მეტიც, ხულოს, ქედას და შუახევის მუნიციპალიტეტების წყალმომარაგება და წყალარი-ნება უფასოა მოსახლეობისთვის. აუცილებელია გამწმენდი ნაგებობების ბიოლოგიური წმენდის განახლება და ტარიფების დარეგულირება სისტემის ფუნქციონირებისა და საექსპლოატაციო მომსახურების გასაუმჯობესებლად.

**ცხრილი 40. ქალაქის სასმელი წყალმომარაგების და სანიტარიული სისტემების დაგეგ-
მილი და აუცილებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები და მათი დაახლოებითი ხარჯები
მდინარე ჭოროხი–აჭარისწყლის აუზში.**

სასმელი წყლის მომარაგება	ბათუმის წყალი	ხულოს წყალი	შუახევის წყალი	ქედის წყალი
მოსახლეობა	130 000	2486	2713	2500
დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოები	170 კმ საკანალი- ზაციო სისტემის რეაბილიტაცია			ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის დამონტაჟება (650 მ ³)
რა სახის სარეაბი- ლიტაციო სამუშაო- ების ჩატარებაა სა- ჭირო წყლის მომა- რეგების გასაუმჯო- ბესებლად		5.5 კმ საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტა- ცია. ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის დამონტაჟება (650 მ ³)	3 კმ საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტა- ცია. ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის დამონტაჟება (700 მ ³)	2.5 კმ საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია
ჩასატარებელი სამუშაოები წყლის მომარაგების და სანიტარიის გასაუმჯობესებლად და საჭირო ხარჯები	1. მთავარი მილსადენის რეაბილიტაცია– 1,500,000 ლარი; 2. სადისტრიბუციო ქსელის რეაბილიტაცია 35 კმ – 900,000 ლარი; 3. წყლის	1. მთავარი მილსადენის რეაბილიტაცია - 550,000 ლარი; 2. სადისტრიბუციო ქსელის რეაბილიტაცია 2 კმ- 50,000 ლარი; 3. წყლის მრიცხველების	1. მთავარი მილსადენის რეაბილიტაცია 15 კმ – 750,000 ლარი; 2. სადისტრიბუციო ქსელის რეაბილიტაცია 3 კმ – 75,000 ლარი; 3. წყლის მრიცხველების	1. მთავარი მილსადენის რეაბილიტაცია 4 კმ - 200,000 ლარი; 2. რეზერვუარის რეაბილიტაცია - 150,000 ლარი; 3. წყლის მრიცხველების დამონტაჟება

14	ფერმერების ტრენინგი მდგრადი მეცხოველეობის განვითარებაში	2017-2019	≥ 50 000	საქართველოს და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროები; არასამთავრობო ორგანიზაციები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ფერმერები, აკადემიური ინსტიტუტები, დონორები	სახელმწიფო და აჭარის ბიუჯეტი; არასამთავრობო ორგანიზაციები, დონორები

15	ჰიდროლოგიური მონიტორინგის სისტემის გაძლიერება (ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები)	2016-2021	> ევრო 1 000 000	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; აჭარის გარემოს დაცვის დეპარტამენტი	სახელმწიფო და აჭარის ბიუჯეტი; არასამთავრობო ორგანიზაციები, დონორები
16	წყლის მიწოდების სისტემის ტარიფის გადახედვა	2017-2018	< ევრო 50 000	აჭარის წყლის კომპანია, ქართული ეროვნული ენერგეტიკის და წყლის მარეგულირებელი კომისია	სახელმწიფო და აჭარის ბიუჯეტი; არასამთავრობო ორგანიზაციები, დონორები
17	ზედაპირული წყლის წყაროებიდან წყალაღების გადახდის სისტემის შექმნა	2017	< ევრო 50 000	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	სახელმწიფო ბიუჯეტი
18	წყალაღების არსებული რეგულაციის გადახედვა	2016-2017	< ევრო 50 000	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	სახელმწიფო ბიუჯეტი
19	მდინარიდან ქვიშის მოპოვების მართვის ტექნიკური სახელმძღვანელო დოკუმენტის/ნორმატიული აქტის (ტექნიკური რეგულაციის) შემუშავება	2018	< ევრო 50 000	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	სახელმწიფო ბიუჯეტი/ დონორი ორგანიზაციები
20	მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების და განთავსების მოსაკრებლის ეფექტური სისტემის დანერგვა;	2016-2019	< ევრო 50 000	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო	სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი; ა, დონორების (USAID WMTR პროექტი)
21	მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავებისა და ხელმეორედ გამოყენების საკიხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელება (კომპოსტირება, სეპარაცია);	2016-2021	ევრო 60 000 – 80 000	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, არასამთავრობო სათემო ორგანიზაციები.	სახელმწიფო, აჭარის და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი; არასამთავრობო ორგანიზაციები, დონორები

9.0 კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაცია

9.1 კლიმატის ცვლილების გავლენა მდინარე ჭოროხი-აჭარისწყლის აუზში იდენტიფიცირებულ ზეწოლებზე და ღონისძიებების გატარების შესაძლებლობა მომავალში კლიმატის ცვლილებების პირობებში

წინამდებარე თავში შეფასებულია იდენტიფიცირებული ზეწოლების გაძლიერების ან შემცირების პოტენციური მიმდინარე კლიმატის ცვლილების ფონზე. აუზის მართვის გეგმაში ასევე განსაზღვრულია ძირითადი და დამხმარე ღონისძიებები, რომლებიც თანხვედრაშია წყლის ჩარჩო დირექტივის მოთხოვნებთან. მდ. ჭოროხი-აჭარისწყლის აუზის მართვის გეგმაში განსაზღვრული ზოგიერთი ღონისძიება შესაძლოა ასევე განხილული იქნას, როგორც კლიმატის ცვლილების მიმართ საადაპტაციო ღონისძიება და შეტანილია აღნიშნული მართვის გეგმის კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის სტარტეგიის ნაწილში (თავი 9.2).

გეგმის წარმოდგენილ ნაწილში შეფასებულია ყველა მნიშვნელოვანი ზეწოლა, მასთან დაკავშირებული ღონისძიებები და მათი გატარების შესაძლებლობები კლიმატის ცვლილების კონტექსტში. შემაჯამებელი ანალიზი წარმოდგენილია ცხრილში.

ცხრილი 48. კლიმატის ცვლილების ფარდობითი სიმძაფრე ზეწოლების მიმართ

ზეწოქმედება	კლიმატის ცვლილების გავლენა ზეწოქმედებაზე
ლოკალური კლიმატის ცვლილება	მაღალი
სტიქიური გეოლოგიური მოვლენები	ძალიან მაღალი
წყალადება და ჩამონადენზე სხვა ხელოვნური ზეწოლები	ძალიან მაღალი
ფიზიკური მოდიფიკაცია	ძალიან მაღალი
ორგანული დაბინძურება	საშუალო
ბიოგენური ნივთიერებები	საშუალო
პრიორიტეტული საშიში ნივთიერებები, პრიორიტეტული ნივთიერებები და კონკრეტული დამაბინძურებლები	საშუალო
მყარი ნატანი	მაღალი
ბიოლოგიური და მიკრობიოლოგიური ზეწოლები	მაღალი

კლიმატის ცვლილება აჭარის ტერიტორიაზე

აჭარის რეგიონში კლიმატის მიმდინარე (1961-2010 წწ პერიოდი) ცვლილებების შეფასება მოხდა საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური ქსელის 6 სადგურის დაკვირვების მონაცემებზე დაყრდნობით, ხოლო საპროგნოზო სცენარები 2021-2050 წწ და 2071-2100 წწ პერიოდებისათვის შეფასებულ იქნა კლიმატის რეგიონული და გლობალური 5 მოდელის გამოყენებით. კერძოდ, გლობალური მოდელის [ECHAM5/MPI-OM](#)⁷⁰ მიერ დათვლილი კლიმატური პროგნოზის შედეგები დაყვანილი იქნა რეგიონული კლიმატური მოდელის RegCM4-ის გამოყენებით სამხრეთ კავკასიის რეგიონის ტერიტორიისათვის 20 კმ-იან ბადეზე, მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების **A1B**⁷¹ სცენარის გამოყენებით.

დაკვირვებისა და მომავლის პროგნოზის ძირითადი შედეგები წარმოდგენილია კლიმატის ცვლილების მიმართ საქართველოს მესამე ეროვნულ შეტყობინებაში⁷² და აჭარის კლიმატის ცვლილების სტრატეგიაში⁷³. ქვემოთ მოყვანილია აჭარის რეგიონში კლიმატის მიმდინარე და სამომავლო ცვლილებების ძირითადი ტენდენციები. ვინაიდან ამ პროექტის ფარგლებში შემუშავებული მდ. ჭოროხი-აჭარისწყლის აუზის მარეთვის გეგმა განერილია 2021 წლამდე, კლიმატის ცვლილების პროგნოზი გათვალისწინებულია მხოლოდ 2050 წლამდე.

საშუალო წლიური ტემპერატურა უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში (1961-2010 წწ) აჭარის რეგიონში მცირედით, მაგრამ სტაბილურად იმატებს და ტემპერატურის ნაზარდი ამ პერიოდში 0.3°C შეადგენს. ტემპერატურის მატება მდ. აჭარისწყლის შუა წელის მიმდებარე ტერიტორიაზე (მეტეოსადგური ქედა) უფრო ინტენსიურ (+0.5°C) ზრდას აჩვენებს, ვიდრე დანარჩენ ტერიტორიაზე. ტემპერატურის მატება ძირითადად შეიმჩნევა შემოდგომასა და ზაფხულში, ხოლო გაზაფხული და ზამთარი შედარებით გრილია. 2050 წლისათვის მოსალოდნელია საშუალო წლიური ტემპერატურის ზრდის ტენდენციის შენარჩუნება აჭარის მთელს ტერიტორიაზე და ნაზარდი ამ პერიოდისათვის საშუალოდ 1.4°C-ია 1961-1990 წლებთან შედარებით. მატება აღინიშნება ყველა სეზონზე, განსაკუთრებით თბება ზაფხული ($\approx 2.2^{\circ}\text{C}$).


⁷⁰ IPCC-ს სპეციალური ანგარიშიდან ემისიების მომავალი სცენარების შესახებ: „**A1** ოჯახის სცენარები განიცდიან ეკონომიკის ძალიან სწრაფ ზრდას, მოსახლეობის ზრდის პიკს 21-ე საუკუნის შუაწლებში და შემდგომ შემცირებას, და ახალი ენერგოეფექტური ტექნოლოგიების სწრაფ გავრცელებას. ამ ჯგუფის სცენარების მთავარი ხაზი არის რეგიონების თანდათან დაახლოება, ადგილობრივი პოტენციალის გაზრდა, მზარდი კულტურული და სოციალური ურთიერთგაცვლა, რასაც თან უნდა ახლდეს ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლებში რეგიონებს შორის არსებული დიდი განსხვავების მნიშვნელოვანი შემცირება. **A1** ასევე, ოჯახის სცენარები დაჯგუფებულია სამ განსხვავებულ ჯგუფად, ტექნოლოგიების მიხედვით: მათ შორის **A1B** - ყველა ტიპის სანავის დაბალანსებული მოხმარება (ბალანსი ამ შემთხვევაში გულისხმობს, რომ არ უნდა იყოს სრული/გადამეტებული დამოკიდებულება ერთ რომელიმე სანავის სახეობაზე, იმ დაშვებით, რომ ტექნოლოგიების განვითარების კოეფიციენტი ერთნაირი აქვთ სხვადასხვა მწარმოებელ და საბოლოო მომხმარებელ ტექნოლოგიებს, სხვადასხვა სანავის შემთხვევაში: <http://ipcc.ch/ipccreports/tar/wg1/029.htm#storya1>

⁷¹ http://moe.gov.ge/files/Klimatis%20Cvliileba/ErovnuliShetkobienebebi/2015_bolo/geo.compressed.pdf

⁷² http://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/library/environment_energy/climate-change-strategy-of-ajara-.html

⁷³ დღე-ღამეში მოსული ნალექების მაქსიმალური რაოდენობა, მმ. <http://etccdi.pacificclimate.org/indices.shtml>

ნახაზი 34. ტემპერატურის საშუალო წლიური მნიშვნელობის ცვლილება აჭარის ტერიტორიაზე: ა). 1986-2010 წწ და 1961-1985 წწ; ბ). 2021-2050 წწ და 1986-2010 წწ. პერიოდებს შორის.




ა)

ბ)

ნალექების წლიური ჯამი. ნალექების რეჟიმში აქამდე გამოვლენილი ცვლილებები არამდგრადია, თუმცა ნალექების წლიური ჯამების ტერიტორიული განაწილების თავისებურებანი მთელი განხილული პერიოდის განმავლობაში (1961-2100) ფაქტიურად ნარჩუნდება. 1961-2010 წლებში ნალექების მატების მდგრადი ტენდენციები, ძირითადად, ფიქსირდება მდ. აჭარისწყლის შუა და ზემო წელის მიმდებარე ტერიტორიაზე (ქედა-16%, ხულო-11%), ხოლო ყველაზე მაღალმთიან ზონაში (გოდერძის უღ.) ნალექების რეჟიმში გამოვლინდა შემცირების საკმაოდ ნიშნავი ტენდენციები (კლება -15%). ზოგადად, მიმდინარე პერიოდში და 2050 წლამდე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის მეტ ნაწილზე ნალექების მატებაა. კერძოდ, აჭარის ცენტრალურ ნაწილში ნალექების წლიური ჯამების ნაზრდი 15-16% აღწევს, თუმცა მაღალ მთაში (გოდერძის უღელტეხილის მეტეოსადგური გამონაკლისია მთის სადგურებში), ნალექები 15%-იან კლებას აჩვენებს. აღსანიშნავია, რომ ნალექების მატება მთელ განხილულ ტერიტორიაზე, ძირითადად, შემოდგომა-ზამთრის სეზონების ხარჯზე მიმდინარეობს, გაზაფხული-ზაფხულის განმავლობაში კი, ქედისა და ხულოს გარდა, აღინიშნება ნალექიანობის შემცირების ტენდენციები. 2050 წლისათვის აჭარის ტერიტორიაზე ნალექების წლიური რაოდენობა სავარაუდოდ გაიზრდება სანაპირო ზოლის ნაწილში, განსაკუთრებით, ბათუმში (+13%) და მაღალ მთაში (გოდერძის უღ., +6%), ხოლო რეგიონის ცენტრალურ ნაწილში სავარაუდოა შედარებით მცირე კლება (ქედა, -4%; ხულო, -0,2%). ნალექების წლიური ჯამების ყველაზე ნიშნავი შემცირება, სცენარების მიხედვით, მოსალოდნელია მხოლოდ ქობულეთში (-13%). წლიური ჯამების ცვლილებებთან ერთად, იცვლება ნალექების სეზონური განაწილებაც, კერძოდ კი მნიშვნელოვნად მცირდება გაზაფხული-ზაფხულის ნალექების რაოდენობა (6-8%-ით) და იზრდება შემოდგომა-ზამთრის ნალექები (9-10%-ით).

ნახაზი 35. ნალექების წლიური ჯამის ცვლილება აჭარის ტერიტორიაზე: ა) 1986-2010 წწ და 1961-1985 წწ; ბ) 2021- 2050 წწ და 1986-2010 წწ. პერიოდებს შორის.




ა)

ბ)

ექსტრემალური ნალექიანი დღეები (ექსტრემალური დღეღამური ნალექის ზრდა-Rx1day ინდექსი⁷⁴, უხვნალექიან დღეთა გახშირება - R50, R90 ინდექსები⁷⁵; ნალექთა წლიური ჯამების გარკვეულ ნორმაზე გადაჭარბება; თანმიმდევრულად ნალექიანი პერიოდების - (CWD)⁷⁶ ინდექსი). მიმდინარე პერიოდში და 2050 წლამდე ექსტრემალურად უხვი (R90) ნალექების განმეორადობა, წლიურ ჭრილში, აჭარის ტერიტორიაზე ძირითადად იზრდება წელიწადში მინიმუმ 0.5 დღით და მაქსიმუმ 2.5 დღით. დღე-ღამეში მოსული ნალექების რაოდენობასაც (Rx1day) ზრდის ტენდენცია აქვს განსაკუთრებით ქედას მეტეოსადგურის მიდამოებში, სადაც 2050 წლისათვის ექსტრემალური დღეღამური ნალექის ნაზრდი სავარაუდოდ 106 მმ-ს მიაღწევს (171 მმ-დან ავა 277 მმ-მდე), რაც მნიშვნელოვნად გაზრდის წყალმოვარდნისა და ღვარცოფების რისკს. ამ ინდექსის 15 მმ ზრდაა მოსალოდნელი გოდერძის უღელტეხილზე.

ნახაზი 36. ექსტრემალურად უხვნალექიან დღეთა რაოდენობის ცვლილება აჭარის ტერიტორიაზე: ა) 1986-2010 წწ და 1961-1985 წწ; ბ) 2021- 2050 წწ და 1986-2010 წწ. პერიოდებს შორის.



ბ)

ა)

⁷⁴უხვნალექიან (≥ 50 მმ) და ექსტრემალურად უხვნალექიან (≥ 90 მმ) დღეთა რაოდენობა.

<http://etccdi.pacificclimate.org/indices.shtml>

⁷⁵ ისეთ თანმიმდევრულ დღეთა მაქსიმალური რიცხვი, როდესაც ნალექების დღე-ღამური რაოდენობა ≥ 1 მმ.

<http://etccdi.pacificclimate.org/indices.shtml>

⁷⁶ ისეთ თანმიმდევრულ დღეთა მაქსიმალური რიცხვი, როდესაც ნალექების დღე-ღამური რაოდენობა < 1 მმ.

<http://etccdi.pacificclimate.org/indices.shtml>

თანმიმდევრულად უნალექო (CDD) ⁷⁷ პერიოდები. ექსტრემალური კლიმატური მოვლენებიდან აღსანიშნავია, რომ თანმიმდევრულად უნალექო (CDD) პერიოდების მაქსიმალური ხანგრძლივობა 1-დან 3 დღემდეა შემცირებული აჭარის მთელს ტერიტორიაზე. მაგრამ 2050 წლისათვის მნიშვნელოვნად იზრდება (გარდა ხულოსა და გოდერძის უღელტეხილის მიდამოებისა, სადაც უმნიშვნელოდ განაგრძობს შემცირებას). ეს პროცესი გაახანგრძლივებს გვალვებს, რასაც ასევე ადასტურებს SPI გვალვის ინდექსი.

ნალექის სტანდარტიზებული (გვალვის) ინდექსი⁷⁸.

გვალვის ინდექსი უკანასკნელი 50-წლიანი პერიოდის განმავლობაში აჭარის თითქმის მთელ ტერიტორიაზე, ყველა დროითი ბიჭისათვის და განსაკუთრებით ხანგრძლივი გვალვებისთვის, ხასიათდება ზრდის ტენდენციებით.

9.1.1 კლიმატის ცვლილების ზემოქმედება მდინარე აჭარისწყლის ჩამონადენზე

აჭარის მდინარეები უმეტესად წვიმის წყლით საზრდოობის ტიპს მიეკუთვნება, თუმცა მთიან ნაწილში დიდია თოვლის ნაღობი წყლებითა და მიწისქვეშა წყლებით საზრდოობის როლიც, რის გამოც მათ ახასიათებთ გაბაფხულისა და შემოდგომის მაქსიმუმები. ამასთან, ინტენსიური წვიმებისა და თოვლის დნობის დროს რეგიონის ტერიტორიაზე წარმოიქმნება უამრავი დროებითი ნაკადი. მდინარეების ზედაპირული ჩამონადენის კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობის შესაფასებლად განხილულ იქნა მდინარე აჭარისწყალი. იგი ყველაზე დიდი მდინარეა, რომელიც მთლიანად აჭარის ტერიტორიაზე მდებარეობს (უდიდესი მდინარის, ჭოროხის, მხოლოდ 25კმ მოედინება აჭარის ტერიტორიაზე). მდინარე თოვლის, წვიმის და გრუნტის წყლებით საზრდოობს, ამასთან თოვლის წყლები მდინარის კვებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს და მათი წილი უდიდესია სათავესთან. მდინარის რეჟიმს ახასიათებს გაბაფხულის წყალდიდობა, შემოდგომის წყალმოვარდნები და შემოდგომა-ზაფხულის წყალმცირება. აჭარისწყალზე მდებარეობს აჭყესი — აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგური. გარდა ამისა, მდინარის წყალი გამოიყენება სარწყავად.

მდინარე აჭარისწყალის ჩამონადენზე კლიმატის ცვლილების გავლენა შეფასდა კლიმატის ცვლილების შესახებ საქართველოს მესამე ეროვნულ შეტყობინებაში⁷⁹ და აჭარის კლიმატის ცვლილების სტრატეგიაში⁸⁰. შესაფასებლად გამოყენებულ იქნა ქედის საგუშაგოზე 1957-1991 წლებში დაკვირვებული ჩამონადენის მნიშვნელობები, რომლითაც მოხდა საპროგნოზო მოდელის დაკალიბრება. დროითი რიგების სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ამ პერიოდში მდ.აჭარისწყლის საშუალო წლიური ჩამონადენი გაიზარდა, ხოლო ჩამონადენის მაქსიმუმი შემცირდა. 1976-1990 წლების 15-წლიანი პერიოდის განმავლობაში ჩამონადენი გაიზარდა ყველა სეზონზე წინა 1961-1975 პერიოდთან შედარებით. ყველაზე დიდი ზრდა გამოვლინდა შემოდგომასა (30%) და ზამთარში (20%), ყველაზე მცირე - გაბაფხულზე (10%). აღსანიშნავია, რომ ეს ცვლილებები შეესაბამება წლიური ნალექების ჯამების, უხვნალექიან დღეთა და თანმიმდევრულად ნალექიანი დღეების რაოდენობის ზრდას ამ პერიოდში.

მდინარე აჭარისწყლის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე კლიმატის პროგნოზირებული ცვლილების მოსალოდნელი ზეგავლენის შესაფასებლად გამოყენებული იქნა ჰიდროლოგიური მოდელი

⁷⁷ <http://ulysses.atmos.colostate.edu/SPI.html>

⁷⁸ http://moe.gov.ge/files/Klimatis%20Cvliileba/ErovnuShetkobinebebi/2015_bolo/geo.compressed.pdf


⁷⁹ http://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/library/environment_energy/climate-change-strategy-of-ajara.html

⁸⁰ Yates D., Sieber J., Purkey D., Huber-Lee A., WEAP21 – წყლის დაგეგმვის მოდელი ნაწილი 1: მოდელის დახასიათება, საერთაშორისო წყალი გამოცემა 30, N. 4, გვ. 487–500, 2005. <http://www.weap21.org/>

WEAP⁸¹ (Water Evaluation and Planning System). მოდელის გასამართად გამოყენებულ იქნა აჭარის ტერიტორიაზე მდებარე 3 სადგურის მონაცემები ჰაერის ტემპერატურის, ნალექების, ფარდობითი ტენიანობისა და ქარის საშუალო სიჩქარის შესახებ (მეტეოსადგურები ხულო, ქედა და გოდერძის უღელტეხილი, 1961-1990 წწ.), აგრეთვე არსებული ინფორმაცია რელიეფზე, გეოლოგიურ აგებულებაზე, ნიადაგის ტიპებისა და მცენარეულ საფარზე. მოდელი დაკალიბრებულ და ვალიდირებულ იქნა ჩამონადენის ფაქტობრივად გაზომილი მონაცემებით საგუშაგო ქედაზე (1961-1990წწ.).

მომავალი კლიმატის სცენარის დასახასიათებლად გამოყენებულ იქნა კლიმატური მოდელების ანსამბლი, რომელიც ასევე მიღებულ იქნა აჭარის ტერიტორიაზე კლიმატის ცვლილების სცენარის შესაქმნელად. კლიმატის ცვლილების ამ სცენარის გამოყენებამ ჰიდროლოგიურ მოდელში ჩამონადენის ცვლილებების შესაფასებლად აჩვენა, რომ ასეთი სცენარის შემთხვევაში მდინარის საშუალო წლიური ჩამონადენი 2021-2050 წლებში ფაქტობრივად არ შეიცვლება 1961-1990წწ. საშუალოსთან შედარებით (-0.3%), თუმცა მოსალოდნელია სეზონური განაწილების შეცვლა (ნახ.4). კერძოდ, ზამთრისა და შემოდგომის ჩამონადენის ზრდა, სავარაუდოდ, გაგრძელდება (შესაბამისად 31% და 4%), მაგრამ უმნიშვნელოდ შემცირებული ნალექები და რაც ამ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანია, საგრძნობლად მომატებული ტემპერატურა გამოიწვევს გაფხულისა და გაზაფხულის ჩამონადენის შემცირებას შესაბამისად (17% და 9%). ასეთ ცვლილებას დადებითი გავლენა ექნება ჰიდროენერგეტიკაზე, რადგანაც გაიზრდება ჰიდროენერგეტიკისთვის პრობლემურ პერიოდში, ზამთარში, ენერგიის წარმოების პოტენციალი, მაგრამ უარყოფითი გავლენა ექნება სოფლის მეურნეობაზე, რადგანაც შემცირდება სარწყავი წყლის რაოდენობა გაფხულში. მიუხედავად იმისა, რომ გაზაფხულის ჩამონადენი მცირდება, ცალკეულ, ცივ წლებში, ზამთრის გაზრდილი ნალექი თოვლის სახით გამოიწვევს გაზაფხულზე წყალდიდობის რისკის ზრდას.

ნახაზი 37⁸². მდ. აჭარისწყლის საშუალო სეზონური ჩამონადენი საგუშაგო ქედაზე 1961-1990 (ფაქტობრივი) და 2021-2050 (პროგნოზირებული) წწ. პერიოდებში.



⁸¹ http://moe.gov.ge/files/Klimatis%20Cvileba/ErovnulliShetkobinebebi/2015_bolo/geo.compressed.pdf

⁸² საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“

9.1.2 ექსტრემალური გეოლოგიური მოვლენების ზემოქმედება

რელიეფის მრავალფეროვნებისა და გეომორფოლოგიური აგებულების სირთულის, აგრეთვე ზღვასთან სიახლოვის გამო, სტიქიური მოვლენების სიხშირითა და ინტენსივობით აჭარა ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული რეგიონია საქართველოში. ამჟამად აჭარის მოსახლეობას უდიდეს საშიშროებას უქმნის **მენყერულ-ღვარცოფული პროცესები**, რომელთა სიხშირე და ინტენსივობა ბოლო 20 წლის მანძილზე საგრძნობლად გაიზარდა. თუ გასული საუკუნის 70-იანი წლებისთვის მენყერებითა და ღვარცოფების მენყერებითა და ღვარცოფებით მიყენებული ზიანისა და საშიშროების მიხედვით აჭარა საშუალო და მნიშვნელოვანი რისკების კატეგორიას (კოეფიციენტით 0.3-0.5) მიეკუთვნებოდა, 2000 წლისთვის ეს რეგიონი სტიქიური პროცესების დროსა და სივრცეში ექსტრემალური გააქტიურებისა და მიყენებული ზარალის მიხედვით გადაყვანილი იქნა მაღალი და ძლიერ მაღალი საშიშროების კატეგორიაში (რისკების კოეფიციენტით 0.5-0.9). სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ რეგიონში განვითარებული ღვარცოფმაფორმირებელი კერების 80%-ზე მეტი უშუალოდაა დაკავშირებული მენყერული პროცესების პერიოდულ გამოცოცხლებასთან და მათი საშიშროების რისკი დიდად არის დამოკიდებული მენყერული პროცესების გააქტიურების მასშტაბებზე.

აჭარაში მენყერულ-ღვარცოფული პროცესების განვითარებას გასულ საუკუნეში გარკვეული ციკლურობა ახასიათებდა მაქსიმუმებით ყოველ 5-6 წელიწადში ერთხელ. ბოლო პერიოდში, უხვი ნალექების გახშირებასა და სეისმური პროცესების გააქტიურებასთან ერთად ეს ციკლურობა მკვეთრად დაირღვა და მენყერულ-ღვარცოფული პროცესების გამოვლენა მიღებულ ფონს ზემოთ თითქმის ყოველ წელს აღინიშნება. თუ აჭარის ტერიტორიაზე ამ პროცესების შემთხვევათა რიცხვს შევადარებთ ორ თანაბარი დროის მონაკვეთში 1967-1987 წწ და 1987-2009 წწ, მივიღებთ ბოლო დროს მენყერთა რაოდენობის ზრდას 63%-ით, ხოლო ღვარცოფთა ტრანსფორმირების შემთხვევათა ზრდას 162%-ით. ამითაა განპირობებული ის ფაქტი, რომ დღეისთვის აჭარის მოსახლეობის 70%-ზე მეტი სტიქიური კატასტროფების მუდმივი საშიშროების ქვეშ იმყოფება.⁸³

ზემოთ განხილული ცვლილებები ნალექების სხვადასხვა ტიპის ექსტრემალურ ინდექსებში ზრდა იძლევა იმის დაშვების ალბათობას, რომ 2050 წლისათვის ღვარცოფისა და მენყერების კლიმატური ფაქტორებით გააქტიურების პირობები აჭარის მთელ ტერიტორიაზე კიდევ უფრო გამწვავდება.

კლიმატის ცვლილებას აჭარაში ექსტრემალური გეოლოგიური მოვლენების ხდომილებაზე და სიხშირეზე აქვს როგორც პირდაპირი ასევე არაპირდაპირი გავლენა, როგორცაა კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ტყეებისა და საძოვრების დეგრადაცია.

ხანგრძლივი და უხვი ნალექები, მათ შორის დიდთოვლობა, განაპირობებს აქ წყალდიდობა/წყალმოვარდნების, მენყერულ-ღვარცოფული პროცესების, თოვლის ზვავების და ამ სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებული ბუნებრივი კატასტროფების მაღალ განმეორადობას. ამას უნდა დაემატოს მიწის ეროზიის პროცესები როგორც ზღვის სანაპირო ზოლში, ისე მდინარეთა ნაპირების გასწვრივ. ბოლო რამდენიმე ათეული წლის მანძილზე აშკარად შეიმჩნევა აღნიშნული პროცესების გააქტიურება, რაც მზარდ მსხვერპლიანობას იწვევს და დიდ ზიანს აყენებს რეგიონის ეკონომიკასა და **ბუნებრივ ეკოსისტემებს**. ამ ეკოსისტემებს განეკუთვნება მდინარე აჭარისწყალიც, მდინარის კალაპოტი, მკვებავი მიწისქვეშა წლები, რომლებიც ხშირად იკარგება მენყერების გააქტიურებისას და ა.შ. საკმაოდ დიდი რისკის ქვეშ არიან გააქტიურებული მენყერებისა და ღვარცოფების პირობებში.

⁸³ <http://www.ipcc.ch/ipccreports/tar/wg2/index.htm>

გარდა ამისა, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ზღვის დონის შემდგომი აწევა ხმელეთის მიმართ (ევსტაზია) და შტორმული მოვლენების გააქტიურება (რაც უკვე დაიკვირვება სანაპირო ზოლში) შექმნის მარილიანი წყლის სასმელი წყლის მარაგებში შეჭრის რისკებს და ამით დააქვეითებს სასმელი წყლის ხარისხს. ასეთი, ზღვის წყლის შეჭრა და დამლაშება კარგა ხანია დაიკვირვება პალიასტომის ტბაში.

9.1.3 წყალაღება და ჩამონადენზე სხვა ხელოვნური ზეწოლები

კლიმატის ცვლილების ზეგავლენა წყალაღებასა და ჩამონადენზე სხვა ხელოვნურ ზეწოლებზე

წყალაღება ხდება მიწისქვეშა და ზედაპირული წყლებიდან სასმელი, სარწყავი, სამრეწველო გამოყენების და სხვა მიზნებით. ამჟამად ძირითადი წყალმომხმარებელი საპილოტე აუზში ჰიდროელექტრო სექტორია, რასაც მოსდევს სასმელი წლამომარაგების სისტემა, თევზჭერისა და მრეწველობის სექტორი. რაც შეეხება სარწყავი წყლის გამოყენებას, მისი წილი საპილოტე ტერიტორიაზე უმნიშვნელოა.

მიუხედავად მისი მოკრძალებული მასშტაბებისა, წყლის სასოფლო-სამეურნეო გამოყენება მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობისათვის. კლიმატის ცვლილების გავლენა (მიმდინარე და მომავალი სცენარებით) სარწყავი წყლის დეფიციტზე ძალიან სერიოზულია, რადგან მდინარის ჩამონადენი ისედაც დაბალია და კიდევ უფრო მცირდება ზაფხულის პერიოდში (ნახ. 4), ხოლო მეორეს მხრივ, ყველაზე დიდი მოთხოვნა სარწყავ წყალზე კონცენტრირებულია ზაფხულის თვეებში.

მიმდინარე და პროგნოზირებული ტემპერატურის მატების შედეგად წყალზე მოთხოვნა, სავარაუდოდ, გაიზრდება საყოფაცხოვრებო, დასვენების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის სექტორების მიერ. მაგალითად, კვლევები კლიმატის ცვლილების გავლენის შესახებ ტურისტულ სექტორზე აჭარის რეგიონში მიუთითებს ტურისტული სეზონის გახანგრძლივებაზე, რასაც თან მოჰყვება მომსახურების შესაბამისი სფეროებისა და ინფრასტრუქტურის გაფართოება, რაც თავის მხრივ გაზრდის მოთხოვნას წყლის რესურსზე.

ასევე სავარაუდოა, რომ წყალაღება გაიზრდება ტექნოლოგიურ პროცესებში გამოყენებული წყლების გაგრილებისათვის, რამდენადაც სამრეწველო პროცესების წარმოება განხორციელდება უფრო მაღალი გარე ტემპერატურის პირობებში და თვითონ აღებული წყლის ტემპერატურაც, წლის გარკვეულ დროს, იქნება უფრო მაღალი.

9.1.4. ფიზიკური მოდიფიკაცია

კლიმატის ცვლილების ზეგავლენა ფიზიკური მოდიფიკაციაზე (ზეწოლა)

ფიზიკური მოდიფიკაცია ჭოროხი-აჭარისწყლის მდინარის აუზისთვის მნიშვნელოვანი პრობლემაა. არსებული და დაგეგმილი ჰესების ოპერირება, კაშხლების, არხების, ჯებირებისა და წყალსაცავების მშენებლობა, გრუნტიდან ქვიშისა და ხრეშის მოპოვება მდინარის კალაპოტში, სანაპირო ზოლის დასაცავი ნაგებობები ცვლის წყლის ობიექტების ბუნებას და გავლენა აქვს მყარი ნატანის დინამიკაზე (ნატანის ტრანსპორტირების შემცირება მოსალოდნელია ჯებირებიდან და კაშხლებიდან მდინარის ქვემო დინებებში), ჰიდროლოგიურ რეჟიმზე (წყლის დინების შემცირებაზე) და ჰიდრომორფოლოგიაზე (არხისა და კალაპოტის ფორმაზე).

კლიმატის ცვლილება კიდევ უფრო აძლიერებს ამ ტიპის ზეწოლებს ექსტრემალური გეოლოგიური მოვლენების გააქტიურებით, წყლის რეჟიმზე გავლენით, ნაშალის შემცირებით ან გაძლიერებით სხვადასხვა გააქტიურებული გეოლოგიური პროცესების გამო, შესაძლებელია შეცვალოს განვითარების კანონზომიერებები და ფიზიკური ზეწოლა წყლის ობიექტებზე. მაგალითად, სანაპირო რაიონებში აჭარაში იზრდება ტურისტული ინდუსტრია ტურისტული სეზონის სავარაუდო გახანგრძლივების გამო.

ექსტრემალური მოვლენების გახშირება ზრდის წყალდიდობების რისკს, ზღვის დონის აწევა და შტორმული მოვლენების გააქტიურება წარმომქნის წყალდიდობებისგან დამცავი სტრუქტურული საშუალებებისა და ზედაპირული წყლების სადრენაჟო სისტემების შექმნა-განახლების მოთხოვნას.

გაზრდილი უხვი ნალექების და გარკვეულ პერიოდებში მოსალოდნელი წყალდიდობების და მეწყერების გამო იზრდება უკვე არსებული რისკი ნაპირდამცავი თუ სხვა ღონისძიებებისთვის. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საშიში გეოლოგიური მოვლენებიდან აჭარისთვის განიხილება, აგრეთვე, ზღვის სანაპირო ზოლის წარეცხვის ინტენსივობის ზრდა და ნიადაგის წყლისმიერი ეროზიის გაძლიერება, განსაკუთრებით, მდინარეების შესართავებში.

9.1.5.ორგანული დაბინძურება

კლიმატის ცვლილების ზეგავლენა ორგანული დაბინძურების ზეწოლაზე

ორგანული დაბინძურება ეს არის ისეთი ორგანული ნივთიერებების სიჭარბე წყალში, რომლებიც ფიტავენ ველური ბუნებისთვის ხელმისაწვდომ ჟანგბადს. ასეთი ნივთიერებების წყაროებს, რომლებიც განაპირობებენ ჟანგბადზე მაღალ ბიოლოგიურ მოთხოვნას, წარმოადგენს საკანალიზაციო და სამრეწველო ჩამდინარე წყლები, ურბანული ჩამონადენი და ჩამონადენი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან. ასევე, საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა და სასუქების ჩაშვება ზედაპირული წყლის ჩამონადენში.

მომავლის კლიმატის სცენარები პროგნოზირებენ ორგანული დაბინძურების ზრდას სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან და მიწათმოქმედების სისტემებიდან. ვინაიდან აჭარა მაღალმთიანი რეგიონია, დიდი დახრილობის ფერდობებით, სადაც მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა, უხვი ნალექის შემთხვევაში ხდება ნიადაგებიდან ჰუმუსის საკმაოდ დიდი ფენის ჩამორეცხვა და მდინარეებში ჩატანა, მასში შემავალ ყველა ნივთიერებასთან ერთად. ნალექების მიმდინარე ზრდის ფონზე კლიმატის ცვლილების ეს ზეგავლენა მდინარეებზე და სხვა სახის წყლის ობიექტებზე კიდევ უფრო გაიზრდება.

ექსტრემალური ნალექებისა და წყალდიდობა/წყალმოვარდნების გახშირების გამო საკანალიზაციო სისტემების გადავსების შემთხვევების ზრდა ასევე ზრდის აღნიშნულ ზეწოლას. გაზაფხული-ზაფხულის ნალექების შემცირების ტენდენციებმა შესაძლოა იმოქმედოს ჩამდინარე წყლების განზავების მოცულობაზე, რაც ნეგატიურად აისახება წყლის ეკოლოგიურ სტატუსზე.

ჟბმ-ზე მოთხოვნილების ზრდას გამოიწვევს ასევე წყლის ტემპერატურის აწევა. ამდენად, კლიმატის ცვლილების გავლენის შედეგად, ორგანული დაბინძურების ზეწოლა მდ. ჭოროხი-აწარისწყლის აუზში შესაძლოა ისე შეიცვალოს, რომ რისკის ქვეშ დადგეს წყლის ჩარჩო-დირექტივის მიზნების შესრულება.

9.1.6 ბიოგენური ნივთიერებების ზეწოლა

კლიმატის ცვლილების ზეგავლენა ბიოგენური ნივთიერებების ზეწოლაზე

ბიოგენურ ნივთიერებების - დიფუზიური ნუტრიენტების, როგორცაა აზოტისა და ჯამური ფოსფატის ნაერთები, წყაროებს წარმოადგენს გაუნმენდავი მუნიციპალური ნარჩენი წყლები, გაუნმენდავი ჩამდინარე წყლები სანიტარული სისტემებიდან, საკანალიზაციო სისტემების გადატვირთვა, გაჟონვა, ურბანული ჩამონადენი (მაგალითად, ცხოველების და ფრინველების ფეკალიები), სასუქები და ცხოველური ნარჩენები სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებიდან და შენობა-ნაგებობებიდან. ბიოგენურ ნივთიერებების ზეწოლა წარმოადგენს საშუალო ტიპის ზეწოლას ჭოროხი-აჭარისწყლის მდინარის აუზში როგორც წერტილოვანი, ისე დიფუზური დაბინძურების წყაროებიდან.

გამომდინარე იქედან, რომ კლიმატის ცვლილების ფონზე გაზრდილი უხვნალექიანი დღეების მატების გამო მეწყერების და ღვარცოფების მოხდენის ალბათობა აჭარაში საკმაოდ გაზრდილია და იმის გათვალისწინებით, რომ სტიქიური მოვლენების დროს პირველი საფრთხე სწორედ დაბინძურებული წყლებისა და ნიადაგის ჩადინებაა როგორც მიწისზედა, ასევე მიწისქვეშა წყლებში, ბუნებრივია, კლიმატის ცვლილების გავლენა ამ სახის ზემოქმედებაზე ჭოროხი-აჭარისწყლის აუზში ძალიან მაღალია.

ზემოთ განხილულ ზემოქმედებას თან ერთვის ის, რომ ზაფხულის პერიოდში ჩამონადენის 17%-ით კლების გამო წყლის ხარისხი გაუარესდება რადგან შემცირდება განზავების მოცულობა და აქედან გამომდინარე, გაიზრდება ამ ნივთიერებების კონცენტრაცია.

შტორმული მოვლენების გახშირება, განსაკუთრებით ზაფხულში, გაზრდის კანალიზაციის სისტემების გადატვირთვის შემთხვევათა რიცხვს, რაც გამოიწვევს დაბინძურებული წყლების ჩადვრას წყლის ობიექტებში. მოკლე ხანგრძლივობის ინტენსიური ნალექების მატება გამოიწვევს მუნიციპალური წყლის ხარისხის დაქვეითებას, შეუქმნის რა პრობლემებს სანიაღვრე სისტემებს. ასევე, ზღვის დონის აწევა გავლენას იქონიებს საკანალიზაციო ჩამდინარე წყლებზე.

კლიმატის ცვლილების პროგნოზების მიხედვით, სავარაუდოდ, გაიზრდება ბიოგენური ნივთიერებებით დაბინძურება სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან ნაკლებად ხშირი, მაგრამ ინტენსიური ნალექების შედეგად. ასეთმა ინტენსიურმა ნალექებმა ასევე სავარაუდოა, რომ გამოიწვიოს მაღალი დონის დაბინძურება ურბანული ზონებიდან. ინტენსიური ნალექები და წყალდიდობის გახშირება გამოიწვევს საკანალიზაციო სისტემის გადატვირთვას.

სავეგეტაციო პერიოდის გახანგრძლივებამ შესაძლოა გამოიწვიოს სასუქების მომატებული გამოყენება. თუმცა ეს ნაწილობრივ კომპენსირდება მცენარეთა მიერ სასუქების გაზრდილი ათვისებით. გაუარესდება, ასევე, ეუთოოფიკაციის გავლენა ნუტრიენტებზე წყალმცენარეთა უფრო ინტენსიური ზრდის შედეგად, რაც თავის მხრივ მომატებული მზის ნათებითა და წყლის ტემპერატურით იქნება განპირობებული. ეს შეიძლება გარკვეულწილად გადაიფაროს საკვები ნუტრიენტების ნაერთების დაშლის პროცესების ინტენსიფიკაციით ჩამდინარე წყლების გამწმენდი სამუშაოების დროს გაზრდილი ტემპერატურის, მიკრობების უფრო აქტიური ფუნქციონირების და მდინარეებში მომატებული დენიტრიფიკაციის შედეგად.

9.1.7. პრიორიტეტული მავნე ნივთიერებების, პრიორიტეტული ნივთიერებებისა და სპეციფიური დამაბინძურებლების (ნავთობპროდუქტები, მყარი შენონილი ნაწილაკები, პესტიციდები) ზეწოლა

კლიმატის ცვლილების ზეგავლენა პრიორიტეტული მავნე ნივთიერებების, პრიორიტეტული ნივთიერებებისა და სპეციფიური დამაბინძურებლების ზეწოლაზე

მდინარე ჭოროხი-აჭარისწყლის აუზში პრიორიტეტული მავნე ნივთიერებების, პრიორიტეტული ნივთიერებებისა და სპეციფიური დამაბინძურებლების ძირითად წყაროებს წარმოადგენს ფარმაცევტული სექტორი, ასევე ნავთობის ტერმინალები, სამრეწველო ნარჩენი წყლები და სასოფლო-სამეურნეო მიწებიდან ჩამონადენი წყლები.

ნაკლებად სავარაუდოა, რომ კლიმატის ცვლილება მნიშვნელოვნად გაზრდის რისკებს სამრეწველო წერტილოვანი წყაროებიდან. თუმცა, უფრო გახშირებულმა და ინტენსიურმა ნალექებმა შესაძლოა გამოიწვიოს ზოგიერთი ქიმიკატის, მათ შორის ნავთობის ჯამური ნახშირწყალბადების, პიკური მატება ინდუსტრიული სექტორიდან⁸⁴.

ბაფხულში მოსალოდნელი ნალექებისა და ჩამონადენის კლება, სავარაუდოდ შეამცირებს ნაკადის განზავების უნარს და თავის მხრივ, გაზრდის ქიმიკატების, მათ შორის პესტიციდების და შენონილი ნაწილაკების კონცენტრაციას ზედაპირულ წყლებში.

9.1.8. მყარი ნატანის ზეწოლა

კლიმატის ცვლილების ზეგავლენა მყარი ნატანის ზეწოლაზე

მდინარის სედიმენტაციის რეჟიმის⁸⁵ ცვლილება, ჭოროხის-აჭარისწყლის აუზში განპირობებულია, ერთის მხრივ, ჰიდრო-მორფოლოგიური ზეწოლებით, როგორცაა წყალაღება ცენტრალიზებული წყალმომარაგების სისტემების მიერ, ჰესების და კაშხლების ოპერირება, ქვიშა-ხრემის მოპოვება მდინარის კალაპოტიდან, მდინარის ფრაგმენტაცია წყალდიდობისგან დასაცავად ან და მეორეს მხრივ, ექსტრემალური გეოლოგიური მოვლენებით, რომელთა გააქტიურებაში კლიმატის ცვლილების როლი ძალიან მაღალია.

კლიმატის გავლენა ნატანის რეჟიმზე უკვე ვლინდება მეწყრული პროცესების გააქტიურების გამო მთელ მაღალმთიან აჭარაში, რაც თავის მხრივ გამოწვეულია ტყეების დეგრადაციით და მცირე დახრილობის ფერდობების სედიმენტაციით. მომავლის სცენარების მიხედვით, სავარაუდოა მეწყრულ-ღვარცოფული პროცესების კიდევ უფრო გააქტიურება ექსტრემალური ნალექების გახშირებისა და რეგიონის ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე წლიური ნალექების რაოდენობის მატების შედეგად, რაც გაამწვავებს არსებულ ზეწოლას. გარდა ამისა, ინტენსიური ნალექები ხელს შეუწყობს ნიადაგების გამორეცხვას და გაამძაფრებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან და ურბანული გარემოდან მყარი ნატანის აკუმულაციის პროცესს. ასევე, შტორმული პროცესების გახშირება გამოიწვევს ნაკადის სიმძლავრის ცვლილებებს და გაამწვავებს არხების ეროზიას და იმოქმედებს მყარი ნატანის მოძრაობის სიჩქარეზე. გასათვალისწინებელია, რომ კლიმატის ცვლილება განაპირობებს ჩამონადენის რეჟიმის ცვალებადობას ორივე მიმართულებით, გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში პროგნოზირებული შემცირებული ჩამონადენის პირობებში კი მოსალოდნელია ნატანის დალექვის ინტენსივობის ზრდა მდინარის ზედა ბიეფში.

⁸⁴ მდინარის ფსკერზე სედიმენტების აკუმულაცია და მყარი ნატანის ჭარბი რაოდენობა ჭოროხი-აჭარისწყლის წყლის ობიექტებში

⁸⁵ ტემპერატურის ზრდა აღინიშნება პალიასტომის ტბაშიც, სადაც წინა საუკუნის ტემპერატურული ზრდის მაჩვენებელი 0.7°C შეადგენს. შესაბამისად ძალიან სწრაფად იზრდება წყლის მცენარეთა სამყარო, ზღვის წყლის შემოტევების გამო იმატა მარილიანობამ და ტბის თევზების სახეობები ჩაანაცვლა მლაშე წყლის მოყვარულმა თევზებმა.

9.1.9 ბიოლოგიური და მიკრობიოლოგიური ზეწოლა

კლიმატის ცვლილების ზეგავლენა ბიოლოგიურ და მიკრობიოლოგიურ ზეწოლებზე

ცვლილებები წყლის ბიოტის შემადგენლობაში ჭოროხი-აჭარისწყლის აუზის წყლის ობიექტებში განპირობებულია როგორც ჰიდრო-მორფოლოგიური ზეწოლებით, ასევე წყლის ისეთი პარამეტრების ცვლილებით, როგორიცაა წყლის ტემპერატურა და წყლის ქიმიურ შემადგენლობაში ცვლილებები (მაგ. დამლაშება, ბიოგენური ნივთიერებების ზრდა და ა.შ.), რაც პირდაპირ კავშირშია აჭარის ტერიტორიაზე მიმდინარე კლიმატის ცვლილებასთან.

აჭარის ტერიტორიაზე ⁸⁶ უკვე არის გამოკვეთილი წყლის ტემპერატურის ზრდა მდინარეებსა და ზღვის ზედაპირზე, რამაც უკვე შეუქმნა პრობლემა თევზების რამდენიმე სახეობას და მათ შორისაა ნაკადულის კალმახი⁸⁷. საკვლევი მდინარის აუზში უკვე გამოვლენილია ტემპერატურის მატებით გაჩენილი გარკვეული რისკები რიგი სახეობებისთვის. ამის მაგალითია ნაკადულის კალმახის (*Salmo labrax fario* Linnaeus), რომელიც წარმოადგენს შავი ზღვის ენდემური ფორმის - შავი ზღვის ორაგულის (*Salmo labrax* Pallas) მტკნარი წყლის მკვიდრ ფორმას, რიცხოვნობის მნიშვნელოვანი კლება ბოლო წლების განმავლობაში. ექსპერტული შეფასებით, ნაკადულის კალმახის პოპულაცია აჭარის მდინარეებში ბოლო 20 წლის განმავლობაში დაახლოებით 3-ჯერ შემცირდა. კლება განსაკუთრებით მდინარეთა იმ მონაკვეთებზე შეინიშნება, რომლებიც განლაგებულია ზღვის დონიდან 600 მეტრ სიმაღლემდე. გაიშვიათების მიზეზებს მისი არაღელვარული ჭერა, მდინარეთა დარეგულირება და კლიმატის ცვლილება წარმოადგენს. რამდენადაც ნაკადულის კალმახი ცივი წყლის მოყვარული ფორმაა, წყლის ასეთი თერმული რეჟიმის მქონე ლოკალიტეტების ფართობი კლიმატის მიმდინარე ცვლილების ფონზე წლის ყველაზე ცხელ თვეებში (ივლისი-სექტემბერი) ძლიერ შემზღუდულია და არსებულ ტენდენციათა გათვალისწინებით, სავარაუდოდ, მომავალში კიდევ უფრო შემცირდება.

წყლის ტემპერატურის ცვლილებამ ასევე შეიძლება გამოიწვიოს ცვლილებები ადგილობრივ სახეობებში, რაც ამ ეტაპზე ჯერ მკვეთრად არაა გამოხატული, ან მათი მასიური დაღუპვა, როგორც ეს მოხდა შავ ზღვაზე⁸⁸. კერძოდ, 2000-2009 წწ. პერიოდში დადგენილმა კანონზომიერებამ მინიმუმით (+7°C) თებერვალ-მარტში და მაქსიმუმით ივლის-აგვისტოში (+28, +29°C), ნორმიდან გადახრა დაიწყო 2010 წელს, როდესაც ზღვის ზედაპირული წყლის ტემპერატურამ 33°C მიაღწია. ამ პერიოდში აჭარის სანაპირო ზონაში საგრძნობლად იკლო ნალექიანი დღეების რაოდენობამ. მსგავსი ტემპერატურული მსვლელობა დაფიქსირდა 2011 წელსაც, როდესაც ზღვის ზედაპირული წყლის ტემპერატურა 30°C-მდე გაიზარდა და გაცილებით მეტ ხანს შეინარჩუნა ექსტრემალური მნიშვნელობა, ვიდრე 2010 წელს. აღნიშნულმა მოვლენებმა 2010 წლის ზაფხულში აჭარის სანაპირო ზონაში გამოიწვია მიდიებისა და ხამანკების მასობრივი დაღუპვა.

კლიმატის ცვლილებით განპირობებული რიგი ფაქტორების კომბინაცია, როგორიცაა გაზრდილი ტემპერატურა, შეცვლილი საკვები ციკლი და პროდუქტიულობა, ცვლილებები ნიადაგის ტენიანობაში, სავარაუდოდ აჭარის მდინარეებშიც გამოიწვევს წყლის ჰაბიტატების სახეობრივი შემადგენლობის ცვლილებას.

არსებული წყლის რესურსების შემცირებას ნეგატიური ეფექტი ექნება თევზების მიგრაციისთვის, მითუმეტს დაგეგმილი ჰესების ოპერირება ისედაც გამოიწვევს მავრო-

⁸⁶ http://moe.gov.ge/files/Klimatis%20Cvileba/ErovnulliShetkobinebebi/2015_bolo/geo.compressed.pdf.

⁸⁷ http://moe.gov.ge/files/Klimatis%20Cvileba/ErovnulliShetkobinebebi/2015_bolo/geo.compressed.pdf.

⁸⁸ http://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/library/environment_energy/third-national-communication-of-georgia-to-the-un-framework-conv0.html

უხერხემლოებისთვის და თევზებისთვის ჰაბიტატის დაკარგვას და თევზსავლების ბლოკირებას.

ყოველივე ზემოთქმულიდან და არსებული კვლევებიდან გამომდინარე, არსებობს უკვე გამოვლენილი და მნიშვნელოვანი პოტენციური რისკი ამ ზენოლასთან მიმართებაში, რომ ვერიცნება მიღწეული წყლის ჩარჩო დირექტივის ამოცანები.

9.2. კლიმატის ცვლილების მიმართ ადაპტაცია (ღონისძიებები)

კლიმატის ცვლილების ზეგავლენა შეიძლება რაღაც ეტაპზე მკვეთრად არ იყოს გამოვლენილი ან ადვილად არ იყოს გარჩევადი მდინარის აუზის მართვის პირველ ციკლში 2021 წლამდე. თუმცა, ამ პერიოდში მიღებულ გადაწყვეტილებებსა და ინვესტიციებს შეიძლება გავლენა ჰქონდეს მოგვიანებით, მრავალი ათწლეულის განმავლობაში. კლიმატის ცვლილების გრძელვადიანი პროგნოზი აჩვენებს, რომ აჭარის ტერიტორიაზე კლიმატი საკმაოდ იცვლება და სუბტროპიკულიდან ტროპიკულში გადადის. ეს პროცესი უკვე დაწყებულია და ამის ნიშნები აღწერილია კლიმატის ცვლილების მიმართ საქართველოს მესამე ეროვნულ შეტყობინებაში⁸⁹. ამდენად, გრძელვადიანი დაგეგმარების პროცესში თუ ახლავს არ იქნება გათვალისწინებული კლიმატის ცვლილება, ამან შეიძლება გამოიწვიოს ისეთი საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღება, რაც შეზღუდავს წყლის ჩარჩო-დირექტივის მიზნების მიღწევას და/ან მათ ეფექტურობას. გარდა ამისა, კლიმატის ცვლილება გავლენას მოახდენს გატარებული ღონისძიებების ნაზარაუდევ ეფექტურობაზე, რაც წარმოადგენს მათი წარმატებულად განხორციელების რეალურ რისკ-ფაქტორს.

აჭარის ტერიტორიაზე მიმდინარე და პროგნოზირებულ კლიმატის ცვლილებასთან სხვადასხვა ეკოსისტემების ადაპტაციის სტრატეგია მომზადდა კლიმატის ცვლილების შესახებ საქართველოს მესამე ეროვნულ შეტყობინებაში (2012-2015), რომლის თანახმადაც ზოგადად კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის სტრატეგიის პირველადი საფუძველია:

- კლიმატის ცვლილების შედეგების/რისკების გათვალისწინება განვითარების გეგმებსა და კონცეფციებში, რისთვისაც აუცილებელია როგორც კლიმატურ პარამეტრებზე, ასევე ეკოსისტემებზე, ინფრასტრუქტურაზე, ეკონომიკის სექტორებზე და სოციალურ სფეროზე მონიტორინგის გამართული სისტემების არსებობა;
- კვლევების წარმოება კლიმატის მიმდინარე და შესაძლო გავლენის შესაფასებლად;
- აჭარაში კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება (მონიტორინგის შემდეგ) მიწების მართვის გრძელვადიანი სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მომზადება და განხორციელება.

ამ ძირითადი საფუძვლების მაღალი ეფექტურობით და ხარისხით გასანხორციელებლად საჭიროა ადგილობრივი პოტენციალის გაძლიერება, რაც სხვა ქმედებებთან ერთად გულისხმობს:

- განათლების სისტემაში კლიმატის ცვლილების ელემენტების შეტანას საწყის ეტაპზევე (ფაკულტატიურად მაინც);
- აჭარის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამმართველოს პოტენციალის გაძლიერებას კლიმატის ცვლილების კუთხით. კლიმატის ცვლილების პრობლემების შეფასებაზე და მონიტორინგზე პასუხისმგებელი მაკოორდინირებული ერთეულის შექმნას;
- აჭარის მუნიციპალიტეტებში კლიმატის ცვლილების რისკებზე და ამ რისკების შემცირების გზებზე ცნობიერების ამაღლების და უწყვეტი ინფორმირებულობის პროცესის უზრუნველყოფას;
- მონიტორინგის შედეგების სხვადასხვა უწყებებს შორის გავრცელების უზრუნველყოფას;

⁸⁹ http://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/library/environment_energy/third-national-communication-of-georgia-to-the-un-framework-conv0.html

- სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში მიზნობრივი პროგრამების კონკურსის წესით დაფინანსებას სხვადასხვა ეკოსისტემებსა და ეკონომიკის სექტორებზე კლიმატის ცვლილების გავლენის შესასწავლად;
- ეგრეთ წოდებული „დანაკარგებიანი“⁹⁰ გადანაცვლებების თავიდან აცილებას და პრიორიტეტის მიცემას ეგრეთ წოდებული „უდანაკარგო“⁹¹ გადანაცვლებების მიღებისა და გატარებისთვის, ხშირ შემთხვევაში მათი სიძვირის მიუხედავად;
- კლიმატის ცვლილებასთან საადაპტაციო პოლიტიკის და სამოქმედო გეგმის შემუშავების და ამ სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე მონიტორინგისთვის აჭარის შერეული სამთავრობო კომისიის შექმნა.

აჭარის ტერიტორიაზე და კერძოდ მდინარე ჭოროხი-აჭარისწყლის წყალშემკრებ აუზში მდინარეზე გამოხატული ზენოლებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ექსტრემალური გეოლოგიური მოვლენები, რაზეც თავის მხრივ, ყველაზე დიდი გავლენა აქვს მიმდინარე კლიმატის ცვლილებას. ექსტრემალური გეოლოგიური მოვლენები მდინარის აუზზე თითქმის ყველა სხვა ზენოლას აძლიერებენ. შესაბამისად, ადაპტაციის სტრატეგიაში პირველი პრიორიტეტი ექსტრემალური გეოლოგიური მოვლენებით გამოწვეული საფრთხეების შემცირება უნდა იყოს.

1. ექსტრემალური გეოლოგიური მოვლენებით გამოწვეული საფრთხეების შემცირება:
 - ტყეების ნიადაგდაცვითი ფუნქციების გაძლიერება, დეგრადირებული ტყეების აღდგენა;
 - ტყეებში გავრცელებულ დაავადებებზე (განსაკუთრებით კლიმატის ცვლილების მიზეზით წარმოქმნილ დაავადებებზე) მონიტორინგი და მჭიდრო თანამშრომლობა მეზობელი რეგიონებისა და ქვეყნების სატყეო სექტორებთან ამ დაავადებების ფართოდ გავრცელების რისკის პრევენციის მიზნით;
 - გაჩეხილი ტყეების აღგილზე და ეროზირებულ ნიადაგებზე ახალი ენერგეტიკული და ნიადაგდამცავი ტყეების გაშენება;
 - ჭალის ტყეების აღდგენა;
 - ტყის სექტორის მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმის მომზადება;
 - სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის შეცვლა და მდგრადი მენეჯმენტის პრაქტიკაზე გადასვლა;
 - ნებისმიერი ინფრასტრუქტურული და ნაპირსამაგრი პროექტების განხორციელების პროცესში კლიმატის ცვლილების ფენომენის გათვალისწინება;
 - ისეთი კრიტიკული ინფრასტრუქტურული ობიექტების (როგორიცაა საკანალიზაციო და სადრენაჟო სისტემების რეზილიტაცია, ჰესების მშენებლობა) მშენებლობის სტანდარტების ადაპტირება არსებულ და მომავალ კლიმატურ პირობებთან, რათა ეს სისტემები გაუმკლავდნენ გახშირებულ შტორმულ მოვლენებს;
 - სამოსახლო ტერიტორიებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მიწების მდგრადი დაგეგმარება და ექსპლუატაცია;
 - ინფრასტრუქტურული, ტურისტული და კერძო სექტორის ობიექტების მშენებლობა და განვითარება ნაპირდაცვის სამსახურის მიერ რეკომენდებულ ადგილებში და რისკის შემამცირებელი ღონისძიებების გატარება.
2. მეორე პრიორიტეტია მდინარის აუზში წყლის რესურსის და თვითონ მდინარეში ჩამონადენის შემცირებით გამოწვეული უარყოფითი პროცესების მართვა:

⁹⁰ „დანაკარგებიანი“ - ღონისძიებებია, რომლებიც მოიცავს მაღალი ხარისხის რისკებს იყოს კონტრპროდუქტული კლიმატის ცვლილებასთან მიმართებაში, იმდენად, რამდენადაც კლიმატის ცვლილება შეამცირებს ამ ქმედებათა ეფექტიანობას, გაზრდის დანახარჯებს, შეამცირებს სხვა სექტორების ან ეკოსისტემების ადაპტაციურ შესაძლებლობებს და ა.შ.

⁹¹ „უდანაკარგო“ - ღონისძიებებია, რომლებიც საკმაოდ კარგადაა გათვლილი და მოქნილია სხვადასხვა კლიმატური პირობებისათვის, და შესაბამისად, არ იქნება მაღალი მონაცვლადობის - კლიმატის ცვლილების შედეგების მიმართ;

- მდინარის ჩამონადენის ეკოლოგიური ხარჯის შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება და დამტკიცება;
 - წყლის კომპანიებისთვის წყლის მოთხოვნა-მიწოდების ბალანსში კლიმატის ცვლილების გავლენის გათვალისწინების უზრუნველყოფა;
 - წყლის მდგრადი გამოყენების უზრუნველსაყოფად, წყალაღების კონტროლის ღონისძიებებში ნალექების რეჟიმში მომავალი ცვლილებების და წყლის რესურსებზე ამ ცვლილებების შესაბამისი ზემოქმედების გათვალისწინება;
 - კლიმატის ცვლილების გათვალისწინება წყალაღების ნებართვების/ლიცენზირების პოლიტიკის შემუშავებისას, ამჟამად წყალაღებაზე ლიცენზირების სისტემა არსებობს მხოლოდ მინისქვესა წყლებისთვის. მდ. ჭოროხი-აჭარისწყლის აუზის მართვის გეგმაში შემოთავაზებულია „ოპტიმიზაციის კუთხით ... წყლის აღების ლიცენზირებისა და გადასახადების დაწესება წყლის რესურსების გამოყენებაზე“. კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგი სისტემის დანერგვა გულისხმობს, მაგალითად, ლიცენზირების მოქმედების ვადებისა და ასაღები წყლის მოცულობის დადგენისას წყლის რესურსების შესაძლო ცვლილებების გათვალისწინებას მომავლის კლიმატურ პირობებში.
3. ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის რესურსის დაბინძურების ზრდის პრევენცია:
 - წყლის ხარისხზე მონიტორინგის სისტემის გაძლიერება (ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები);
 - ჩამდინარე წყლების განმენდის სამუშაოების ჩატარება, სადრენაჟო სისტემების რეაბილიტაცია და აჭარის ტერიტორიაზე მიმდინარე და პროგნოზირებული კლიმატის ცვლილების მიმართ ამ სისტემების განსაკუთრებული მოწყვლადობის გათვალისწინება დაგეგმარების პროცესში;
 - დიფუზიური დაბინძურების წყაროებიდან გაზრდილი რისკების მართვა;
 - ახალი ნორმატიული აქტის შემოღება ჩამდინარე წყლებში მავნე ნივთიერებების მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაციის შესახებ; სასტუმროებში, მუნიციპალურ შენობებში და სასტუმრო სახლებში ნარჩენი წყლის გამწმენდი ტექნოლოგიების დანერგვა;
 - სასუქის და პესტიციდების წყალში ჩაშვების შემცირება ჭალის ბუფერული ზონების შექმნით.
 4. წყლის ტემპერატურის ცვლილებით გამოწვეული გავლენა ბიოსამყაროზე ძნელია შეამცირო ზოგადი ღონისძიებებით, თუმცა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების გატარებაა შესაძლებელი.
 5. ღონისძიებათა ურთიერთქმედება ზეწოლების შესამცირებლად. ერთ ზეწოლაზე მიმართულმა ღონისძიებამ შეიძლება გაზარდოს რისკი და არ იქნას მიღწეული წყლის ჩარჩო ღირებულების მიზნები სხვა ზეწოლისთვის. კლიმატის ცვლილებამ კი ეს რისკები შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს ან შეამციროს ⁹², რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

⁹² მაგალითად, ნაპირდაცვის ღონისძიებებმა შეიძლება შეამციროს მორფოლოგიური ზეწოლების რისკი, მაგრამ გაზარდოს მარილიანი წყლის შემოჭრის რისკი, განსაკუთრებით იქ, სადაც მინისქვეშა და ზედაპირული წყლის დონე და ჩამონადენი კლიმატის ცვლილების შედეგადაა შემცირებული.

10.0 საჯარო ინფორმაცია და კონსულტაცია მდინარის აუზის მართვის გეგმის მომსაზმადებლად

ეს თავი აწესრიგებს წყლის ჩარჩო დირექტივის მოთხოვნილებებსა და დებულებებს, რომლებიც გამომდინარეობს ბოლოდროინდელი ქართული კანონმდებლობიდან მდინარეთა სააუზო მართვის გეგმის შემუშავების პროცესში საზოგადოების ჩართულობასა და საჯარო კონსულტაციებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ეს თავი აჯამებს იმ პრაქტიკულ შედეგებს, რომლებიც მოყვა ჭოროხი-აჭარისწყალის მდინარის აუზის მართვის გეგმის შედგენის პროცესში საზოგადოების ჩართულობის პროცესს.

10.1 საჯარო ინფორმაციის მიწოდების, კონსულტაციისა და მონაწილეობის სამართლებრივი ბაზა, მდინარის აუზის მართვის გეგმის შესადგენად

წყლის ჩარჩო დირექტივის მე-14 მუხლი წარმოადგენს ჩარჩოს, რითიც უნდა იხელმძღვანელონ მდინარის აუზის მართვის გეგმის შედგენაში დაინტერესებულმა მხარეებმა, რათა მოხდეს საზოგადოებისა და ფართო მასების ინტეგრაცია, ინფორმირება და სრულფასოვანი ჩართულობის უზრუნველყოფა.

ევრო გაერთიანების წყლის ჩარჩო დირექტივა, მდინარის აუზის მართვის დაგეგმვაში, განსაზღვრავს მკაფიოდ ჩამოყალიბებულ მიზნებს საზოგადოების მონაწილეობასთან და საზოგადოების ჩართვის მექანიზმებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ევრო გაერთიანების წყლის ჩარჩო დირექტივის მე-8 დოკუმენტი ქმნის ზოგად წარმოდგენას საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობაზე ევრო გაერთიანების წყლის ჩარჩო დირექტივის კონტექსტში და აღწერს კონკრეტულ რჩევებს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს საზოგადოების ჩართულობა მართვის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე.

საქართველომ აიღო ვალდებულება ეროვნული კანონმდებლობა მოიყვანოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციაში. წყლის ჩარჩო დირექტივის ჩათვლით შემუშავდა წყლის კოდექსი. სხვადასხვა სამინისტროებთან და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებისა და საჯარო განხილვების შემდეგ ჩამოყალიბდა კანონპროექტის საბოლოო ვერსია. კანონპროექტი გადაეცემა პარლამენტს 2016 წლის გაზაფხულზე განსახილველად.

მომზადდა 6 ნორმატიული აქტი წყლის კოდექსის სათანადოდ აღსრულების უზრუნველსაყოფად. ეს აქტებია:

- მდინარის აუზის მართვის გეგმების შემუშავების, განხილვის და დამტკიცების შესახებ
- წყლის ობიექტების განსაზღვრისა და საზღვრების დადგენის პროცედურების დამტკიცების შესახებ;
- მდინარის აუზის საბჭოს წესების ფუნქციონირების და შემადგენლობის შესახებ;
- მაქსიმალური დასაშვები გამონადენის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგულირების დამტკიცების შესახებ;
- მდინარის აუზების იდენტიფიკაციისა და საზღვრების დადგენის შესახებ;
- წყლის რესურსების მონიტორინგის დაგეგმვისა და განხორციელების მექანიზმების შესახებ.

წყლის კოდექსი შემუშავდა ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის და წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის პრინციპების გათვალისწინებით. ახლადშემუშავებული წყლის კოდექსიდან გამომდინარე საქართველოს აქვს ვალდებულება შეიმუშაოს მდინარის აუზის მართვის გეგმები ყველა მთავარი მდინარის აუზისათვის. ამ პროცესში ინფორმაცია უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი, საზოგადოება უნდა მონაწილეობ-

დეს გეგმების მომზადებაში⁹³. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით საქართველომ აიღო ვალდებულება 2024 წლამდე შეიმუშავოს მდინარის აუზის მართვის გეგმები ყველა მთავარი მდინარის აუზისათვის ევროკავშირის წყლის ჩარჩო კონვენციის მოთხოვნების გათვალისწინებით.

საქართველოს ასევე აქვს ვალდებულებები სხვა საერთაშორისო შეთანხმებებიდან გამომდინარე (მაგალითად ორჰუსის კონვენცია, ჰელსინკის კონვენცია, და ასევე მისი ოქმი წყალსა და ჯენმრთელობასთან დაკავშირებით და ასევე შავი ზღვის დაცვის კონვენცია). ამდენად, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, მხარს უჭერს მდინარეების აუზების საერთაშორისო პროექტის ძალისხმევას მაქსიმალურად იყოს ჩართული და ინფორმირებული საზოგადოება ჭოროხი-აჭარისწყლის მდინარის აუზის მართვის გეგმის შემუშავებაში.

წყლის რესურსების მართვის ახალი კანონის თანახმად, ჩამოყალიბდება სააუზო მართვის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოები, რომელთა საქმიანობა განხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული დებულების “სააუზო მართვის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოების შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ” შესაბამისად.

დადგენილების პროექტის მე-6 მუხლის თანახმად, საზოგადოების მონაწილეობა მდინარის აუზის მართვის გეგმების შემუშავებასა და განხილვაში გამოიხატება შემდეგნაირად⁹⁴:

- მდინარის აუზის მართვის გეგმის მოქმედების პერიოდის დაწყებამდე, სულ ცოტა სამი წლით ადრე, დაინტერესებულ მხარეთათვის გაცნობისა და მათი მოსაზრებების მიღების მიზნით, სამინისტრო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომს გახდის გეგმის შემუშავების განრიგსა და წესს, აგრეთვე, გასცემს ინფორმაციას დაგეგმილი საკონსულტაციო ღონისძიებების ჩატარების ადგილისა და დროის შესახებ და მოსაზრებების მიღების მექანიზმის შესახებ.
- მდინარის აუზის მართვის გეგმის მოქმედების პერიოდის დაწყებამდე, სულ ცოტა ორი წლით ადრე, დაინტერესებულ მხარეთა მხრიდან მოსაზრებების მიღების მიზნით, სამინისტრო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომს გახდის გეგმის შემუშავების პირველ ეტაპზე შესრულებული სააუზო უბნის ზოგად დახასიათებას, ბედაპირული და მინისქვეშა წყლის ობიექტების სტატუსზე მნიშვნელოვანი ანთროპოგენური ზეწოლისა და ზემოქმედების აღწერას და რისკების შეფასების ანგარიშს, აგრეთვე, ადგილობრივი და ცენტრალური პრესისა და სამინისტროს ვებ-გვერდის საშუალებით გამოაქვეყნებს ინფორმაციას საჯარო განხილვის ჩატარების ადგილისა და დროის, მოსაზრებების გამოხატვის ფორმისა და საშუალებების შესახებ.
- მდინარის აუზის მართვის გეგმის მოქმედების პერიოდის დაწყებამდე, სულ ცოტა ექვსი თვით ადრე, დაინტერესებულ მხარეთა მხრიდან კომენტარების მიღების მიზნით, უნდა გამოიცეს და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს სააუზო მართვის გეგმის პროექტი. ამ ეტაპზე - სამინისტრო უზრუნველყოფს პროექტის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობასა და საჯარო განხილვის მოწყობას.
- მდინარის აუზის მართვის გეგმა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას შემუშავების ეტაპზე ჩატარებული საჯარო განხილვებისა და კონსულტაციების შესახებ და შედეგების გეგმაში ასახვის შესახებ.

ამ მუხლის მოთხოვნები თანაბრად ვრცელდება აუზის მართვის როგორც პირველად, ასევე განახლებულ გეგმებზე.

⁹³ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება თავი 13-14

⁹⁴ საქართველოს მთავრობის დადგენილება მდინარეთა სააუზო მართვის გეგმების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ მუხლი 6

10.2 ჭოროხი-აჭარისწყალის მდინარის აუზის მართვის გეგმის შემუშავებისას საზოგადოების მონაწილეობის, ინფორმაციის გავრცელების, კომუნიკაციისა და დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის კუთხით განხორციელებული ღონისძიებები

წყლის ჩარჩო დირექტივის მე-14 მუხლის განხორციელების კონტექსტში, „საერთაშორისო მდინარეთა აუზების გარემოს დაცვითი პროგრამის* პროექტის ფარგლებში შემუშავდა კომუნიკაციის გეგმა. (<http://blacksea-riverbasins.net/en/downloads-library-search>).

მდინარის აუზის მართვის გეგმის შემუშავების პროცესში, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობას და განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე. ეს ღონისძიებები ჩატარდა ევრო გაერთიანების წყლის ჩარჩო დირექტივის მე-8 სახელმძღვანელო დოკუმენტის პრინციპებისა და „საერთაშორისო მდინარეთა აუზების გარემოს დაცვითი პროგრამის* ფარგლებში შემუშავებული კომუნიკაციის სტრატეგიისა და გეგმის თანახმად.

მდინარის აუზის მართვის გეგმის შემუშავებისას ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება:

„საერთაშორისო მდინარეთა აუზების გარემოს დაცვითი პროგრამის“ პროექტის ვებ გვერდი (<http://www.blacksea-riverbasins.net>) იქნა გამოყენებული როგორც ინფორმაციის და დოკუმენტების მიწოდების მთავარი გზა.

დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია:

მდინარის აუზის მართვის გეგმის შემუშავებისას, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის ღონისძიებები ჩატარდა:

- წყლის - ბენოლეებისა და ზემოქმედებების ანალიზის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის მიზნით, დაინტერესებული მხარეებისათვის, სამი საკონსულტაციო შეხვედრა იქნა ორგანიზებული.
- მდინარის აუზის მართვის გეგმის სამუშაო ვარიანტის საკონსულტაციო ფაზა დაიწყო 2015 წლის 30 აპრილს და დამთავრდება 2016 წლის იანვარში.

მდინარის აუზის მართვის გეგმა გამოქვეყნდა:

1. „საერთაშორისო მდინარეთა აუზების გარემოს დაცვითი პროგრამის“ პროექტის ვებ გვერდზე www.blacksea-riverbasins.net
2. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ვებგვერდზე <http://moe.gov.ge>
3. კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის ვებგვერდზე www.rec-caucasus.org

დაინტერესებულ მხარეებს დაუკავშირდნენ ელექტრონული ფოსტით, საკონსულტაციო პროცესის ფარგლებში ინფორმაციისა და კომენტარების გასაგზავნად, სადაც, მთავარი ბენეფიციარი არის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

კონსულტაციებში საზოგადოების ჩართულობის ინიცირებას ხელს უწყობდა: ელექტრონული ფოსტით დაგზავნილი წერილები, ინფორმაციის გავრცელება არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის საშუალებით, „საერთაშორისო მდინარეთა აუზების გარემოს დაცვითი პროგრამის“ პროექტისა (www.blacksea-riverbasins.net) და ბენეფიციარის (www.moe.gov.ge) ვებგვერდზე გამოქვეყნებული მასალები და ინფორმაცია, პროექტის ახალი ამბების გამოშვება „In the flow“ და პრეს რელიზები .

